ნიგ
1958/2

# დროშა

№ 4 აპრილი 1958

ეროვნული ბიბლიოთეკა







## საკავშირო ალკკ XIII ყრილობა

მოსკოვი. 15 აპრილს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა საკავშირო ალკკ XIII ყრილობა. სურათზე (ზემოთ), ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. ქვემოთ—სხდომათა დარბაზში.

(საკდესის ფოტოქრონიკა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 4 (81) აპრილი 1958 წელი

გამოცემის VII წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

7746



ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნა ქალაქ ქუთაისში.

# ლენინიზმის იდეების დიადი და უძლეველი ძალა

მიმდინარე წლის 22 აპრილს საბჭოთა ხალხი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდი ზეიმით აღნიშნავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 88-ე წლისთავს.

პროლეტარიატის დიადი განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას, მარქსისა და ენგელსის შემდეგ, არ ახსოვს ასეთი გიგანტური ფიგურა, როგორიც იყო მარქსიზმის გენიალური თეორეტიკოსი, მასების დიდი ორგანიზატორი ვ. ი. ლენინი.

* * *

ვ. ი. ლენინი რევოლუციური მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა იმ პერიოდში, როცა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა — მსოფლიო კაპიტალიზმი შევიდა ახალ ეპოქაში — იმპერიალიზმის ეპოქაში. ახლოვდებოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლების ხანა, რევოლუციური მოძრაობის ცენტრი რუსეთში გადმოდიოდა. ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად გაამდიდრა და შემდგომ განავითარა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება ახალ პირობებში — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში, მოგვცა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის, ეკონომიური და პოლიტიკური არსის გენიალური მეცნიერული ანალიზი, შექმნა სოციალისტური რევოლუციის ახალი დასრულებული თეორია, გვიჩვენა, რომ იმპერიალიზმის პირობებში შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ან, თუნდაც, ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში.

ვ. ი. ლენინის უდიდეს დამსახურებას შეადგენს ახალი ტიპის პარტიის — რევოლუციური მარქსისტული პარტიის, პროლეტარიატის დიქტატურის პარტიის შექმნა რუსეთში. ასეთი პარტიის შექმნა შეუძლებელი იყო მისი მოწინააღმდეგის — ოპორტუნიზმის და მარქსიზმისადმი მტრულ სხვა მიმდინარეობათა იდეური განადგურების გარეშე. ეს ისტორიული ამოცანა ლენინმა წარმატებით შეასრულა. ვ. ი. ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველად დაამუშავა მოძღვრება პარტიაზე, როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელ ორგანიზაციაზე, გამოიმუშავა პარტიული ცხოვრების მტკიცე ნორმები და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპები, შეაიარაღა ბოლშევიკების პარტია იდეოლოგიურად, ორგანიზაციულად, ტაქტიკურად და თეორიულად.

დიდმა ლენინმა მისცა მუშათა კლასს და მის პარტიას მძლავრი, ყოვლისშძლე იდეური იარაღი კაპიტალისტური მონობის მოსპობისათვის და სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის საბრძოლველად. ეს იარაღია ლენინიზმი, რომელიც წარმოადგენს რუსული და მსოფლიო კულტურის უმაღლეს მიღწევას.

ლენინიზმი ყველა ქვეყნის პროლეტართა ინტერნაციონალური მოძღვრებაა, მოქმედების სახელმძღვანელოა კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მძლავრი იარაღია იმპერიალისტური უღლისაგან განთავისუფლებისთვის ბრძოლაში.

გენიალური ლენინის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ სახელოვანი რევოლუციური ბრძოლების გზა განვლო. ლენინიზმის შთამაგონებელი იდეებითა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მშრომელებმა შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს ცარიზმის წინააღმდეგ, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ და ორი რევოლუციის პერიოდში — 1905-1907 წლებისა და 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების პერიოდში, — ძირეულად შეარყიეს ძველი სამყარო.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინი სასწრაფოდ ბრუნდება უცხოეთიდან რუსეთში, რათა უშუალოდ ჩადგომოდა მუშათა და გლეხთა ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. პარტიის უახლოესი ამოცანა — მეფის თვითმპყრობელობის დამხობა — განხორციელებული იყო, შეცვლილ პირობებში საჭირო იყო პარტიის ახალი ორიენტირება. ლენინმა თავის აპრილის თეზისებში პარტიას მისცა ეს ახალი ორიენტაცია, დაამუშავა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის ბრძოლის გენიალური გეგმა. წამოაყენა ლოზუნგი — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს". ლენინი, რომელმაც გაითვალისწინა რუსეთის ორი რევოლუციის გამოცდილება, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმა არის საბჭოების რესპუბლიკა და არა პარლამენტური რესპუბლიკა. ეს იყო გენიალური აღმოჩენა მარქსისტულ მეცნიერებაში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფისათვის 1917 წლის ოქტომბერში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და სოციალიზმის აშენებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა მშრომელი გლეხობის მხარდაჭერით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა — უზრუნველჰყო მემამულურ-კაპიტალისტური მონობის ჯაჭვის დამსხვრევა, თავისუფლების მოპოვება, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ლენინური სტრატეგიისა და ტაქტიკის ტრიუმფი იყო. მან დასაბამი მისცა ახალ ერას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, მთელი კაცობრიობის ისტორიაში, კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნიზმის დამკვიდრების ერას.

ვ. ი. ლენინის მეთაურობით კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ, მიუხედავად უმაგალითო სიძნელეებისა, ნგრევისა და შიმშილისა, დაამარცხა თავისი მტრები.

სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრებამ შესაძლებლობა მისცა ჩვენს ქვეყანას შესდგომოდა მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას. პარტიამ მოახდინა გაბედული მობრუნება სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკიდან ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ, რომელიც პროლეტარული სახელმწიფოს ერთადერთ სწორ პოლიტიკას წარმოადგენდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში. ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში და დაამუშავა მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის გადასაქცევად მოწინავე, სოციალისტურ სახელმწიფოდ.

ვ. ი. ლენინის მიერ გამოწრთობილმა კომუნისტურმა პარტიამ ლენინის გარდაცვალების შემდეგ თავისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, წარმატებით განახორციელა ლენინის პროგრამული მითითებანი. საბჭოთა კავშირი მძლავრი ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტური სახელმწიფო გახდა.

ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა მძიმე მრეწველობის როლი ახალი საზოგადოებრივი წყობილების მატერიალურ-საწარმოო ბაზის შექმნაში. საბჭოთა ხალხი, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, წარმატებით ახორციელებს ლენინის მითითებებს. ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი მძიმე ინდუსტრია და უზრუნველყოფილია სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარება უახლესი ტექნიკის გზაზე.

მძიმე მრეწველობის განვითარების საფუძველზე, ჩვენმა პარტიამ განახორციელა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ლენინური კოოპერაციული გეგმა. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და ყველაზე მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

სოციალისტური ეკონომიკის წარმატებათა საფუძველზე განუხრელად მაღლდება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონე. წლითიწლობით სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საბინაო მშენებლობა, უმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, სულ უფრო მეტი რაოდენობით შენდება სკოლები, საბავშვო ბაგები, თეატრები. ნამდვილ აყვავებას მიაღწია საბჭოთა კულტურამ, მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ. კომუნისტური პარტია ახორციელებს ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი ხელმძღვანელობას და ამასთან იგი ეყრდნობა ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის ლენინურ პრინციპს და ლენინურ მითითებებს მხატვრულ ინტელიგენციასთან დამოკიდებულების შესახებ. ვ. ი. ლენინმა მთელ რიგ წერილებში მოგვცა პროგრამული მითითებები პროლეტარული ლიტერატურის განვითარების გზების შესახებ. 1905 წელს გაზეთ „ნოვაია ჟიზნში" ლენინმა გამოაქვეყნა სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა", რომელშიც წამოაყენა და დაასაბუთა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი.

ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის მთავარი იარაღის არსი, გვიჩვენა ნაირსახე პროლეტარული დიქტატურისა, რომლის უმაღლესი პრინციპია მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან. ვ. ი. ლენინმა განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების პოლიტიკასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სახელმწიფოს მართვისა და საბჭოთა აპარატის მუშაობის ძირითადი პრინციპები. ხელმძღვანელობენ რა ლენინის მითითებებით, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, სახელმწიფო აპარატის სრულყოფისათვის.

ვ. ი. ლენინი ბევრს მუშაობდა ეროვნულ საკითხზე. მან დაწერა მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც გაანადგურა ნაციონალიზმი ყველა მისი გამოვლინებით და შეიმუშავა მწყობრი თეორია, პროგრამა და ტაქტიკა ეროვნულ საკითხში. ლენინი იყო სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისჩამდგმელი. თანმიმდევრულად ახორციელებს რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი შეაკავშირა ერთიან ძმურ ოჯახში, შექმნა მძლავრი მრავალეროვანი სახელმწიფო. ჩვენი პარტია იცავს, როგორც თვალის ჩინს, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას — საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველს, დაუღალავად ზრდის მშრომელებს ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით.

ახორციელებს რა ლენინის მითითებებს, კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა ყოველთვის მიმართული იყო და მიმართულია მასებთან კავშირის განმტკიცებისაკენ, ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივის წახალისებისა და გაფურჩქვნისაკენ, ვინაიდან პარტიამ იცის, რომ მისი ძალა ხალხთან განუწყვეტელ კავშირშია, ხალხის ძალა კომუნისტური პარტიის გარშემო მის მჭიდრო დარაზმულობაშია.

ვ. ი. ლენინი მუდამ განსაკუთრებით ზრუნავდა ჩვენი პარტიის ერთიანობისათვის, მისი რიგების სიწმინდისათვის, პარტიის წევრის წოდების ამაღლებისათვის. დიდმა ლენინმა შეიმუშავა პარტიული ცხოვრების ნორმები და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპები. კომუნისტური პარტია მუდამ მტკიცედ ახორციელებდა ლენინის ამ მითითებებს. პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები, ცენტრალური კომიტეტის მთელი მოღვაწეობა გამსჭვალულია პარტიის რიგების ერთიანობისათვის ლენინური მზრუნველობით.

ვ. ი. ლენინი ყოველდღიურად წარმართავდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავდა საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესებს, დაუცხრომლად ზრუნავდა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისათვის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თავიანთ საგარეო პოლიტიკაში გამოდიოდნენ და გამოდიან სოციალისტური სახელმწიფოს და კაპიტალისტური ქვეყნების ხანგრძლივი მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპებიდან. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მეთაურობენ, თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის, კოლექტიური უშიშროებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობისათვის.

საბჭოთა ქვეყნის მთელი ისტორია ცხადად ადასტურებს გენიალური ლენინის დიადი და უძლეველი იდეების ყოვლისშძლე ძალას. ლენინიზმის გამარჯვების დადასტურებას წარმოადგენს ჩვენი ხალხის — შემოქმედი ხალხის, გმირი ხალხის დღევანდელი დღე და კიდევ უფრო ბედნიერი მომავალი. ლენინიზმის იდეების დიად ძალას მოწმობენ უდიდესი წარმატებანი ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ლენინიზმის იდეები ზეიმობს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა მძლავრ მოძრაობაში თავისუფლების მოპოვებისათვის, აზიისა და აფრიკის კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ბრძოლაში ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

ლენინიზმის ძლევამოსილი დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი განუხრელად ახორციელებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და წარმატებით მიდის წინ, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

მ. ჯინჯოლავილი

1958 URSS

# ქართული მარკით ბრიუსელში

**ო. არობელიძე**

ფოტო გ. თიკანაძისა

თბილისის რკინიგზის სადგური. ტვირთით დამძიმებული შემადგენლობა ნელა დაიძრა.. თბილისი — მოსკოვი, თბილისი — ლენინგრადი, თბილისი... და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენ ქალაქში, სამრეწველო ცენტრსა და ქვეყანაში იგზავნება ქართული მარკით საბჭოთა საქართველოს მრავალდარგოვანი მრეწველობის სხვადასხვა ხახის ნაწარმი.

უკანასკნელ ხანს ამ მრავალრიცხოვან მისამართს კიდევ ერთი ახალი მიემატა — „თბილისი—ბრიუსელი". დიახ, აქაც მოაღწია ქართველი მშრომელის მადლიანი მარჯვენით შექმნილმა დოვლათმა. სულ რამდენიმე თვეში ბელგიის დედაქალაქში გაიხსნება მსოფლიოს სამრეწველო გამოფენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ორმოცდათორმეტი ქვეყანა. გამოფენაზე ერთ-ერთ უდიდეს ფართობს დაიკავებს საბჭოთა პავილიონი, სადაც აგრეთვე წარმოდგენილი იქნება ქართული მარკის მანქანები, ზუსტი ხელსაწყოები, ქსოვილები, კვების მრეწველობის პროდუქცია. აქ, 35 მილიონ ადამიანს შესაძლებლობა ექნება იხილოს მსოფლიოში პირველი, ჩაის მწვანე ფოთლის საკრეფი მანქანა. ასეთ მანქანებს თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხანაში ამზადებენ. იგი განკუთვნილია ჩაის მწვანე ფოთლის შერჩევით, ვაკე ადგილებზე გაშენებულ პლანტაციებში ერთხაზოვანი ან ორხაზოვანი კრეფისათვის. ახალ მანქანას, რომლის ძრავა 25 ცხენის ძალისაა, შეუძლია განავითაროს სიჩქარე 0,3-0,4 მეტრი წამში და ერთ საათში მოკრიფოს 30-50 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.



ჩაის საკრეფი მანქანა.

სურათზე თქვენ ხედავთ ახალ ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოს. მას ბურცევის სისტემის მდინარის ტრიალას უწოდებენ. ხელსაწყოს პატარა გაბარიტი, სხვა არსებულთან განსხვავებით, საშუალებას იძლევა გავზომოთ წყლის დინების სიჩქარე პატარა მდინარესა და სარწყავ არხებში. ტრიალა აღჭურვილია იმპულსური აღმრიცხველით, რომელიც ავტომატურად, უზუსტესად ზომავს წყლის დინებას მდინარის ფსკერზედაც კი. ამ ხელსაწყოებს (მისი ექსპონატი ბრიუსელშია გაგზავნილი) ჩვენს ქვეყანაში მარტო თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიურ ქარხანაში ამზადებენ. ქარხნის პროდუქცია ფართო გამოყენებას პოულობს ევროპისა და აზიის 16 ქვეყანაში. ქარხანა საერთაშორისო გამოფენებისა და ბაზრობების არა ერთგზის მონაწილეა.



ბურცევის სისტემის მდინარის ტრიალა.

უურადღებას იპყრობს ბრიუსელში გაგზავნილი მეორე ზუსტი ხელსაწყო—პირანომეტრი. ხელსაწყო გამოიყენება მზის რადიაციის ინტენსიურობის გასაზომად. პირანომეტრი გამოირჩევა თავისი მაღალმგრძნობიარობითა და კონსტრუქციის სირთულით. ასე მაგალითად, ხელსაწყოს თერმობატარეა შესდგება 178 ნაწილისაგან და იწონის.., სამ მეათედ გრამზე ნაკლებს. მას შეუძლია გაზომოს თერმოელექტრული დენის ამპერის მემილიონედი ნაწილი. მაღალი მგრძნობიარობით გამოირჩევა, აგრეთვე, გამოფენაზე გაგზავნილი თერმოელექტრული აქტინომეტრიც. იგი განკუთვნილია მზის პირდაპირი რადიაციის ინტენსიურობის გასაზომად. ხელსაწყოს მგრძნობიარობა იზომება 4-დან 7 მილივოლტამდე.



ქართული ჩაი.

თბილისელმა ხელსაწყოთმშენებლებმა გამოფენაზე გაგზავნეს, აგრეთვე, სხვა ზუსტი ხელსაწყოებიც, როგორიცაა სტაციონალური ალბედომეტრი, გალვანომეტრი და ზღვის ბატომეტრი. ამ უკანასკნელის საშუალებით ჰიდრომეტეოროლოგები ზღვის სხვადასხვა სიღრმიდან ღებულობენ წყალს გასასინჯად და ზომავენ წყლის ტემპერატურას იმავე წერტილში.

...მაშინ ნუნუ ცერცვაძეს არც უფიქრია ბრიუსელზე. მისი ხელმძღვანელობით თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დესინატორებმა შეიმუშავეს ახალი სტრუქტურის 9 სახეობის აბრეშუმის ქსოვილი. გასული წლის მეორე ნახევარში სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ასორტიმენტის კაბინეტმა ექვსი მათგანი მოიწონა, ხოლო სამი ახალი ქსოვილი — ზედა საპერანგე, სახალათე და ქალის საკოსტუმე, მიზანშეწონილად მიიჩნია ექსპონირებულიყო ბრიუსელში.



გალვანომეტრი.



სტაციონალური ალბედომეტრი.

ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე მდიდრულად იქნება წარმოდგენილი, აგრეთვე, საქართველოს კვების ინდუსტრია. ექსპონატების სია ჩაის, თამბაქოს, კონსერვის, მინერალური წყლებისა და მეღვინეობის პროდუქციის მრავალ ათეულ დასახელებას შეიცავს. ასე, მაგალითად, ექსპონირებულია ღვინოები „წინანდალი", „თელიანი", „მუკუზანი", „გურჯაანი", „ტიბაანი", „კარდანახი", „ანაგა", ლიქიორები, „ენისელი", ძველი და ძალიან ძველი, ვარციხის კონიაკები; მინერალური წყლები „ბორჯომი", „საირმე", „ძაუსუარი", პაპიროსი „საქართველო" და „რეკორდი". აგრეთვე, წარმოდგენილი იქნება ქართული ჩაის მრავალი სახეობა.

საბჭოთა პავილიონის რესტორან „როსიასათვის" გაიგზავნა 100 ათასზე მეტი ბოთლი ქართული ღვინო.

ბრიუსელის გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება, აგრეთვე, საქართველოს კუსტარული ნაწარმიც, მათ შორის ოქრომკედით მოქარგული ქსოვილები, ხეზე ნაკეთობა, კერამიკა და სხვ.




ა. მელაძე და „თბილწყალსადენის“ სამმართველოს უფროსი ე. შარაშენიძე (მარჯვნივ) ათვალიერებენ ბულაჩაურის წყალსადენის მაგისტრალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ი. ფანიანელი**

ცხრას ხუთი წუთი აკლდა.

თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის შესასვლელის ვეებერთელა კარები წარამარა იღებოდა. შიგ განუწყვეტლივ შედიოდნენ განყოფილებათა და სამმართველოთა მუშაკები. ყველანი სამსახურისაკენ მიეშურებოდნენ.

ჩვენც მივყევით ამ საქმიან ნიაღვარს, ავედით მეორე სართულზე და მივმართეთ თავმჯდომარის მდივანს:

— ჩვენ რედაქციიდან ვართ. გვინდა ვესაუბროთ ამხანაგ მელაძეს. ხომ არ გვეტყვით, დაახლოებით, რომელ საათზე მოდის სამუშაოდ?

— რატომ დაახლოებით?... სავსებით ზუსტად შემიძლია მოგახსენოთ: ალექსანდრე ერასტის ძე უკვე ოცი წუთია თავის კაბინეტშია, — მოგვიგო მდივანმა ქალმა.

ამ დროს კოშკის საათმა ცხრაჯერ დარეკა, ხოლო, რამდენიმე წუთის შემდეგ, მე და ჩვენი ფოტორეპორტიორი უკვე შევედით თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის — ალექსანდრე მელაძის კაბინეტში.

რეფერენტი ზურაბ ტარიელაშვილი ამთავრებდა დილის მოხსენებას და თავმჯდომარეს სთავაზობდა უკანასკნელ ქაღალდებს ხელმოსაწერად და რეზოლუციებისათვის.

— სულ ესაა!... მეტი აღარაა სასწრაფო ქაღალდები?

— მეტი აღარაა... აი კიდევ ერთი დეპეშა რიგის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ლეცისისგან, — და ტარიელაშვილმა დიდი ფოტოდეპეშა მიაწოდა.

— ვნახოთ, რას იწერება ჩემი მეგობარი, — მელაძემ სასწრაფოდ გადაავლო თვალი ფოტობლანკს და გადმოგვცა: — წაიკითხეთ, უთუოდ დაგაინტერესებთ... უნდა გითხრათ, რომ ორი ქალაქის — თბილისისა და რიგის — შეჯიბრება ეს თვიური და წლიური გეგმების შესრულების უბრალო საქმიანი ხელშეკრულება როდია. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის უდიდესი სტიმული ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში. ლატვიელებსა და ქართველებს თანაბრად სურთ, რაც შეიძლება ჩქარა გადაიქცეს ჩვენი დედაქალაქი კეთილმოწყობილ, ლამაზ სოციალისტურ ქალაქად. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ორი ქალაქის სოციალისტური შეჯიბრება გადაიქცა იმაში შეჯიბრებად, თუ ვინ გაუწევს უფრო მეტ დახმარებას მეორე მხარეს ხელშეკრულების მუხლთა შესრულების საქმეში. და აი შედეგები, რომელთა შესახებაც სიამოვნებით ვაცნობე ამხანაგ ლეცისს და ქალაქ რიგის მშრომელებს: თბილისის მრეწველობამ შარშანდელი სახელმწიფო გეგმა 110,9 პროცენტით შეასრულა. ქალაქის მშრომელებმა გეგმის გადაჭარბებით სამშობლოს მისცეს 507 მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია. ათვისებულია ახალი რთული მანქანებისა და დაზგების გამოშვება. თბილისი ახლა უშვებს გაუმჯობესებულ სახარატო-საქარხნო ჩარხებს, ახალ პიანინოს — „საქართველოს“, სამთო და საველე ტრაქტორებს, ჩაისსაკრეფ მანქანებს, ათობით ახალი სახის ქსოვილს, ტანისამოსისა და ფეხსაცმელის ახალ მოდელებს. ყველაფერს ვერ ჩამოთვლი. რამდენიმე ხნის წინათ კი ჩვენ აღვნიშნეთ შესანიშნავი გამარჯვება — თბილისის ელმავალთა მშენებელმა ქარხანამ აითვისა და 30 დღეში გამოუშვა პირველი მაგისტრალური რვაღერძიანი ელექტრომავალი, აგრეთვე, ქართული მარკისა. მაგრამ ყველაზე სასიხარულოა ის, რომ შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა 100.700 კვადრატული მეტრი საბინაო ფართობი...

— რიგელთა საქმეები როგორღაა?

— ისინიც არ ჩამოგვრჩნენ. მათაც თითქმის გადაჭარბებით შეასრულეს შარშანდელი გეგმა. ჰოდა, ასე გამოდის: ჩვენს შეჯიბრებაში არიან გამარჯვებულები, მაგრამ არ არიან დამარცხებულნი.

შემდეგ მელაძემ მიმართა რეფერენტს და დაუმატა: — ჩემი სახელით შეადგინეთ საპასუხო დეპეშა და ჩასწერეთ, რომ ყველა კითხვაზე ვუპასუხებ ვილჰელმ პეტრეს ძეს მორიგი რადიო-საუბრის დროს... და არ დაგავიწყდეს — გადაეცი სალამი მის მეუღლეს სტეპანიდა ანდრეევნას... მორჩა!.. ახლა მოუხმეთ ჩემს მოადგილეებს, მანამდე კი გაზეთებს გადავხედავ, შემდეგ დრო აღარ მექნება.

...ათის თხუთმეტ წუთზე დაიწყო, ასე ვთქვათ, თავმჯდომარის ყოველდღიური საქმიანობის მეორე ეტაპი — ოპერატიული თათბირი ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელ მუშაკებთან.

კაბინეტში თითქმის ერთდროულად შემოდიან მოადგილეები — შ. კოჭლაძე, თ. ქუთათელაძე, ბ. ლომიძე და ი. გეტაშვილი, ქალაქის აღმასკომის მდივანი შ. ბაქრაძე და თავმჯდომარის თანაშემწე კ. სოკოლოვი.

მელაძე მიესალმა ყველას და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— მოდი, დავიწყოთ მისგან, ვისაც ყველაზე სასწრაფო საკითხი აქვს.

— მე მაქვს სასწრაფო საკითხი, — თქვა შალვა კოჭლაძემ. — ეს-ეს არის დამირეკეს, რომ მიასნიკოვის ქუჩის № 66-ში კედელი გაიბზარა და ორსართულიანი სახლი ავარიულ მდგომარეობაშია, ყველა მობინადრე გარეთ გამოცვივდა, ნანგრევებში მოყოლის ეშინიათ.

— კედელი რომ გაიბზარა, ეს არაა გასაკვირველი — მიასნიკოვის ქუჩაზე თითქმის ყველა სახლი ჯერ კიდევ ერეკლე მეფის დროსაა აგებული, ხოლო რაიონის ინჟინრებმა რომ დროზე არ ჩაატარეს რემონტი და არ მიიღეს წინასწარი ზომები ავარიის წინააღმდეგ, ეს არაფრად არ ვარგა. ამის შესახებ კიდევ მოვილაპარაკებთ. ახლა კი, ამხანაგო შალვა, საჩქაროდ გაგზავნეთ სპეციალისტთა კომისია, დაე გამოარკვიონ, რაშია იქ საქმე და, თუ არსებობს დანგრევის ოდნავი საფრთხე, მობინადრენი დაუყოვნებლივ გადაასახლეთ სხვა ბინებში. გამოუყავით მათ საცხოვრებელი ფართობი სარეზერვო ფონდიდან. კიდევ?

— ლენინის რაიონში ძლიერ ბევრი დანაგვიანებული ეზოა, მანქანები ვერ აუდიან ნაგავის გამოზიდვას.

— განკარგულება გაეცით, რათა გაადიდონ მანქანათა რაოდენობა და ნაგავი გაზიდონ კვირაში ერთხელ კი არა, არამედ ყოველ 2-3 დღეში. ქალაქის სუფთად დაცვა ეს ჩვენი წმიდათა წმიდა მოვალეობაა. ამ მხრივ რიგა საუცხოო მაგალითს გვიჩვენებს. თქვენ რაღა გაწუხებთ, ამხანაგო თინა?

თინა ქუთათელაძეს ორი საკითხი აქვს და ორივე ჩვენი დედაქალაქის 1500 წლისთავთანაა დაკავშირებული. მისი წარდგენით იქვე გადაწყვიტეს — დაევალოს ქალაქპროექტს გაკეთოს თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასალის მომავალი ძეგლის მეტრნახევრიანი მოდელი და თხოვნით მიმართოს თბილისის კინოსტუდიას — გამოუშვას ქალაქის იუბილისადმი მიძღვნილი სპეციალური ფილმი.

ბ. ლომიძე ათანხმებს საკითხს ქალაქის ახალ რაიონებში კომუნალური მომსახურების რამდენიმე საწარმოს გახსნის შესახებ.

— იქვე საჭიროა გაიხსნას ახალი მაღაზიები და სასადილოები, — დასძენს ი. გეტაშვილი, რომელიც განაგებს ვაჭრობის საკითხებს, — აი სია, გთხოვთ მისცეთ სანქცია.

მელაძე ხალისით თანხმდება ორივე წინადადებას და იქვე აძლევს ვიზას წარმოდგენილ სიებს.

— სწორია, ამხანაგებო, რადგან ადამიანებს სახლები ავუშენეთ, საჭიროა ერთბაშად ყველა მათს საჭიროებასა და მოთხოვნილებაზეც ვიზრუნოთ. ესეც ჩვენი მოვალეობაა... თუ სხვა საკითხი არაფერი გაქვთ, აღარ მოგაცდენთ...

როცა საათმა ათჯერ ჩამოკრა, მელაძე უკვე კიბეზე ჩამოდიოდა. ის პირველ სართულზე ჩავიდა, სადაც მშრომელთა მისაღები ოთახია. იქ მას შეხვდა მისაღები ოთახის გამგე გუგული სკამკოჩაშვილი.

— აბა, როგორაა საქმე, გუგული, დღეს ბევრია ჩაწერილი მისაღებად? — კითხულობს მელაძე.

— ორმოცდაორი კაცი.

— ბლომადაა... მაგრამ არა უშავს



კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ქიმიურ-მეტალურგიული ლაბორატორიის გამგე ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ნიკოლაიშვილი (მარჯვნივ) თბილისის საბჭოს თავმჯდომარესთან ბინის საკითხზე.



თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ჟ. მელაძე კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში ესაუბრება მექანიკურ-საამწყობო საამქროს ნოვატორ ხარატს რ. სოხაძეს.

მფიქრობ, ოთხ საათამდე გავართმევ თავს. ოთხზე აუცილებლად ობიექტებზე უნდა წავიდე. დღეს დავათვალიერებ საბურთალოსა და ვაკის მშენებლობას, იქ, ზოგან ტემპებს უკლეს, უნდა გავიგო, რაშია საქმე. წინასწარ დაურეკეთ ორჯონიკიძის რაიალმასკომის თავმჯდომარეს, სთხოვეთ ამ დროისათვის მოვიდეს ახალ სახლებთან— პავლოვის ქუჩაზე, და თუ იქ ვერ მომისწრებს, ახალი მაგისტრალის მშენებლობაზე წავიდეს. და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი მეგრელიშვილიც გააფრთხილეთ, ისიც ჩემთან წამოვა.

— დღევანდელ ფოსტას აღარ გასინჯავთ? — ეკითხება თავმჯდომარეს რეფერენტი, რომელიც მისაღები ოთახის კარებთან წამოეწია მას.

— როგორ არა! დავბრუნდები ობიექტებიდან ექვსის ნახევარზე და მაშინ... კიდევ, რომ არ დამავიწყდეს, საღამოს ოფიცერთა სახლში უნდა ვიყო, მთხოვეს მოხსენება გავაკეთო თემაზე: „როგორია ჩვენი ქალაქი დღეს და როგორი იქნება ის ხვალ".

რეფერენტი წავიდა, ხოლო მელაძე ჩქარი ნაბიჯით გაემართა მისაღები მაგიდისაკენ.

ოთახში, მისაღების გამგის გარდა, იმყოფებიან იურისკონსულტი, საბინაო სამმართველოს მთავარი ინჟინერი, მიწის ნაკვეთთა გამოყოფის ბიუროს გამგე და კიდევ რამდენიმე მუშაკი. ისინი ჩვეულებრივ ესწრებიან მშრომელთა მიღებას კონსულტაციისათვის და, ასე ვთქვათ, მოქმედების მსვლელობისას სინათლე შეაქვთ ყველა საკითხის გარკვევაში.

ასეთი სისტემა ძლიერ ეხმარება საკითხის სწრაფ გამორკვევას და საშუალებას აძლევს თავმჯდომარეს იქვე ოპერატიულად გადაწყვიტოს ყველა საქმე, ამომწურავი პასუხი გასცეს მთხოვნელებს.

შემოდის ჭაღარა კაცი. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ის მხნედ და ყოჩაღად გამოიყურება.

— მიხეილ ხაპროვი, — ხმამაღლა აცხადებს გუგული სკამკოჩაშვილი.

— ა... ძველი მეგობარი... ეს, ამხანაგებო, ცნობილი მემოდელეა ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში, — გვიხსნის მელაძე და მაგრად ართმევს ხელს მოხუცს. — ამხანაგო ხაპროვ, პენსიაზე ხომ არ გადადიხართ?

— არა, ალექსანდრ ერასტოვიჩ, ვმუშაობ, ჯერჯერობით ხელებშიც საკმაო ძალა მერჩის და თვალიც კარგად მიჭრის. თვეში ორი ათას მანეთზე მეტი გამომუშავება მაქვს. ჯერ ადრეა პენსია.

— ყოჩაღ, ხაპროვ. აბა, გვიამბე, რა გაწუხებს, რას მოითხოვ.

— ჩემი სიძე რამდენიმე ხნის წინათ, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, დაიღუპა. დარჩა ჩემი ქალიშვილი ორი პატარა ბავშვით. ახლა ვიფიქრეთ, ჩავაბაროთ მისი და ჩემი ოთახები ისე, რომ თქვენ სადმე ერთად მოგვცეთ ორი ოთახი, რათა მთელი ოჯახი ერთ ჭერქვეშ ვიყოთ.

— ეს სურვილი სავსებით ბუნებრივია, — ეთანხმება მელაძე და მიმართავს საბინაო განყოფილების მუშაკს, — თქვენ გაეცანით ამხანაგ ხაპროვის განცხადებას?

— დიახ.

— საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ?

— არა.

— კარგი, ამხანაგო ხაპროვ. დავაკმაყოფილებთ შენს თხოვნას. ნახვამდის. თუ საქმე როგორმე გართულდეს, ნუ მოგერიდება, პირდაპირ დაგვირეკე, ანდა ჩემთან მოდი...

მიღება გრძელდება... მოხუცები, ინვალიდები და ბავშვიანი ქალები, როგორც წესი, პირველ რიგში შემოდიან. და თითქმის ყველა თხოულობს საცხოვრებელ ფართობს.

დიახ, ბინის საკითხი, ჯერ კიდევ ყველაზე მწვავე საკითხია ჩვენს ქალაქში!..

— ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მუშაკი ივანე გამაზაშვილი, — აცხადებს სკამკოჩაშვილი.

შემოდის მაღალი, გამხდარი მოხუცი, საკმაოდ გაცვეთილ სპეცსამოსში.

— რა სამუშაოს ასრულებ? — ეკითხება მელაძე.

— ვმუშაობ დარაჯად. გთხოვთ გადაწყვიტოთ ჩემი დავა მეზობელთან. ჩვენი სახლის გეგმის ნახაზებიც კი მოგიტანეთ... აი, დახედეთ, აქ ვცხოვრობ მე, აქ კი...

— მოითმინეთ, მოითმინეთ, — აწყვეტინებს მას მელაძე. — ნახაზების გასინჯვას მოვასწრებთ. ჯერ ეს მითხარით, რატომ გაცვიათ ასეთი ძველი და დაგლეჯილი სპეცსამოსი.

— ახალს არ იძლევიან...

— გუგული, შემაერთეთ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსთან.

სკამკოჩაშვილმა აკრიფა ტელეფონის ნომერი და მილი თავმჯდომარეს გადასცა.

— ამხანაგი მშვიდობაძე ხართ?... გამარჯობა, გელაპარაკებათ მელაძე... ჩემთან მოვიდა თქვენი დარაჯი — ამხანაგი გამაზაშვილი, ბინის საკითხზე. მის თხოვნას, რასაკვირველია, განვიხილავთ და შეძლებისამებრ დავაკმაყოფილებთ, მაგრამ საქმე ისაა, რომ მას მთლად დაგლეჯილი სპეცსამოსი აცვია, ახალს, ალბათ, არ აძლევენ. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება და, საერთოდ, როგორც ჩანს, მას მატერიალური დახმარება ეჭირვება... გვარი ჩაიწერეთ? გმადლობთ...

ივანე გამაზაშვილს ცვლის სამამულო ომის ინვალიდი ვაჩაძე. ის ისტორიკოსია. სამუშაოზე მოწყობა უნდა და მისთვის სასურველია, თუ ეს სამუშაო კიროვის რაიონში იქნება, რადგან იქ ცხოვრობს. ინვალიდს შორს სიარული უძნელდება.

— თქვენი რაიალმასკომის თავმჯდომარე კოპალიანს თუ მიმართეთ? არა? მაშ, მომიხდება მე გავაკეთო ეს თქვენს მაგივრად...

და კვლავ ტელეფონით საუბარი:

— ამხანაგო დავით, მელაძე გელაპარაკებათ... თქვენთან მოვა ამხანაგი ვაჩაძე, სამუშაოზე მოწყობა სურს, განათლებით ისტორიკოსია. გთხოვთ, აღმოუჩინოთ დახმარება!..

და ასე ერთიმეორეზე 42 კაცი იყო იმ დღეს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან, გააცნეს მას თავიანთი საჭიროებანი და გადაწყვიტეს ბევრი მტკივნეული საკითხი.

მიღება ნაშუადღევის 4 საათისათვის დამთავრდა.

და, აი, ჩვენ უკვე საბურთალოსკენ მივდივართ.

ჩვენთან მანქანაშია კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი კარლო მეგრელიშვილი. გზადაგზა გაიმართა საუბარი და, რასაკვირველია, ისევ თბილისზე.

— იცით თუ არა თქვენ, — გვეკითხება მელაძე, — რომ ჩვენს ქალაქს 26 კილომეტრი სიგრძე და ზოგან ხუთი კილომეტრი სიგანე აქვს? ხოლო ქუჩებისა და შესახვევების საერთო სიგრძე 500 კილომეტრს აღწევს? აი როგორ გაიზარდა და გაიშალა ჩვენი თბილისი. მაგრამ ის კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. მასობრივი საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილია ახალი უბნები ღრმაღელეში, ნავთლუღში, დიღომში. მაგრამ მთავარი ამბები საბურთალოში ხდება. ახლა იქ მიმდინარეობს დიდი მასივის კონცენტრაციული გაშენება. ეს იქნება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების 350 ათასი კვადრატულ-მეტრიანი საერთო ფართობი. პავლოვისა და კომინტერნის ქუჩებზე მთავრდება მსხვილბლოკებიანი სახლების პირველი ათეულის მშენებლობა და გრძელდება კიდევ ცხრამეტი სამსართულიანი შენობის აგება.

— საცხოვრებელ სახლებს მარტო ქალაქის საბჭო აგებს?

— არა, ამ საქმეში ძლიერ გვეხმარებიან სახელმწიფო ორგანიზაციები, საბინაო ამხანაგობები (ისინი უკვე ასამდის არიან) და ინდივიდუალური მშენებლები. მაგრამ სახლების აგება ჯერ კიდევ ყველაფერს როდი ნიშნავს. ისინი უნდა უზრუნველვყოთ წყლით, ელექტროობით, კანალიზაციით... დღესდღეობით ჯერ კიდევ 50-დე ქუჩას არ გააჩნია განათება. წყალიც არაა საკმაო, მაგრამ წელს, ვფიქრობ, ეს საკითხიც სავსებით მოგვარდება, უახლოეს ხანში ამოქმედდება სამგორის წყალსადენის პირველი რიგი, წამში ასობით ლიტრის სიმძლავრისა.

— ამხანაგო მეგრელიშვილო, აქ რატომ ქუჩის ნახევარს ასხამენ ასფალტს? — ჰკითხა მელაძემ მთავარ ინჟინერს, როცა მივუახლოვდით ახალ სახლებს ნანეიშვილის ქუჩის ბოლოს.

— ეს ხდება სისწრაფისათვის, გადავწყვიტეთ ჯერ მოვაასფალტოთ თუნდაც ერთი ნახევარი...

— ასე არ ივარგებს!.. ეს რა გამოდის? თუ კეთდება, ერთბაშად ყველაფერი გაკეთდეს...

სამშენებლო მოედანზე შეგვხვდა სამუშაოთა მწარმოებელი ვ. კაკაბაძე. მასთან ერთად მელაძემ თითქმის მთელი მშენებლობა შემოიარა. ბევრი რამ აინტერესებდა მას აქ: თუ როგორი ეზო ექნება ამ სახლს, სწრაფად თუ მოაქვთ საშენი მასალა და როგორი ხელფასი აქვთ მუშებს.

— სულ 20-25 წლის წინათ თბილისში 400.000 მცხოვრები იყო, ახლა კი მოსახლეობა თითქმის ორმაგად გაიზარდა. ნამდვილად საჭიროა მეორე ქალაქის აგება... და როგორც ხედავთ, ვაშენებთ... შეხედეთ, ადამიანთა რა დიდი არმიაა ჩაბმული მშენებლობაში,—მელაძემ დაგვანახვა ვეებერთელა სამშენებლო უბანი.

სადაც გაიხედავთ, ყველგან მოჩანს ცაში აწვდილი ამწეები, ყველგან ამართულან ხარაჩოები.

მელაძემ კიდევ დაათვალიერა რამდენიმე მოედანი და მიგვიწვია ახალი მაგისტრალის მშენებლობის დასათვალიერებლად. ესაა ახალი ფართო გამზირი, რომელიც საბურთალოს შეაერთებს ვაკესთან. ეს მაგისტრალი იწყება პავლოვის ქუჩიდან, გადაჭრის დიდ გორაკს (მდინარე ვერის მარცხენა ნაპირზე) და გავა ვაკის ახალ პარკთან.

გზაზე თავისი „მოსკვიჩით" წამოგვეწია ორჯონიკიძის რაიალმასკომის თავმჯდომარე შ. კუპრაძე, და მასთან ერთად გავემართეთ ახალი მშენებლობის ადგილზე.

სწორედ რომ გრანდიოზული სანახაობაა ეს მშენებლობა!

მთელი კილომეტრის მანძილზე განუწყვეტლივ გუგუნებენ ყოველგვარი მანქანის ძრავები—აქაა ბულდოზერები, სამთო ტრაქტორები, მიწისმთხრელები, ექსკავატორები, საბარგულები, თვითმცლელები. და ყველაფერი ეს მოძრაობს, ზოგი გორაკის მწვერვალზე, სხვები მის კალთებზე, დანარჩენი — ხეობაში.

მყუდროება აქაურმა სამუშაოთა მწარმოებელმა დ. სიხარულიძის ხმამ დაარღვია:

— ცემენტი არ გვყოფნის, ორი დღის მარაგი ძლივს გვექნება... გთხოვთ მიიღოთ ზომები...

და კვლავ საქმიანი კითხვები, განკარგულებები, მითითებები...

ექვსი საათი იწყებოდა, როცა ვბრუნდებოდით ქალაქის საბჭოში.

— აი, მივედით კიდეც, ახლა დღევანდელ ფოსტას უნდა გავეცნო... საღამოს ხომ ოფიცერთა სახლში უნდა გამოვიდე...

მოხსენების შემდეგ პირდაპირ სახლში წავალ, კონცერტზე არ დავრჩები. უნდა გამოგიტყდეთ, რომ შინ საკუთარი კონცერტი მაქვს. ჩემი ქალიშვილი ალმირა ამთავრებს მუსიკალური სასწავლებლის საფორტეპიანო კლასს. კარგად უკრავს. ამას წინათ მოსწავლეთა კონცერტზე მან შეასრულა ვერდისა და ლისტის ნაწარმოები, ნაწყვეტები „რიგოლეტოდან" და, როგორც ამბობენ, წარმატებითაც... აი ასე მთავრდება ჩემი სამუშაო დღე. თქვენც ხომ ეს გაინტერესებდათ?

თავმჯდომარეს მაგრად ჩამოვართვით ხელი და მადლობა გადავუხადეთ საუბრისათვის.

საკლავიშო ინსტრუმენტების ქარხნის სამშენებლო უბანზე.



# რა მოაქვთ ქართველ არქეოლოგებს დედაქალაქის იუბილეზე

გ. ლომთათიძე

ძველი ნივთიერი კულტურის, მიწით დაფარული ძეგლების გამომამზეურებელმა, გამთხრელმა და შემსწავლელმა მეცნიერებამ — არქეოლოგიამ არცთუ ისე დაგვიანებით მოიკიდა ჩვენში ფეხი. საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის მიწის წიაღის სისტემურ თხრას — ავად იყო თუ კარგად — ხელი მიჰყვეს 1870-იანი წლების დამდეგს.

მცხეთის არქეოლოგიური შესწავლა XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში საკმაოდ ნაყოფიერიც გამოდგა და საგრძნობლადაც დაწინაურდა (ოღონდ უდიდესი ძეგლების იქ აღმოჩენა ქართულ საბჭოთა არქეოლოგიასა ხვდა წილად). თბილისი კი ამ მხრივ სრულიად მივიწყებული იყო: არათუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, არამედ დიდი სამამულო ომის დასრულებამდეც კი აქ მეცნიერულად თითქმის არა გათხ-



ღრმა-ღელეში, სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევარი. (გვიანი ბრინჯაოს ხანა, ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლო)

რილა რა, თუმცა ჯერ კიდევ 1850-იან წლებში დაწყებულა ქალაქის სხვადასხვა უბნებში შემთხვევით (მეტწილად, რა თქმა უნდა, მშენებლობისას) აღმოჩენილი ნაშთების აღნუსხვა და ზოგჯერ „კავკასიის მუზეუმში“ მიტანა, შენახვა. მაშინდელი თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის სიტყვით, ახალი თბილისი „ძველი თბილისის ნანგრევებზეა აგებული და მისი ქვენიადაგი სავსეა სხვადასხვა დროს განადგურებულ ყოველგვარ ნაგებობათა კედლების ნაშთებით“.

1887 წელს გაზეთმა „ივერიამ“ (№ 30) დაბეჭდა ხელმოუწერელი ცნობა იმის შესახებ, რომ „გარეთუბანში“ უკვე გაუთავებიათ წყალსადენის მილების ჩაწყობა და ახლა ძველ ქალაქში შესდგომიან, „ფრანგების ქუჩაზე“ (ამჟამად „1 მაისის ქუჩაა“, ლესელიძის ქუჩის დასაწყისთან). ავტორი აღნიშნავს, რომ „გარეთუბნის ქუჩებში, სადაც სულ ახალი და გაუტეხელი მიწაა“, არხების თხრა ისე საინტერესო არ იყო არქეოლოგთათვის, როგორც ძველ ქალაქში, სადაც უამრავი სხვადასხვაგვარი ნაშთი ამოსდევს მიწას — თიხისა თუ მინის ჭურჭლის ნამტვრევი, აგური, ფული, წყალსადენის თიხის მილები, ძვალი და სხვ. მისი სიტყვით, „ამ არხებს რომ უყურებთ, თვალწინ ნათლადა ხედავთ, თუ რა სახით მარხია ეხლანდელის აყვავებულ ქალაქის ქვეშ მრავალ საუკუნეთა ნანგრევი ძველის ტფილისისა“. ბოლოს უსახელო, გულშემატკივარი ავტორი სინანულით დასძენს: „ყველა ამას სხვა განათლებულ ქვეყანაში, საცა კი არქეოლოგები არიან, ამისთანა შემთხვევაში დიდს ყურადღებას მიაქცევდნენ და დიდის გაფაციცებით გამოიკვლევდნენ... სულ არაფერიც რომ არ იპოვონ საჩინო საარქეოლოგიო ნივთი, მაინც თვით ნაგებობა კედლებისა, აგურების ლორლი რასმე აგვიხსნიდა ძველი ტფილისის ქალაქის მოწყობილობისასა და შენობისასაო“.

ძალიან დიდ ხანს, სამოციოდე წელიწადს კიდევ მოუხდა ლოდინი „აყვავებული ქალაქის ქვეშ“ დამარხულს მრავალ საუკუნეთა ნანგრევს „ძველი ტფილისისა“, სანამ არქეოლოგები გეგმიერად, დარაზმულნი მიჰყოფდნენ ხელს მის „გაფაციცებით გამოკვლევას“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა ომის შემდგომი პირველი ხუთწლედის (1946-1950 წ.წ.) არქეოლოგიური კვლევა-ძიების გეგმაში შეიტანა ძველი თბილისის შესწავლის დაწყებაც. ეს უნდა ყოფილიყო ინსტიტუტის წვლილი ქალაქის მომავალი იუბილესათვის სამზადისში. დასახული გეგმა განხორციელდა 1948-1949 წლებში, როდესაც ხუთი თვის განმავლობაში, ნაბიჯნაბიჯ გაითხარა კარგა დიდი ფართობი 300 არაგველის ბაღის გვერდით (ძველი ხარფუხ-სეიდაბადისა და ორთაჭალის მიჯნაზე, ახლანდელი მიასნიკოვისა და გრიშაშვილის ქუჩათა შორის), ამ ბაღის გასაფართოებლად წარმოებული მუშაობის პარალელურად. ინსტიტუტის ექსპედიციამ (ჯერ ო. ჯაფარიძისა და შემდეგ ამ წერილის ავტორის მეთაურობით, აკად. ნ. ბერძენიშვილის საერთო ხელმძღვანელობით)[1] გამოავლინა საკმაოდ რიგიანად შენახული ნაშთები თიხის ნაირ-ნაირი ნაწარმის საკეთებელი სახელოსნოსი. ეს უკანასკნელი ქალაქის ზღუდეზე ყოფილა მიშენებული შიგნიდან: ასე იყო წესად შუა საუკუნეთა ქალაქებში, სადაც ცდილობდნენ მუდმივი ცეცხლით მომუშავე საწარმოები ქალაქის განაპირა უბნებში მოეწყოთ ხოლმე. გამთხრელთათვის უეჭველი შეიქნა, რომ სახელოსნოს უმუშავნია XII-XIII საუკუნეებში, თამარისა და მისი ქალ-ვაჟის, ლაშასა და რუსუდანის მეფობის დროს, ე. ი. „რუსთაველის ხანაში“. გულმოდგინე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სახელოსნო უცბად იყო განადგურებული: იგი გადაუწვავთ, შენობები ჩაქცეულა და ნანგრევს ქვეშ მოუქცევია ჭურჭლის საწვავი ქურები, გამოსაწვავად გამზადებული თუ ნახევარფაბრიკატი ჭურჭელი, ნედლეული, ხელსაწყოები, თონეები, კერები და სხვ. სახელოსნოს წინ აღმოჩნდა ორი ადამიანის ჩონჩხი, რომელთაგან ერთს თან ახლდა ტილოს ქისითა თუ ჯიბით შემონახული 130 სპილენძის ფული — უმეტესობა ქართული, რუსუდანის მოჭრილი. გამოითქვა აზრი, რომ ეს ჩონჩხი ეკუთვნის ერთ-ერთ მეჭურჭლე ხელოსანს, რომელსაც ვეღარ გაუსწრია სახელოსნოდან და ქალაქის ასაკლებად შემოსეული მტრის მსხვერპლი გამხდარა, ისევე, როგორც თვით სახელოსნო. არქეოლოგთა ვარაუდით, ეს ამბავი უნდა დავუკავშიროთ თბილისში მონღოლთა ერთ-ერთ (არა პირველ) მძვინვარე შემოსევას, XIII საუკუნის მეორე ნახევარში.

სულ 6 მრგვალი, მოგრძოძირიანი აგურით ნაშენი, ქურის ნანგრევი აღმოჩნდა. მათშიცა და მათ შორისაც მრავლად ეყარა ნაწარმი, რომლის ნაწილი უკვე მზად იყო გასაყიდად. მაგრამ არ გატანილა ბაზარზე, იმდენად ბევრი აღმოჩნდა მიმობნეული სპილენძის ფულიც, რომ გამოითქვა მოსაზრება, ეგებ ხელოსნები ადგილობრივვე ყიდდნენ თავიანთ ნახელავსო. ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იყო უმთავრესად ფერადი მხატვრული ჯამ-ჭურჭლით, რომელიც სხვადასხვა წესით მოხატული და სხვადასხვაგვარი ჭიქურით იყო დაფარული. უმეტესობას შეადგენდა საჭმელი თუ სასმისი ჯამები, მომცრო ნიჟარისებრი ჭრაქები და სამარილეები; შედარებით ნაკლები იყო დოქ-ხელადები და ქილები (ამათ შორის—დეკორაციული, საყვავილე და სხვ. „ვაზებიც“). ჭიქურის ფერთა შორის გაბატონებულია ცისფერი ანუ ფირუზისფერი, სოსანი და მწვანე; მოხატულობაში — გეომეტრიული, მცენარეული და ფრინველ-ცხოველთა სამყაროდან აღებული მოტივები (განსაკუთრებით ხშირად — მებრძოლი და მედიდური იერის მქოჩე ქორი და შევარდენი, აგრეთვე, არწივი, ლომი, შველი და სხვა). გარდა ჯამ-ჭურჭლისა, ამ სახელოსნოში უწვავთ მოჭიქული სამშენებლო კერამიკაც: კრამიტი და ჭერკედელ-იატაკის შესამოსი შორენკეცები. შესაძლოა, სწორედ ამ სახელოსნოში გამოეწვათ ის ცისფერი კრამიტი, რომლითაც თავის დროზე დაუბურავთ თბილისის მაშინდელ გარეუბანში მდგარი „ლურჯი მონასტერი“ (XII ს.), ამის გამო რომ დარქმევია ეს სახელი. აქვე უკეთებიათ ყვავილის რელიეფური გამოსახულებით დამშვენებული კრამიტი, რომელიც, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების მიხედვით, ძალიან გავრცელებული ყოფილა თბილისის სამხრეთით მდებარე, ისტორიული ქვემო ქართლის XI-XIII სს სასახლეტაძართა სახურავების შემადგენლობაში. მოსაზრებაც კი გამოითქვა, რომ ასეთი კრამიტის წარმოება სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენდა და, უმთავრესად, თბილისში იყო თავმოყრილი. ქურთა ნაშთების შორიახლოს გაითხარა ე. წ. „წარმოების გადანაყარის“ (ჭურჭლის ნალეწისა და წუნის) მძლავრი, ათეული წლობით დაზვინული გროვა, რომელშიც მრავლად გამოერეოდა, აგრეთვე, მინის ჭურჭლისა და სამაჯურთა ნატეხები. ამის გამო შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ იქვე კერამიკულთან ახლოს მინის საწარმოსაც უმუშავნია და გადასაყრელი ადგილი ორივეს ერთად ჰქონიათ.

დასასრულ, არა ნაკლებ საინტერესო გამოდგა შემდეგი გარემოება: 300 არაგველის ბაღის ძველი მიჯნის ჩაყოლებით შემორჩენილი ნაშთი ქალაქის ზღუდისა ჩვენ მიერ ჩატარებულ გათხრამდე ითვლებოდა XVII-XVIII საუკუნეთა ძეგლად (სხვათა შორის, იგი აღნიშნული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს თბილისის გეგმაზე, 1735 წ.); მერე კი გამოირკვა, რომ ამ კედელ-ბურჯებს შიგნიდან სულ სხვანაირად, გაცილებით უფრო ძველებურად ნაწყობი ფასადი ჰქონია და ამ უკანასკნელზე ყოფილა მიშენებული კერამიკული სახელოსნო — კერძოდ, ორი ქურა, ხოლო ბურჯების ძირას, იატაკის დონეზე რუსუდან მეფის რამდენიმე ფულიც აღმოჩნდა. აღარ უნდა იყოს საეჭვო, რომ არქეოლოგიურმა გათხრამ აქ, სხვა ძეგლებთან ერთად, გამოავლინა XII-XIII საუკუნეთა თბილისის გალავნის მცირე, მაგრამ მეტყველი და ტიპიური ნაშთიც, რაც არცთუ ისე ბევრი გვაქვს შემორჩენილი სადღეისოდ.

მთავარი კი მაინც ისაა, რომ თბილისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1948-1949 წლებში ამოამზეურა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს უდიდესი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული სიმძლავრის დროინდელი ხელოსნური წარმოების ნივთიერი ძეგლები და მათ შორის — მრავალრიცხოვანი ნაკეთობა, მთელი თუ დამტვრეული, წუნი თუ ვარგისი. ამან საშუალება მოგვცა თვალნათლივ წარმოგვედგინა, თუ როგორი (ტექნიკურადაც და მხატვრულადაც აშკარად კარგი) ჭურჭელი, საშენი მასალა და სამკაული უკეთებიათ იმ ხელოსნებს, რა მოწყობილობითა და ტექნოლოგიური წესებით აღჭურვილთ უმუშავნიათ, რა მაღალი ყოფილა მათი და მათი მყიდველების — მეტწილ ჩვეულებრივ მოქალაქეთა და გლეხთა — ესთეტიკური დონე. ამ ექსპედიციამ საძირკველი ჩაუყარა არა მარტო საკუთრივ თბილისის არქეოლოგიას, არამედ შუა ფეოდალური ხანის საქართველოს ხელოსნური წარმოების არქეოლოგიურ შესწავლასაც. ამის საჭიროება მით უფრო მოწიფული იყო, რომ მანამდე უკვე მრავლად გვქონდა დაგროვილი (დმანისის ნაქალაქარში ამონათხარი თუ ბევრ სხვა ადგილას შემთხვევით მონაპოვარი) XI-XIII საუკუნეთა კუთვნილი მოჭიქული მხატვრული კერამიკა და მინის ჭურჭელ-სამკაული, რომლებიც საგანგებო შესწავლის საგნად

[1] გამთხრელთა ანგარიშები დაბეჭდილია კრებულში: „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, წ. I, 1955.



ღრმა-ღელეში აღმოჩენილი შემკული საომარი ცული, შუა ბრინჯაოს ხანისა.



უჩა ჯაფარიძე — ვ. ი. ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დილა რუსთაველის პროსპექტზე

ფოტო გ. თიკანაძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახ. საქ. სახელმ. საჯარო

იქცნენ.[1] თბილისში ჩატარებულმა გათხრამ ძლიერ გაამდიდრა ამ ნაწარმის, ასე ვთქვათ, ასორტიმენტი და თან გამოამჟღავნა ტექნოლოგიის ზოგიერთი საიდუმლო, ასე რომ ახლა გაცილებით უფრო ღრმად შეისწავლება წარმოების რაობა. ამასთანავე შეგვექმნა გარკვეული წარმოდგენა ამხანაგურად, „ამქრად“ მცხოვრებ და მომუშავე ხელოსანთა ყოფა-ცხოვრებ..სა და შინა-სამეურნეო მოწყობილობის შესახებ (იქვე, სახელოსნოს გვერდით შემორჩენილი საქარე-მილიანი თონეები, ქვა-აგურით ამოყვანილი კერები, კერძის სამზადი უბრალო ჭურჭელი, დაკლული და შესაწვავად გამზადებული ღორი და ცხვარი და სხვ.). ამრიგად, არქეოლოგები „პირისპირ შეეჩეხნენ“ რუსთაველის თანამედროვე თბილელ მოქალაქე-ხელოსნებს, ნივთიერი დოვლათის უშუალო მწარმოებელთა ეს ერთ-ერთი რაზმი, დღენიადაგ ცეცხლის მხურვალებით ალანძული და ნედლი თიხის ზელით ხე-



ორხევთან, სამარხში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის საომარი ცული, „აღმოსავლურ-ქართული“ ტიპისა.

ლებდასვრილი შრომობდა, ათასობით აწვდიდა დედაქალაქსა თუ სხვა ქალაქ-სოფლებს ლამაზ კრამიტსა და შორენკეცს, გემოვნებითა და ნამდვილი ქართული იერით მოხატულ ჯამ-ჭურჭელს, მინის ჭურჭელსა და ფერად სამაჯურებს. არც შემთხვევითი იყო და თან ძალიან ნიშანდობლივიც გამოდგა, რომ პირველად სწორედ მშრომელთა თბილისის ამომზეურება ხვდათ წილად ქართველ არქეოლოგებს.

რაც შეეხება დიდკაცობისა და მეფეთა სასახლეებს, მათი ნაშთები თბილისში ძალიან მცირედაა წარმოდგენილი. უფრო სწორად რომ ითქვას, ერთადერთი ძეგლი, რომელიც დანამდვილებით მიეკუთვნება ასეთ ნაგებობათა რიცხვს, არის აგურით ნაშენი სასახლის ნანგრევი ერეკლე მეორის მოედანზე. იგი ითვლება XVII საუკუნის მაჰმადიანი, მაგრამ ნამდვილი პატრიოტი მეფის როსტომის სასახლის ნაშთად. 1949 წელს კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს თაოსნობით (არქეოლოგ ალ. კალანდაძის მიერ) გაიწმინდა ეს ნანგრევები და ფიქსაცია ექნა მის შემორჩენილ, უფრო დამხამარე სათავსოებით (აბანო და სხვ.) წარმოდგენილ ნაწილს. თბილისში სისტემატური თხრის განახლება მოხერხდა მხოლოდ ამ ორი წლის წინ — მას შემდეგ, რაც ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა 1956-1960 ხუთწლედში ერთ-ერთ ძირითად პრობლემად თბილისის ახალი სრული ისტორიის დაწერა დაისახა მიზნად და არქეოლოგებსაც დააკისრა ამ საქმეში ახალი წვლილის შეტანა.

ამჟერად უკვე ძველი თბილისის მეორე, ჩრდილო-დასავლეთ განაპირას იქნა წამოწყებული მუშაობა — იმ უბანში, სადაც ასიოდე წლის წინ სტეფანოზ ერისმთავრის (VII ს.) ვერცხლის ფული ეპოვნათ. ზოგადად მას შეგვიძლია ანჩისხატის უბანი ვუწოდოთ. აქ ავლევისა და მამაცაშვილის ვიწრო ქუჩებში წყალსადენის ახალი მილების ჩასაყრელად გაჭრილ თხრილში (ისევე, როგორც ძველად „ფრანგების ქუჩაზე“), რამდენსამე ასეულ მეტრზე გაშიშვლდა მძლავრი კულტურული ფენები. ყოველდღიური არქეოლოგიური მეთვალყურეობის წყალობით (ი. გრძელიშვილი) თავი მოეყარა დიდძალ საყურადღებო, ზოგჯერ თვისობრივ ახალ მასალას და ჯეროვანი მეცნიერული ფიქსაცია ექნა ამ შემთხვევით აღმოჩენას. მასალის დიდი უმეტესობა ისევე XI-XIII საუკუნეებს მიეკუთვნება. აქ წარმოდგენილია (ნატეხ-ნატეხ) ჩვეულებრივი წითელი თიხის საოჯახო-სამეურნეო ჭურჭელი (ქვევრი, თონე, სადღვებელი, ქილა, ხელადა, ჯამი, ჭრაქი, ქოთანი და სხვ.); წითლად შეღებილი ჯამ-ჭურჭელი; წითლად გამომწვარი და სხვადასხვა ფერად მოჭიქული ჯამები, ქილები და ჭრაქები; საშენი მასალა (აგურ-კრამიტი, ზოგჯერ— მოჭიქული) და სხვ. ამასთანავე თავი იჩინა თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურის რამდენიმე დამახასიათებელმა ნაწილმა, ისე რომ აქაც შეგვიძლია კერამიკული სახელოსნო ვივარაუდოთ. მრავალფერად მოხატული მოჭიქული ჯამების ნატეხთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი, რომელზედაც შემორჩენილა ჩაფხუტიან-თორიოსანი ქართველი მეომრის გამოსახულების ზედა ნაწილი. ასეთი ნახატი თბილურ კერამიკაში პირველად გვხვდება. დასასრულ აღსანიშნავია ერთი პატარა ტიგელი ანუ „ბუთა“, რომელსაც ოქროს რამდენიმე წინწკალი შეჰყინვია ზედ. ასეთ ხელსაწყოს დღევანდელი ოქრომჭედლებიც ხმარობენ ლითონის სადნობად. „ბუთა“ დღევანდელი „ვერცხლის ქუჩის“ მიდამოშია ნაპოვნი (ხოლო ამ ქუჩას კი, წესით, „ოქრომჭედელთა ქუჩა“ უნდა რქმეოდა, რუსებს რომ „ოქრომჭედლის“ მაგიერ „მევერცხლე“ არა ჰქონოდათ ტერმინად).

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევითს აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა თბილისის არქეოლოგიისათვის და გადაწყდა იმ ადგილას წესიერი მეცნიერული თხრის დაწყება, რათა შემდეგ ძველი ქალაქის სხვა ადგილებშიც გადატანილიყო მუშაობა. მით უმეტეს, რომ სწორედ იმ ხანებში საინჟინრო-გეოლოგიურმა ძიებამ (ბურღვამ) გამოავლინა მძლავრი კულტურული ფენები: ლესელიძის ქუჩაზე (20 მ), ერეკლე მეორის მოედანზე (6 მ.) და ენგელსის ქუჩაზე (15 მ.). რა თქმა უნდა, ეს ფენები ქალაქის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების შედეგადაა წარმოქმნილი და ამიტომ ისინი ბლომად უნდა შეიცავდნენ ნივთიერი კულტურის ძეგლებს, რომლებიც უეჭველად გაამდიდრებენ დედაქალაქის ისტორიას.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი შეამხანაგდნენ და 1956-1957 წლებში საკმაოდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი გათხრითი მუშაობა სწარმოებს. ექსპედიციას საერთო ხელმძღვანელობასა და კონსულტაციას აკად. ნ. ბერძენიშვილი უწევდა, ხოლო მეთაურობდა ი. გრძელიშვილი. ექსპედიციამ რამდენსამე ადგილას იმუშავა.

შავთელის ქუჩაზე აღმოჩნდა XVII საუკუნის საკანალიზაციო გაყვანილობა — ქართული აგურითა და კირით ნაშენი, ორფერდასახურავიანი. იგი უნდა ჩაითვალოს მაშინდელი (ალბათ, როსტომ მეფის დროის) თბილისის „მიწისქვეშა კომუნალური მეურნეობის“ საყურადღებო ძეგლად.

ანჩისხატის ტაძრის ეზოში გაითხარა ფილაქვითა და აგურით ნაშენი, XV-XVIII საუკუნეთა, ადრევე დახსნილი აკლდამები. აღმოჩნდა XV საუკუნის ქართული ფული, დღემდე უცნობი ტიპისა. თვით ტაძარი როგორც ცნობილია, VI საუკუნეშია აგებული, მაგრამ შემდეგ ძლიერ გადაკეთებულია და თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს. მით უმეტეს იწვევს ინტერესს გალავანში თხრისას აღმოჩენილი ნატეხი წითელი ტუფის ჩუქურთმიანი ქვისა, რომელზედაც სპეციალისტებმა გამოიცნეს სწორედ V-VI საუკუნეთათვის დამახასიათებელი



თბილისში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, ახ. წ. I-III საუკუნეებისა

ორნამენტი; ე. ი. პირვანდელი ტაძრის სამკაულის ნაშთი. ძველ ფენას მიეკუთვნება ზღვის დიდი ბრტყელი ნიჟარის ნატეხი, რომელზედაც შემორჩენილია არაბული წარწერა, წრეები და თითქოს გრადუსთა ნიშნები. ზოგიერთმა თამამმა არქეოლოგმა ეჭვი გამოთქვა, რაღაც ძველი გეოდეზიური ხელსაწყოს ნატეხი არ იყოსო.

(დასასრული იქნება)

[1] მონოგრაფიები: დმანისის მხატვრული კერამიკის შესახებ (ზ. მაისურაძე, 1953 წ.); საერთოდ ქართული მხატვრული კერამიკის შესახებ (ვ. ჯაფარიძე, 1956 წ.); მინის წარმოების შესახებ( ნ. უგრელიძე, 1955 წ.).

თამაზ ჭილაძე

# ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ „ᲦᲘᲐ ᲡᲐᲠᲙᲛᲔᲚᲘ“

## ᲠᲬᲛᲔᲜᲐ

მინდა დავხატო მფეთქავი მკერდი,
სამყარო მზეში და მზე—კანდელი...
მაგრამ ეჭვები მიმტვრევენ კედლებს
ფოლადის ფრთებით და ნისკარტებით,
ნისლში ირწევა შენი სხეული,
უნეტარესი, რტო ბროწეულის...
ნათლებმა ყველა მკერდი მარაკვლავი
მკვდრეთით ამდგარი და მოღწეული.
დე, წეროებად იქცნენ ფიქრები,
დაე, მუხებად იქცნენ ხელები,
დაე, სხეულში ჩადგეს გრიგალი,
ქარით გაივსოს სულის ხვრელები.
დაე, მზისხელა გახდნენ თვალები
და კანკალებდნენ ვნებით ძარღვები...
და გაზაფხულის სუნთქვით
მთვრალები
ბორიალობდნენ გულში ტალღები.
გადათეთრებულ კედლის წინაშე
ბინდში ანთია თეთრი სინდისი,
ლიბანის მწვავე ცისარტყელები,
მცხეთა, ატენი, გორი, შინდისი.
მე ამ თეთრ კედელს ვახატავ
ფიქრებს,
ჰყვავიან ჩემი სისხლის წვეთები,
ბროწეულებზე სხედან მტრედები —
მარტო ლექსისთვის გასამეტები.
ვარ ფიქრი მიწის კიდით კიდემდე —
სამშობლოს გულში გადარწეული,
ვიცი არასდროს წამეკიდება
შურის, პატივის ცეცხლი წყეული.
მეც სადღაც მიცდის ჩემი ხარონი,
ოღონდაც ადრე ნუ უხარია,
დაულეველი დამრჩა წყარონი
და სიკვდილამდე დიდი ხანია...

## ᲙᲐᲪᲘ—ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

მთებზე ბალახობს ვახტანგის ცხენი,
მხედარს თბილისის ფუძეში სძინავს,
და მკერდზე დასდის, სისხლივით
ცხელი,
ათასწლეულის თოვლი და წვიმა.
ქვიტკირებს ქარი სიამეს აკმევს,
ჩურჩულებს ხავსი, როგორც არაკი...
თვალახელილი ათასი სარკმლით —
წევს დიდებული კაცი—ქალაქი...

## ᲬᲘᲥᲐᲠᲐ

ჩემი ცრემლების მარილს ლოკავდი,
ალზევანიდან როცა მომყავდი,
როგორ მეგონა, ჯავრი მოგკლავდა
იმ ჯადოსნური სალამურისა,
რომელიც მხოლოდ ზღაპარში
კვნესის —
შემკრთალი ხიმი მართალ სულისა...
მე ვერ გიმღერე სხვა უკეთესი
შენი სიცოცხლის დასასრულისას...
გაგიტეხია შუბლი ფიქალი
და ზღაპარივით ქრები, წიქარა...

* * *

ყოველ სადგურზე სულ ერთი წამით
ჩამოვალ, სანამ დარეკავს ზარი...
ყოველ სადგურზე შენს სახელს
ვიტყვი,
თავს მოვაბეზრებ გამყოლებს
მგზავრი.
ხმას ავაყოლებ ორთქლმავლის
კივილს,
ბორბლების გრიალს,
მავთულის წივილს.
თვალს არ მოვხუჭავ — რას ჰქვია
ძილი,
სხვამ დაიძინოს ის ჩემი წილიც.
გზა-გზა დავტოვებ წუხილს და
ღელვას,
შენს სახელს, როგორც ნაწილს
გულისას,
დე, ყველა მიხვდეს,
გაიგოს ყველამ
ტკივილი შენი სიყვარულისა...

# იაშვილების ოჯახი

ნელი ჩაჩავა

ფოტო ვ. ჩერკასოვისა



სეით იაშვილი.

ეს 83 წლის მოხუცი — სეით ლუარსაბის ძე იაშვილია, იგი არის გეოგრაფიის, ბოტანიკისა და ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელობის ავტორი და შემდგენელი, მან ქართულად თარგმნა მრავალი სასარგებლო წიგნი.

სეით იაშვილმა შექმნა შესანიშნავი ოჯახი, — მან სამი შვილი აღზარდა. ამათგან უფროსი ვაჟი — ლუარსაბი — კონსერვატორიის პროფესორია, სეით იაშვილი პაპაა მარინე, ირინე და ნანა იაშვილებისა. იგი უყურადღებოდ არ სტოვებს თავისი შვილიშვილების საქმიანობას. ამჟამად დაინტერესებულია პატარა ნანას რეპერტუარით.



ირინე იაშვილი.

იგი ათვალიერებს ნანას ნოტებს, რაშიაც კარგად ერკვევა... ს. იაშვილი სტუდენტობის პერიოდში სასულე ორკესტრში უკრავდა და მომღერალთა გუნდში მონაწილეობდა.

ლუარსაბ იაშვილი ამეცადინებს უმცროს ქალიშვილს — ნანას.



1932 წ. ლუარსაბ იაშვილი ლენინგრადში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად და 3 წლის მარინეც თან წაიყვანა. მარინე ხშირად ისმენდა საინტერესო კონცერტებს, როგორც ფილარმონიაში, ისე კონსერვატორიის მცირე დარბაზში. 1936 წ. მარინე პირველად გამოდის ფართო საზოგადოების წინაშე, სახელმწიფო ოპერის სცენაზე, როგორც რუსული ცეკვის შემსრულებელი. ყველაზე პატარა მონაწილემ ამ შეჯიბრებაში ჯილდოდ უზარმაზარი თოჯინა და ოპერის დღის წარმოდგენის მუდმივი ბილეთი მიიღო. როცა მარინეს 6 წელი შეუსრულდა, ვიოლინოზე სწავლა დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ ვიოლინოს პირველი გაკვეთილები ძალზედ მოსაწყენია, მარინე ბეჯითად მუშაობდა. სულ რამდენიმე თვეში მუსიკალური სკოლის ორი წლის პროგრამა დასძლია.

ლუარსაბ იაშვილი მარინეს პირველი პედაგოგია, ყოველ ხერხს ხმარობდა მამა, რათა მარინესთვის სიბეჯითე გამოემუშავებია. მაგრამ დაუღალავი მუშაობის დროს მარინე მაინც ზარმაცობდა. „ერთი ზაფხული სოფელ არგვეთში გავატარეთ, — იგონებს ლუარსაბ იაშვილი, — მაშინ მარინე 7 წლის იყო, მისი ტოლები ველ-მინდვრებზე დანავარდობდნენ, მარინე კი ვიოლინოზე ვარჯიშობდა. ხან წყლის დასალევად გამოვარდებოდა, ხან შიმშილს აიჩემებდა, ხან წიგნის კითხვას დაიწყებდა. ერთ-ერთი მეცადინეობის დროს იძულებული ვიყავი ვიოლინო სიმინდის ყანაში გადამეგდო მარინეს შესაშინებლად. მე ეს წინასწარ გავითვალისწინე და ვიოლინო ფრთხილად გადავისროლე, მარინეზე ამან საშინლად იმოქმედა, ტირილით მომვარდა და მემუდარებოდა, ვიოლინო გამიმთელე, ჩემს სიცოცხლეში აღარ ვიზარმაცებო“. თუ რას მიაღწია მარინემ, ეს კარგა ხანია ცნობილია ჩვენი საზოგადოებისათვის. იგი ოთხგზის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია.

ირინე იაშვილის ბავშვობა, ცხოვრების პირობები განსხვავდება მისი დის მარინეს ცხოვრებისგან. ირინე ძალზე ცელქი იყო, იგი მთელ დღეებს ეზოში ბავშვებთან ატარებდა, მიუხედავად ამისა, 6 წლისაც არ იყო, როცა მამამ სმენა, რითმი და მეხსიერება გაუსინჯა. ირინემ მშვენიერი მონაცემები გამოამჟღავნა. პროფესორ ლუარსაბ იაშვილისათვის ეს მეტად სასიხარულო აღმოჩენა იყო, და იგი დიდი ხალისით შეუდგა ირინესთან მეცადინეობას. ივლისსა და აგვისტოს სოფელში მეცადინეობამ ისე გაავარჯიშა ირინე, რომ სექტემბერში საუკეთესო შეფასება მიიღო მუსიკალური ათწლედის მისაღებ გამოცდებზე. ამის შემდეგ დიდი გარდატეხა მოხდა ბავშვში, ბეჯითად და ხალისიანად მეცადინეობდა, ეზოსკენ აღარც იყურებოდა, შეიყვარა მუსიკა. ახლა იგი თბილისის მუსიკალური ათწლედის მეცხრე კლასის მოსწავლეა, ირინეც სისტემატურად გამოდის საკუთარ კონცერტებზე და რთულ ნაწარმოებებს ასრულებს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

ამჟამად მამის ხელმძღვანელობით ემზადება საერთაშორისო კონკურსისათვის, რომელიც უნდა შესდგეს სექტემბერში რუმინეთში. მარინემ სწავლა მოსკოვში პროფესორ მოსტრასთან გააგრძელა, ლუარსაბ იაშვილმა ყოველი წვრილმანი იცოდა შვილის ცხოვრებისა, მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო პროფესორ მოსტრასთან, რომელიც წერილობით ატყობინებდა მარინეს ამბებს. მარინე გათხოვების შემდეგ ასეთ წერილს სწერს მამას: „ყველა ამბობს, რომ ამ ცოტა ხანში ძალიან გავიზარდე. გუშინ ოისტრახის კათედრის სხდომა იყო, ძალიან მაქო ოისტრახმა, „რაც აკლდა, ყველაფერი აქვსო და შესანიშნავად უკრავსო“. არ მოველოდი მისგან ასეთ ქებას. ასეა ჩემი ვიოლინოს ამბები. რაც შეეხება ჩემს გათხოვებას, ძალიან სწრაფად მოხდა ეს, ალბათ, არ მოელოდით, მე ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი მეუღლით. ძალიან კარგი ბიჭია, მართალი გითხრა, მე ცოტათი მეშინოდა, რომ ორი მუსიკოსი ერთმანეთს ხელს შევუშლიდით, მაგრამ პირიქით გამოვიდა. თვითონ ბეჯითია და მეც ძალას მატანს, როცა გავზარმაცდები ხოლმე“.

მარინეს მოსკოვიდან ჩამოსვლას ყოველთვის მოუთმენლად ელოდნენ, როგორც მისი ნათესავები, ისე მისი მეგობრები, 1954 წ. 28 იანვარს



მარინე იაშვილი.

კი განსაკუთრებით ღელავდნენ, რადგან მარინესთან ერთად ელოდნენ მის მეუღლეს იგორს. იაშვილების დიდ ოჯახს ემატებოდა ახალი წევრი — რუსი სიძე. ყველას ძალიან აინტერესებდა მისი ნახვა, თავის მხრივ თვით იგორიც ძალზე ღელავდა, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, შეხვედრა იყო თბილი. რამდენიმე დღეში იგორი სწრაფად შეეგუა ოჯახს, ცოლის ახლობლებს, დაიმსახურა ოჯახის ყველა წევრის სიყვარული. იგორი დიდად აფასებს მარინეს ნიჭს, მის შესაძლებლობას, ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუწყოს მის შემდგომ წინსვლას. მათ შეეძინათ პატარა გოგონა ლალი, რომელმაც დაბადებისას უკვე მიიღო პატარა ვიოლინო საჩუქრად. ალბათ, პატარა ლალიც მომავალი მუსიკოსია.

დამსახურებული პროფესორი, შესანიშნავი აღმზრდელი და პედაგოგი, ლუარსაბ იაშვილი ახლა თავის უმცროს გოგონა ნანას ასწავლის ვიოლინოზე დაკვრას, ისევე, როგორც ასწავლა მარინესა და ირინეს.

პატარა ნანა, რომელიც ამჟამად მესამე კლასის თბილისის მუსიკალური ათწლედის მოსწავლეა, უკვე რთულ ნაწარმოებებს ასრულებს და კონცერტებზეც ხშირად გამოდის.

# ბატონო ადრესატო

ჟურნალ „დროშის“ გასული წლის სექტემბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი ინდოეთიდან, რომელიც ეხებოდა ბხილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას. წერილის ავტორი, იასონ გუმბერიძე, რომელიც ხელმძღვანელობს საგლინავი საამქროს მშენებლობას, თბილისის მკვიდრია.

ამას წინათ. იასონმა წერილი გამოუგზავნა თავის პატარა შვილიშვილს ვახტანგს, რომელიც სულ რვა თვისაა და ბაბუას ჯერ არც კი უნახავს.

ამ წერილში ბევრი რამ საინტერესო და ყურადსაღებია. ამიტომ პატარა ვახტანგის მშობლებმა გადაწყვიტეს, „ადრესატის“ გარდა ეს წერილი ფართო საზოგადოებასაც გააცნონ.

ქვემოთ მოგვყავს ამ წერილის ტექსტი.

* * *

სალამი და გამარჯობა, ვახტანგ!

მივიღე შენი სურათი. არა გიშავს, კარგი ბიჭი ყოფილხარ.

იყავი კარგად, გაიზარდე დიდი კაცი, მხოლოდ ძალიან გთხოვ ცოლს ჩემს ჩამოსვლამდი ნუ შეირთავ. მე კი, ჩემო ვახტანგ, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი საქმეები მაქვს და ჯერჯერობით ვერ მოვდივარ. მოკითხვა გადაეცი დედას, მამას და ბებიას.

ამ წერილს თან ახლავს სურათები. ნახე და გაიცან ბაბუაშენი. მხოლოდ მინდა სურათების შინაარსი გადმოგცე.

1957 წლის 16 დეკემბერს მშენებლობაზე გვესტუმრა ყველაზე საყვარელი ადამიანი ინდოეთში, ბატონი ჯავაჰარლალ პანდიტ ნერუ და ბირმის პრემიერ მინისტრი ბატონი უ ნუ.

როდესაც დელეგაცია ჩვენს საამქროს მშენებლობის უბანს მოუახლოვდა, გენერალურმა დირექტორმა, სხვებთან ერთად, ჩემი თავიც გააცნო ბატონ ნერუს, თან დაუმატა — თქვენ რომ საქართველოში რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დაათვალიერეთ, მისი საგლინავი საამქრო ამის აშენებულიაო. ბატონმა ნერუმ ხელი ჩამომართვა. შემდეგ ყველას ხელი ჩამოართვა და მიგვიწვია იმ ადგილისაკენ, სადაც ბატონ სუბერაოს საამქროს გეგმა უნდა გაეცნო. ეს დიდხანს არ გაგრძელდა. შემდეგ გადავედით იმ მაგიდასთან, რომელზედაც გამოფენილი იყო საგლინავი საამქროს ყველა პროდუქციის ნიმუში.

უნდა გამოგიტყდე, ჩემო ვახტანგ, რომ წინა ღამით მე ძალიან ბევრი ვიმეცადინე ინგლისურში, მაგრამ შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. არც ერთი სიტყვა არ შემშლია. ბატონ ნერუს ეს არ გამორჩენია და შემეკითხა: ინგლისური აქ ისწავლე, თუ ადრე იცოდიო. არც ერთი სიტყვა არ ვიცოდი ჩამოსვლამდე-თქო ვუპასუხე. პრეზიდენტმა გაკვირვებულმა და კმაყოფილმა შემომხედა. მე თანდათანობით გავთამამდი და დავძინე: ეს მშენებლობა მხოლოდ ოქტომბერში დავიწყე-თქო.

— ნუთუ ოქტომბერში? — გამიმეორა ბატონმა ნერუმ.

— სამაგიეროდ სამუშაოს დაწყების პირველ დღიდანვე, ოთხი ათასი მუშა ღებულობდა მონაწილეობას მშენებლობაში—ვაცნობე პრეზიდენტს.

ნერუს ძალზე ესიამოვნა ეს ფაქტი — ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი მშრომელი ჩავაბათ მუშაობაშიო.

— დღეს, თქვენი აქ სტუმრობის აღსანიშნავად, ვიწყებთ ლითონის კონსტრუქციების მონტაჟს და აი აქ იწყობა ბლუმინგის პირველი კოლონის მონტაჟი — ვუთხარი ბატონ ნერუს. მან კი ხელი ჩამავლო მკლავში და აღტაცებულმა მითხრა: მივიდეთ, ახლოს ვნახოთო. პრეზიდენტმა გულდასმით დაათვალიერა ის ადგილი, გზადაგზა შეკითხვებს მაძლევდა. შემდეგ მანქანამდე მივაცილეთ. პრეზიდენტი გულწრფელად გამოგვემშვიდობა, მადლობა გადაგვიხადა და მანქანაც დაიძრა.

მაგრამ განა ამით დამთავრდა, ვახტანგ, ჩვენი შეხვედრა? ბატონ ნერუსა და უ ნუს შემდეგ სადილზეც შევხვდი, რომელიც მათ პატივსაცემად იყო გამართული. ჰო, კინაღამ დამავიწყდა! სადილის წინ პატივსაცემი სტუმრები დაესწრნენ დრამას, რომელიც ჩვენი ინდოელი კოლეგების მიერ იყო დადგმული. თამაშობდნენ ინდოელი და რუსი ბავშვები. მე მგონი, ვახტანგ, შინაარსიც დაგაინტერესებს ამ დრამისა. მოკლედ გეტყვი: ინდოელი გეოლოგები და ინჟინრები ეძებენ მადანს, რომელიც მალე აღმოაჩინეს. შემდეგ მათ მოიწვიეს საბჭოთა სპეციალისტები. ჩვენებმა მათ გადასცეს საუკეთესო პროექტი. იწყება მშენებლობა. ყველა ეს პროცესი ნაჩვენები იქნა სცენის კედელზე გაკეთებული დიდი ნახატისა, სხვადასხვა სურათებისა და მუსიკის ფონზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთი სიტყვა არ თქმულა სცენაზე, ყველაფერს მოძრაობით გამოხატავდნენ პატარა მსახიობები. ერთი სიტყვით, ჩემო ვახტანგ, რომ გენახა, ძალიან მოგეწონებოდა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავაჰარლალ ნერუ და უ ნუ ბხილაის კომბინატის მშენებლობაზე, მარჯვნიდან პირველი ინჟინერი იასონ გუმბერიძე.

ამის შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ ჩვენ ახლოს მდებარე სოფელ საპელაში, სადაც დიდი მიტინგი გაიმართა. მიტინგს ესწრებოდა არა მარტო ამ სოფლის მცხოვრებლები და ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, არამედ შორეული სოფლებიდან ჩამოსული უამრავი ხალხი.

ყველა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით უგდებდა ყურს ჯავაჰარლალ ნერუს გამოსვლას. მან თითქმის ერთი საათი ილაპარაკა. იგი შეეხო ინდოეთის მომავალ ცხოვრების ამბებს, ინდოეთის და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას, მოგვიხსენია ჩვენც — საბჭოთა ინჟინრები.

ხალხი დიდი აღფრთოვანებით და შეძახილებით გამოემშვიდობა ნერუს.

ასე იყო, ჩემო ძვირფასო ვახტანგ, ეს ამბავი, და რომ მოხუცდები, გთხოვ, შენ შვილთაშვილებსაც ასე გადასცე.

სხვა რა მოგწერო, ვახტანგ, როგორც ხედავ, მე შესანიშნავად ვარ. იყავი მარჯვედ და ყოჩაღად. წერილებს ხშირად მოგწერ და ახალ ამბებს გაცნობებ. გკოცნით ყველას.

**ᲘᲐᲡᲝᲜ ᲒᲣᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

## ძველი ტფილისის ფურცლებიდან

### ᲛᲘᲣᲪᲔᲕᲔᲐᲔᲚᲘ Დ ᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲛᲝᲑᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ

ოციანი წლების დამდეგს, ტფილისის ერთ-ერთ აბანოში ტანს იბანდნენ მაიორის მეუღლე კნეინა ბარბარე თუმანიშვილისა და სახელმწიფო გლეხის ცოლი კორიანა ყაზაროვისა.

ყველას მოეხსენება, რომ აბანოში ყველა წოდება და ხარისხი თანასწორდება: აბანოში წოდებისა და ხარისხის მაჩვენებელი ნიშნები, პაგონები, დუგმა-ბუზმენტი და ზიზილ-პიპილები არ მოიპოვება. ყაზაროვისამ მოიწადინა ტაშტი აევსო წყლით იმ აუზიდგან, რომლის სიახლოვეხაც მაიორის მეუღლე განცხრომას ეძლეოდა. კნეინამ ეს იუკადრისა და ხელი ჰკრა ყაზაროვისას. გულმოსულმა გლეხის ცოლმა, რომელმაც არ უწყოდა, თუ ვის უპირებდა შეხებოდა, თავისის ტლანქით და ბრიყვულის ხელით, ზედ ფეხებზედ დასცხო კნეინას სპილენძის ტაშტი. მცირე, მაგრამ სასტიკი ხელჩართული ომი გაჩაღდა. რაკი გაუჭირდა ნაზ კნეინას ბრძოლა ხეპრე და გაუთლელ გლეხის ცოლთან, დედიშობილა გამოვარდა დერეფანში და დაუძახა თავის დენშჩიკს საველი ვოიტოვს — „მიშველეო“. რადგან სამხედრო ძალა ჩაერია დავი-დარაბაში, წესი და რიგი მალე იქნა აღდგენილი: საველი ვოიტოვი სწვდა ყაზაროვისას თმებში და დედიშობილა გარეთ გაათრია.

ეს ინციდენტი ირჩეოდა სამაზრო სამსჯავროში. სათანადო ძიებისა და საქმის გარჩევის შედეგად სამსჯავრომ შემდეგი განჩინება გამოიტანა:

1. სამართალში მიცემული ყაზაროვისა ამას იქით თავისუფალია გამოძიებისა და სასჯელისაგან, ხოლო სასტიკად უნდა ჩააგონონ, რომ შემდეგისათვის ასეთ საქციელს მოერიდოს, თორემ დაისჯება აუცილებლივ კანონის ძალისამებრ.

2. კნეინა თუმანიშვილისას მტკიცედ გამოეცხადოს, რომ უკეთუ ვინმე შეურაცხებას მიაყენებს, ხელი არ გამოიღოს და თვითონვე ნუ გაუსწორდება შემლახავს.

3. სამხედრო მთავრობას მიეცეს უფლება მოახდინოს განკარგულება, რომ ჯარისკაცი ვოიტოვი დედაკაცების ჩხუბში არ ერეოდეს და ქალების ბრძანებას ნუ აასრულებს, როცა ისენი ერთმანეთს სწეწენ.

(„ივერია“, 1902, 24 დეკემბრისა № 276)

### ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲘᲠᲐᲝ ᲔᲢᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე საქირაო ეტლები თბილისში არ ყოფილა. მათ არავინ ახსენებს არც თბილისის ყოფა-ცხოვრების აღწერისას, არც მხატვრულ ლიტერატურაში.

მხოლოდ ლავრენტი არდაზიანი თავის „მეჯღანუაშვილში“ გვაწვდის მეტად საგულისხმო, და რაც მთავარია, დათარიღებულ ცნობას. ეს ცნობა ეხება 1882 წელს, როდესაც სოლომონ მეჯღანუაშვილი უკვე შეძლებული ვაჭარი იყო:

...„დანიშნულ დროს მოვირთე გემოვნებით და მდიდრად და გავექანე დროშკით (დროშკა მაშინ იშვიათი და ძვირი იყო) სიონის ქუჩისაკენ“...

დროშკით სიარული მაშინ შეძლებულობის და მოქალაქეთა წარჩინებულობის მაჩვენებელი იყო, რაც ჩანს შემდეგი სიტყვებიდან:

„დროშკა დადგა მელიქაანთ ქარვასლის წინ. კარებთან მოელოდა მრავალი ხალხი, რომელსაც სურდა, თურმე ჩემი ნახვა. როდესაც გადმოვხტი დროშკიდან, მე შემომესმა შემდეგი სიტყვები: „რა ახალგაზრდაა, რა ჭკვიანია, სახეზე ეტყობა, რაც არის!“...

დროშკა მოიხსენიება „არსენას ლექსშიაც“, რომლის შექმნას ორმოციან წლებს მიაწერენ. ამ დროს დროშკა უკვე ტრანსპორტის პოპულარული სახეობა ყოფილა: „მეიდანზე გამოვიდა, მიაძახა მედროშკეს!

„ფიცხლავე დროშკა მომგვარე, თორემ ცხენებს დავჭრი ყელსა!“

„რომელიც კარგი დროშკაა, იმ არსენას მოართვესა,

დაუჯდა ბიჭი არსენა, გაუდგა დამოუნის გზებსა“.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო და ზუსტ ცნობას თბილისის პირველი მეეტლეების შესახებ ვპოულობთ ძველი თბილისის შესანიშნავი მცოდნის ე. გ. ვეიდენბაუმის პატარა წერილში „ტფილისის მეეტლეები“, რომელიც მას მოუთავსებია 1899 წელს გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის“ ილუსტრირებულ დამატებაში, ხოლო 1902 წელს „ივერიაში“ გადაუბეჭდია ა. ყიფშიძეს.

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ: „საქირაო ეტლები პირველად გაჩნდა თბილისში 1824 წელსა. მათი რიცხვი იქნებოდა ასე 15 ან 16 ორცხენიანი დროშკა.

ისტორიამ შემოგვინახა საეტლო ხელობის დამაარსებელთა სახელები. ესენი იყვნენ: ოთხი აფიცერი, რამდენიმე მოხელე და მათი მეუღლენი, ახალშენელნი ფრიდრიხ და ქრისტიანე მადერი და სამიც ტფილისის მოქალაქენი. კუჩრებად მხოლოდ სახელმწიფო დენშჩიკები იყვნენ, ან დროშკის პატრონთა ყმები“ („ივერია“, 1902, № 224).

„დროშკა“ — ოთხთვალა, ღია, მსუბუქი ეტლი იყო ორცხენიანი და ერთცხენიანიც... ცოტა მოგვიანებით, ორმოციან წლებში გაჩნდა გადახურული და უფრო კომფორტაბელური ფაეტონები, ჯერ კერძო, ხოლო შემდეგში საქიraოც (გამდიდრებულ მეჯღანუაშვილს უკვე ფაეტონი ჰყავდა — „საღამოს ჟამს გამოველ შინიდან ფაეტონით, ორიოდ-სამჯერ მოვატრიალებინე კუჩერსა მარჯვნივ და მარცხნივ ცხენი და დავაყენე ერთს ორ ატაჟიან სახლთან კომენდანტის ქუჩაზე“ — ამბობს იგი თავმომწონედ.).

ფაეტონები თითქმის ასი წლის განმავლობაში ემსახურებოდნენ თბილისის მოსახლეობას. შემდეგში მათ გვერდში ამოუდგა საყოველთაოდ მისაწვდომი საქალაქო ტრანსპორტი — ცხენის „კონკა“, მერე — კი გაჩნდა ელექტრონის ტრამვაი, ხოლო უკვე ჩვენს დროში — ავტობუსი, ტროლეიბუსი და საქირაო ავტომანქანები — „ტაქსი“... მაგრამ ფაეტონებმა მაინც მოაღწიეს მეოცე საუკუნის ორმოციან წლებამდე.

უკანასკნელი საქირაო ფაეტონები თბილისის ქუჩებში დიდი სამამულო ომის დროს გაქრნენ.



**რევაზ ინანიშვილი**

მოთხრობა

მხატვარი ალ. ბანძელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენა და ბეჟანა იქნებით,— მეუბნება ბრიგადირი სხაპასხუპით და თან თვალი გაქცევაზე უჭირავს, — ბეჟანას „ტაჭკა“ აქვს. დასხედით და იმით ადით. სამთითი წაიღე, მეტი არაფერი არ გინდა.

— როგორ დავაბულულოთ?

— როგორ, როგორ დააბულულოთ?! პატარ-პატარა ბულულებს დასდგამთ და მერე... ბეჟანამ იცის. ბეჟანა იქ არ იქნება?! შენ არ დაიგვიანო! საცაა ის გამოვა კიდეც. საწყობთან დაგიცდის. აბა, მიდი, ნულარა სდგახარ ეგრე!

მე კიბეზე ავრბივარ, ბრიგადირი კი თავქვე ეშვება და ფაფხაჭელაანთ ძაღლს წიხლით იგერიებს. ძაღლი არ



ერიდება. მაშინ ბრიგადირი ქუდს იხდის და მძიმე კეპის ჩარტყმას უპირებს...

აბგაში პურებს, ყველს, წინასწარ გავსებულ ბოთლსა და ჭიქას ვაწყობ. თალიშ ხახვსა და ადრეულა ქლიავსაც ვყრი. მინდა წიგნიც წავიღო — ვერ გადამიწყვეტია. ისევ ვტოვებ, გომურიდან სამთითი გამომაქვს და ჩქარი ნაბიჯით მივდივარ.

ფაფხაჭელაანთ ძაღლი მეც მეტანება, მაგრამ მალე მცნობს და დარცხვენილი, კუდამოძუებული მომყვება.

საწყობთან კოლმეურნეები ირევიან. ზოგნი მანქანაში სხდებიან, ზოგს წრე შეუკრავთ და რაღაც სჯა-ბაასში არიან. ბიბილაშვილი ლაპარაკობს, უნდა რომ ყველას კარგად გააგებინოს თავისი ნათქვამი და ხან ერთს მიუბრუნდება, ხან მეორეს. ისინი თავებს უქნევენ და ხანდახან ჩაურთავენ.

— მა, კაცო, ეგრეა!

ბეჟანა გზაზე დგას თავისი „ტაჭკით“. ხელნებს მისწოლია და გზის გადაღმა, სადალაქოს წინ ჩამომსხდარ ბიჭებს ელაზღანდარება.

— თითო ქვის გაცვეთაში რამდენი შრომადღე გეწერებათ, ჰა? დაკრეჭილო, შენ ყველაზე მეტი კი გექნება გამომუშავებული, აი!

დაკრეჭილს თავისი ამფსონები ქუდს ჩამოაფხატებენ და იცინიან. ბეჟანა მამჩნევს.

— მოდი, ბიჭო, რა პატარძალივით მოსეირნობ!

ვწითლდები, ფეხი მერევა. აქეთ-იქით არ ვიხედები, მაგრამ ვგრძნობ, რომ ყველანი მე მიყურებენ. ქალაქში გაზრდილი ბიჭი მინდორში მივდივარ სამუშაოდ!

ჯერ სამთითს ვდებ ორთვალაზე და მერე მე ავდივარ. ვიღაც სიცილით იძახის.

— უშველეთ, ფეხი დაუჭით, ბიჭო!

ბეჟანა ცხენს სძრავს და იმ ვიღაცას სახრეს უქნევს.

— აი, მაიმუნო!

დ...დი ხმაურითა და ჯაყ-ჯაყით ვტოვებთ ...ქაურობას. სამჭედლოს რომ გავცდებით, ზემოთა ორღობიდან მომავალ ბრიგადირს ვამჩნევთ. ისიც დაგვინახავს, გამოსაქცევად ემზადება და გვიყვირის.

— მანდ თუ ადრე მორჩეთ... ბიჭებო!.. მანდ თუ ადრე მორჩეთ, სანდროს ველში გადადით! გაიგეთ?

— სანდროს ველიდან სადღა გადავიდეთ, თუ ისიც ადრე მოვრჩით? — დაცინვით ეკითხება ბეჟანა.

ბრიგადირი კითხვის კილოს უხვდება, ნაბიჯს ანელებს.

— ბოლმავ! ბოლმავ! — რაღაც თავისებური ალერსით ეუბნება ბეჟანას და მერე უცებ ფეთქდება — ი, რაღასა დგახართ, ე! განა ეგ გითხარით, დადექით-მეთქი?!

ბეჟანა იცინის, სადავეს იქნევს და მთელი ხმით იძახის.

— ჰაჩუ, შე ბრიგადირის ანაწერავ!

ისევ ყურისწამღები ჯახჯახი, ისევ ბეჟანას გამკივანი ხმა:

— ლამაზი ბიძაშვილი როგორა გყავს, აჩაკუნე?!

— დაგისხა დედიამ შაბიამანი, ცინგლიანო?!

და აი სოფელსაც გავცდით, ხრეშმოყრილ დიდი გზიდან ეწერში გადავდივართ. გზა აქ რბილია, ცოტა სველიც. ორთვალა უხმაუროდ მიდის, და პირველ ხანებში მეჩოთირება კიდეც ეს ცვლილება. ასე მგონია — ყველაფერი დამუნჯდა, ჩვენც დავმუნჯდით.

— ბევრია დასაბულულებელი? — ვეკითხები ბეჟანას, მხოლოდ იმიტომ, რომ ხმის ამოღება მინდა.

ბეჟანა სადავეს წინა ჭალზე ჰკიდებს, ცხენს თავის ნებაზე უშვებს და ჩემსკენ ბრუნდება.

— ბევრი კი არა... თამაშობით მოვრჩებით.

კუნძივით შეკრული ოცდაერთი წლის ბიჭია, თუშური ქუდი ზედ შუბლზე მიუკოსებია, ხალათის საყე-



ლო გულისკოვზამდე ჩაუღეღავს და მძლავრად სუნთქავს.

— ახლა მერამდენე კურსზე ხარ? — მეკითხება და რაღაც შებარვით ეღიმება. ის სულ ასე იღიმის, რომ არ იცნობდე — დაგაბნევს.

— მეოთხეზე გადაველი. შენა, შენ აღარა სწავლობ?

— როგორ არა — ცელვას, თოხნას, მკას. ძაან ნიჭი აღმომაჩნდა ამეებში. ჰაჩუ, შე ჩვენი ბუღალტრის მსგავსო!

მე მეცინება.

— დაუსწრებელზე მაინც ვერ მოეწყე?

— ამ ზამთარს ვაბარებდი და ორიანი გამაკრეს ქართულ წერაში.

გზა ხევის პირ-პირ მიდის, ჭალებს ვეჭიდები, — ემანდ შიგ არ გადაგვყაროს!

— ვინა? ამანა? ამ ცხენს ხალისი აღარა აქვს ჩვენი ბუღალტერივითა, თორემ ჰკვა... ჰკვით პროფესორს სჯობია. ჰა, ნუ გემკვლელება! ჰაჩუ!

ყანა-ყანა მივდივართ, ერთი ამბავი აქვთ ტოროლებსა და მწყერჩიტებს მაღლა, საოცრად მაღლა აწეულა მოწმენდილი ცა. პური ჰყვავის და ისეთი სუნი დგას სუნთქვა შეეკვრის შეუჩვეველ კაცს.

თითქო ტყიანი ქედი ჩვენსკენ მოდის, უკვე მისი სიგრილის ლამუნს ვგრძნობ სახეზე.

ბუჩქნარი.

მაყვლიანი, კუნელები.

კუნელებზე — მოწრიპინე მწყერჩიტები.

შემდეგ მუხები, შავრცხილები — ნამდვილი ტყე.

ჟუსტვენენ ათასგვარი პაწაწინა ჩიტები. ჭახჭახით ფრთხება გზისპირიდან შაშვი. შაშვს ჩხიკვი აძლევს ბანს. ჩხიკვს — ჩხიკვი. ტყისბინადარნი ერთმანეთს ატყობინებენ ჩვენს მისვლას.

ორთვალადან ჩამოვდივართ, აღმართია. ცხენი ცარიელს ძლივს მოათრევს, ვშველით, ბეჟანა სახრეს უტუტურებს:

— მიდი! ჰა, ჰაჩუ! ნუ გეზარება!

ცხენი ხვნეშის, დარკინული თლები ქვებზე სხლტება და ღრაჭა-ღრუჭი გააქვს. ცხენი ცოტას შეისვენებს და ისევ იძაგრება. ბეჟანაც შესჭყივის:

— ჰა, მიდი, ჰაჩუ!

აღმართი თავდება. ცხენიც და ჩვენც აჩქარებით ვსუნთქავთ. ცხენს ფერდები დიდი საბერველივით ებერება და ეფუკება.

ძირს ტყეა, ტყეს ტაფობი მოსდევს, ტაფობზე ძველი მონასტერი დგას. იქით ისევ ტყეებია და მთები, მთები, მთები.

— აუ! — თითქო უკანასკნელ მწვერვალებს მინდა მივაწვდინო ხმა.

ბეჟანას ჩვეულებრივად ეღიმება, მაგრამ მაინც მაბნევს.

— მოდი, დაჯექი! — მიყვავებს და ორთვალაზე მანიშნებს.

ავდივართ და თავდაღმართზე ვეშვებით. მუხებსა და რცხილებს ჩვენს მაღლა თალი შეუკრავთ. მზე ჭუჭრუტანებიდან იმზირება, ხავსზე ცვარი ციმციმებს, გრილა.

თავდაღმართს ჩავათავებთ და ვაკეზე გავდივართ. ორთვალა აღარ ხმაურობს, ჩვენც ჩუმად ვართ, მაგრამ კიდევ უფრო მეტი სიჩუმე მინდა. სიჩუმე, სიჩუმე...

გადავჭრით ტალახიან ღელეს, ავლევთ ერთ პატარა აღმართსაც, გავძვრებით ჩვენს მაღლა თაღგადადგმულ რცხილნარში, გადავჭრით ერთ



ველს, მერე მეორეს, და ბოლოს — ნათიბიც!
— აი, ეს არის — მეუბნება ბეჟანა და სახრით წრეს ხაზავს ცხენის ზურგთან.
მოზრდილი ველია. ოთხი-ხუთი ჰექტარი... შეიძლება მეტიც, მე თვალით რას გავზომავ! გრძელ-გრძელ ზოლებად აწყვია ორიოდე დღის წინ მანქანით ნათიბი ბალახი, შიგა და შიგ პატარ-პატარა ბუჩქები ჩანს...
ჩრდილდიდ მუხას ვირჩევთ, ორთვალას იქ ვაყენებთ და ჩამოვდივართ.
აქაც ერთ ამბავში არიან მწყერჩიტები. აქაც თვალშეუწვდენელ სიმაღლეზეა ცა. აქაც მძაფრი სურნელება ქრის — ხოლო უკვე მარწყვისა და პიტნის, ჭანარი ბალახისა და ანისულის.
ბეჟანა ორთვალადან ცხენს ხსნის, წინაფეხებზე ბორკილს ადებს და საძოვრად უშვებს.
— ხომ არ მოგშივდა? — მეკითხება ჩვეული ღიმილით.
— რას ამბობ, ახლა არ წამოვედით?!
— რა ვიცი... — ეღიმება უფრო საიდუმლო იერით,— მაშ ვახსენოთ ღმერთი?
— ვახსენოთ.
სამთითებს ვიღებთ და ვიწყებთ. ერთ ლესურს ის ადგება, მეორეს მეზემოდან გარუხებულ ბალახს ქვეშიდან ლურჯი ფერი დაჰკრავს. ავწევთ და საამო სურნელება გვაბრუებს. შევაგროვებთ რამდენიმე ქალამს — ავაბულულებთ. სხვა ლესურს გავყვებით. თუმცა მზე აცხუნებს, თუმცა ოფლი სახეს მწვავს— მაინც სიამოვნებას ვგრძნობ. მით უმეტეს—თუ სამთითს ბალახი მოსდევს, საფხოკნ-საძებნი არა მაქვს. წამდაუწუმ უკან ვიხედები და მიკვირს — რამდენი დამიბულულებიამეთქი. როცა ერთმანეთს დავუახლოვდებით, ბეჟანა ყოველთვის ერთსა და იმავეს მეკითხება:
— ხომ არ დაიღალე? ხომ არ დაგცხა?
მიხვდებით — რა გამომეტყველებაც აქვს ამ დროს. თუნდ დაღლილი ვიყო, თუნდ მცხელოდეს— რა მათქმევინებს. მის დასანახავად უფრო ვცდილობ ხელმარჯვეობის გამოჩენას. ბეჟანას მოსწონს.
— წავა ზოგი ქალაქში და, რომ ჩამოვა, ჩაიდებს პირში პაპიროსს, ჩაიწყობს ჯიბეებში ხელებს და დგას. დედებს აპარატები ჰკიდიათ ზურგზე — ვენახს სწამლავენ. ისინი კი ესე დგანან.
მე არაფერს არ ვეუბნები. რა უნდა ვუთხრა?
— ერთი თავმჯდომარედა მქნა რა, ცოტა ხანს, კაი ობლად გაზრდილი იფნის სახრე და მაგათი ჯანი! ისეთი ლეკური დავავლევინო, დილმიდან მორბოდნენ საყურებლად.
მე ვიცინი.
ისევ დავშორდებით, მერე ისევ შევხვდებით და ბეჟანა ისევ ამას მეკითხება:
— ხომ არ დაიღალე? ხომ არ დაგცხა? პური ხომ არ მოგშივდა?
მე ისევ ვუარობ, მაგრამ ჩემს თავს რომ გავუტყდე, სიამოვნებით შევექცევი ხმელა პურსაც კი.
— წყალი? წყალი რომ არ წამოვიღეთ?
— წყალი რად გვინდოდა! ისეთ წყაროსთან წაგიყვან, რომ დედამიწის ზურგზე მეორე ეგეთი ვერა ნახო! გწყურია?
— არა, მაგრამ...
— აქვეა, აგერ!— თითს იშვერს ლურჯად აბოლქვილ ხეებისაკენ — თუ გწყურია, გადადი! თუ არა და ცოტაც ვიმუშაოთ და მერე დავისვენოთ კიდეც.
— ეგრე აჯობებს.
უფრო ფიცხად ვუტევთ. ხუთი თუ ექვსი ბულულის დადგმას კიდევ ვასწრებთ და ბეჟანა მეძახის:
— შაბაშ! წავიდეთ, დავისვენოთ.
ოფლს ვიწმენდ და მზეს შევყურებ, მზე საშუადღეოზეა წამოსული.

ცას ვარვარი გააქვს. ჩიტების ხმა აღარ ისმის. ჭრიჭინები ჭრიჭინებენ გაცხარებულნი...
მაჯები დამძიმებული მაქვს, ფეხები კი პირიქით— თითქოს თავისთავად მიცურავენ ჰაერში.
ჯერ ორთვალასთან მივდივართ — აბგებს ვიკიდებთ. მერე ბეჟანა ცხენს იჭერს, ბორკილს ხსნის. კისერზე თოკს აბამს და თან მოჰყავს.
გადავჭრით კეცივით გახურებულ მინდორს, შევერევით იმ ლურჯად აბოლქვილ ხეებში და ხევში ჩავდივართ. ხევში ხავსისა და ხმელი ფოთლების რბილი ლეიბია ჩაგებული.



ძირს ლოდები ჩანს, დიდი ლოდები. იმ ლოდებიდან წყალი მოწანწკარებს, ვილაც მადლიანს პატარა, ლაფნის ღარი დაუდვია და ლიკლიკით გადმოდის. იქვე ტბორი დგას. ტბორს ცხენი ეწაფება, ჩვენ კი ღართან ვიჩოქებით, აბგიდან ჭიქას ვიღებ და ვავსებ.
— როგორია? — მეკითხება ბეჟანა.
ყინულივით ცივმა წყალმა საფეთქლები ამატკია, სიტყვის თქმას ვეღარ ვახერხებ, ცერა თითით ვაჩვენებ— კარგია-მეთქი. კიდევ ვსვამ. ბეჟანას ეღიმება და მარიგებს.
— დაღლილზე ბევრს ნუ დალევ, საჭმელს ვეღარ შეჭამ.
ფოთლებისა და ხავსის რბილ საგებზე გაზეთს შლის, კარტოფილიან პურებსა და კომბოსტოს ფოთლებში გახვეულ ლურჯ-ლურჯ მურწა თევზებს აწყობს.
— ვინ დაიჭირა? — ვეკითხები მე. — სად იშოვე?
— ჩემი ძმა იჭერს ხოლმე, პატარა. ის იჭერს, მე ვჭამ! ჰი-ჰი-ჰი...
მეც ჩემს ავლა-დიდებას ვფენ. ბოთლის დანახვა და ბეჟანას სახე უბრწყინდება, მართმევს, სინათლეზე გაჰყურებს, აჰანჭყალებს.

— თეთრია? უჰ, ვინც შენ მოგისხა! ვთავაზობთ ერთმანეთს ლუკმის გატეხვას. ბეჟანა სტეხს, ღვინოსაც ვისხამთ.
— ღმერთო,—სიცილით იძახის ბეჟანა, — მამალსაც ნუ დააყივლებ, საცა ეს არ არის. ვენაცვალე ამის მომსხმელის დაბრეცილ ძირსა! — სვამს და ოჰ-ოჰ-ოჰოო — აქებს.—დარეჯანა დიდედას დაყენებულია, არა? ეტყობა! ჰაი, რა ძველია...
ახლა მე ვიღებ სადღეგრძელოს და ღმერთსა და ბუნებას ვეხვეწები, რომ ცა და ღრუბელი დაამშვიდოს, არც ნამი გამოლიოს ამ ჩვენს მიწაზე და არც მზე, მშრომელ კაცს მარჯვენაში ძალა მისცეს და მშვიდობაში მოახმაროს თავისი ოფლითა და შავდღეობით მონაგარი.
ბეჟანა დროული კაცივით მაწევს:
— ამინ, გისმინოს! გაგიმარჯოს.
აღარ იღიმის, შუბლი შეუჭმუხნავს და ღონივრად მუშაობს ყბებით.
მეორე ჭიქას უფრო ვუტკბებით და ენავწყლიანობთ. მესამეზე და მეოთხეზე ხომ აღსარებებს ვამბობთ:
— მე, ერთი საწყალი ბიჭი ვარ...— მანდობს ბეჟანა.
— მე, აი, ეს ცარიელი ძვლები...—სულს ვუსხნი ჩემი მხრიდან.
მერე ბოთლი იცლება, გაზეთზე ყველის პატარა ნაჭერი, ხახვი და რამდენიმე ქლიავილა რჩება. ქვემოთ ცხენი თავჩაღუნული დგას. ჩვენ ფერდოპზე მივწვებით და თვალმოჭუტულნი შევყურებთ ნარინჯისფერ ფოთლებში გაბარდღულ მზეს. შევყურებთ და უკვე აღარ ვიცით— რა ვთქვათ, რით გამოვხატოთ ჩვენი სიამოვნება.
— ეს დღე სიკვდილამდე მეხსომება!— ვამბობ მთელი გულით, მთელი ამოსუნთქვით.
ბეჟანა წამოიწევს, გაკვირვებით დამყურებს.
— როგორა სთქვი?
— ეს დღე არ დამავიწყდება-მეთქი.
ხელს ჩააქნევს, წყრება.
— არა, ეგრე არა სთქვი. შარშან აქ გოგოები მყავდა — ჩემი ბიძაშვილი ნანა და იმისი სტუმარი — ციური. მაშინაც ბალახს ვაბულულებდით... ის ციური ძალიან კარგი გოგო იყო და იმანაც ეგრე თქვა — ეს დღე სიკვდილამდე არ დამავიწყდებაო, მაგრამ ეხ, ქალაქში... ქალაქში ყველაფერი ადვილად ავიწყდება კაცსა...
ამოიოხრებს, ხელებგადაშლილი გადაწვება [illegible]... მინდა რაღაც ვკითხო... მაგრამ მას უკვე სძინავს, ჯანიანი ბიჭის არხეინი ძილით სძინავს...
მე თვალებს ვხუჭავ და თავი ისე მიჭირავს თითქო დაძინებას ვაპირებდე. მაგრამ ხევში სიგრილეა, სინესტეა, მე გაციების მეშინია, ეს შიში ძილს არ მაკარებს და ჩემი მომავლის სამყაროში მამოგზაურებს.
იქ ბევრი ასეთი ლურჯად აბოლქვილი ხეები დგას, ბევრი წყაროები მოჩუხჩუხებენ, ბევრი ბალახია, ბევრი ჰაერი, ბევრი ასეთი, ბეჟანასავით ჯან-ღონით სავსე ბიჭი და, რაც მთავარია, ბევრი ლამაზი გოგონა, რომლებსაც არასოდეს, არასოდეს არ ავიწყდებათ არაფერი.



# პატარა მოგონება დიდ რეჟისორზე

კოტე მარჯანიშვილის ჩამოსვლას ქუთაისში და მის მიერ აქ თეატრის დაარსებას მთელი საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდა. შეიქნა ჩურჩული, აღტაცებული მითქმა-მოთქმა, მღელვარება.

— ვერიკო, უშანგი, შალვა, შაქრო, სანდრო — უთითებდნენ ქუჩაში მიმავალ მსახიობებზე...

ჩამოყალიბდა თეატრის სამხატვრო საბჭო. რამდენიმე ახალგაზრდა შეგვიყვანეს სამხატვრო საბჭოს წევრად.

სხვათა შორის, საბჭოში რამდენიმე მოწინავე მუშაც შევიდა, უმთავრესად — რიონჰესის და მაუდის საქსოვი ფაბრიკის მუშები.

დაიწყო წარმოდგენები.

ყოველი ახალი სპექტაკლი ნამდვილი დღესასწაული იყო. თბილისის მატარებლები სავსე იყო ახალ დადგმებზე ჩამოსული მაყურებლებით. ბილეთები სალაროში არ იშოვებოდა, სტუმრებით ავსებული იყო მთელი ქალაქი.

...მიდიოდა ტოლერის ცნობილი „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“, გენერალურ რეპეტიციაზე მიგვიწვიეს.

სერგო ზაქარიაძე — სიკვდილმისჯილი პატიმრის პატარა როლს ასრულებდა. სცენაზე, საპატიმროს ოთახში, რკინის ტახტებზე წვანან პატიმრები, თუ არ ვცდები, სერგოს ორიოდე სიტყვა ჰქონდა სათქმელი. შემოდის ციხის დარაჯი და კითხულობს — ვინ მოითხოვა მღვდელი? მსჯავრდადებული რევოლუციონერი პატიმრები გაოცებულნი არიან: — ნუთუ ჩვენ შორის ვინმე ღვთის მორწმუნეა?! კითხულობს მათი სახეები და ერთიმეორეს აცქერდებიან.

უცებ ტახტზე ერთი პატიმარი შეირხა, გადმობრუნდა და გვერდი ისევ იცვალა. სცენაზე ოდნავი სიბნელეა, პროჟექტორის მოძრავი სხივების ერთი კონა ანათებდა მის რკინის ლოგინს. სინათლემ მხოლოდ რამდენიმე წუთით დახედა მას.

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება სერგო ზაქარიაძის სახე და ხელით ნათქვამი მოძრაობა:

— ნუ გამკიცხავთ, ამხანაგებო, ჯერ კიდევ თექვსმეტი წლისამ უარვყავი ღმერთი. ახლა, სიკვდილის წინ, შიშმა შემიპყრო, ნუ გამკიცხავთ!

ეს ხმა გლოვის ზარივით გაისმა საპატიმრო ოთახში. ახლა მისი სახე?! მისი მარჯვენა ხელის მტევნის საოცარი თრთოლვა?!

ეს იყო ცივ კედლებში მომწყვდეული, განაწამები ახალგაზრდა პატიმარი — მუშის ტანჯული სახე. როგორღაც ბევრისმთქმელი და გულში ჩამწდომი პატიმრისა, რომელსაც სიკვდილის წინ ნებისყოფამ უღალატა, ადამიანისა, რომელმაც სიკვდილმისჯამდე ვაჟკაცობა გამოიჩინა, უკანასკნელად კი უნებლიეთ დასუსტდა, შეღონდა და გატყდა.

კოტე რეპეტიციების დროს ყოველთვის პარტერის მეხუთე-მეექვსე რიგში ჯდებოდა. წინ პატარა მაგიდას დაიდგამდა და პაპიროსს-პაპიროსზე სწევდა. როცა მსახიობის მიერ შესრულებული რაიმე მოეწონებოდა, ჩვენსკენ მობრუნდებოდა და თვალებში ჩაგვხედავდა—ნახეთ, როგორი კარგი მსახიობები მყავსო. თუ რაიმე არ მოეწონებოდა, ღელავდა, უკმაყოფილო რჩებოდა. ასეთ დროს, პირში რომ პაპიროსი ჰქონდა, ისიც ავიწყდებოდა.

სერგოს მიერ ამ როლის შესრულება მოეწონა, სიხარულისაგან აფორიაქდა, ჩვენ შემოგვხედა. პაპიროსის ღერი ბოლომდე პირში ეკავა. პაპიროსი სისველის გამო გადატყდა, ზედ ტუჩზე დაეცა, იგი შეწუხებული წამოვარდა.

სწორედ მის უკან სავარძელში ერთი ჩვენი ამხანაგი — გრიშა სვანიძე იჯდა. სერგოს მიერ ამ დეტალის ძლიერად შესრულებამ მასაც დაავიწყა, რომ მის წინ თვითონ კოტე იჯდა, და როცა ამ დაძაბული მდგომარეობის დროს წინ „ვიღაც“ აიმართა:

— დაჯექი, ამხანაგო! — დაუყვირა.

აბა კოტეს ვინ ეტყოდა ხმამაღალ სიტყვას, ისიც რეპეტიციის დროს. კოტე შემობრუნდა, გაოცებით შეხედა, მერე მიხვდა, გაიღიმა და სავარძელში მორჩილად ჩაჯდა. დამწვარ ტუჩზე კი ხელს ისვამდა.

შესვენების დროს ჩვენ იმ ამხანაგს საყვედურით მივმართეთ. კოტე მოვიდა და მოეფერა.

— ზაქარიაძის ბრალია. ისე კარგად შეასრულა ეს როლი, რომ პაპიროსიც დამავიწყდა და ისიც, რომ ჩემს უკან ადამიანები ისხდნენო, — ღიმილით ამბობდა ის.

ტოლერის ეს პატარა პიესა მეტად კარგად მიიღო მაყურებელმა. იგი იმ დროს რევოლუციური ხასიათისა და ტემპერამენტიანი პიესა იყო.

კარლის როლს უშანგი თამაშობდა. ერთი სცენა ელექტროსვეტის ქვეშ მიდიოდა. გვარიანი გრძელი მონოლოგი ჰქონდა სათქმელი.

ქარიშხალი დატრიალდებოდა სცენაზეც და დარბაზშიც.

როგორც კომკავშირის მუშაკს, საღამოობით უჯრედებში მიხდებოდა სიარული. არა ერთხელ მინახავს, კრების დაწყებამდე, ახალგაზრდები მონახავდნენ ელექტროსვეტს და მის ქვეშ უშანგის მიბაძვით აღელვებით წარმოთქვამდნენ მონოლოგებს.

როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისის მაშინდელი თეატრის დარბაზი მეტად ვიწრო და პატარა იყო. ზედა აივანი თითქმის შუაპარტერამდე უწევდა. კოტემ ამ პიესაში (კაფეს სცენა) ცეკვა გამოიყენა. აივანზე სამი თუ ხუთი წრე მიამაგრებინა და საცეკვაო მოედნები გააკეთა. კოტეს დიდ რეჟისორულ ბუნებას პატარა სცენა არ ეყო და დარბაზიც სცენად გადააქცია. ვისაც ეს დადგმა უნახავს, მან იცის, თუ რა გამაოცებელი ხელოვნებით იყო გამოყენებული ამ წარმოდგენაში სინათლეთა ფერების თამაში, მუსიკა და ცეკვა.

ერთ დღეს სამხატვრო საბჭოზე მიგვიხმეს. იდგმებოდა პანტომიმა — „ხანძარი“.

საოცარი რამ მოხდა.

გენერალური რეპეტიცია ყოვლად უგემურად და ულიმღამოდ ჩატარდა.

არც ერთი დეტალი, არც ერთი მიზანსცენა არ იდგა თავის სიმაღლეზე. გაოცებულნი ვიყავით. კოტეს მადლიანი ხელი არ ჩანდა. აშკარად იგრძნობოდა, რომ წარმოდგენა ჩავარდა.

რეპეტიციის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. სამხატვრო საბჭოს პარტიის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე კაპიტონ ჯანჯღავა თავმჯდომარეობდა.

ვის უნდა სიტყვის თქმაო, როცა წარმოთქვა, კაცმა ხმა არ ამოიღო.

კოტე, რასაკვირველია, მიხვდა რაშიც იყო საქმე და გული მოუვიდა. კაპიტონმა გვანიშნა, თქვენი აზრი გამოთქვითო.

ხერხემალგამლხვალი ავდექი. წარმოდგენას უარყოფითი შეფასება მივეცი, როგორც შემეძლო, ჩემი აზრი დავასაბუთე.

მთელმა საბჭომ მხარი დამიჭირა. ერთმა ახალგაზრდამ თავისი აზრი ზუსტად ვერ გამოთქვა და უადგილოდ იხმარა სიტყვა „ხალტურა“, რამაც კოტე გააბრაზა.

— თქვენ არაფერი არ იცით, თეატრში თხა და გიგოსავით ხართ და სხვისი არ გჯეραთო, — შესძახა გაგულისებულმა.

კაპიტონმა ბევრი აწყნარა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. კენჭი უყარეს და წარმოდგენა არ მიიღეს. გაცეცხლებული კოტე წამოვარდა:

— ხვალვე ცენტრალური კომიტეტის მდივანს ჩამოვიყვან, და იმან განსაჯოს ეს საქმეო.

მართლაც მეორე დილით საოლქო კომიტეტში დაგვიბარეს.

ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჩამოვიდა, ამაღამ რეპეტიცია უნდა ნახოს. თქვენი აზრი უნდა დაასაბუთოთ, არ შეგვარცხვინოთო.

ტანში დამცეცხლა. ცუდ ხასიათზე დავდექი, თუმცა ვგრძნობდი ჩემს სიმართლეს. უმალვე სახლში გავიქეცი, რაც კი რაიმე წიგნი მქონდა თეატრალურ ხელოვნებაზე, ყველაფერი გადმოვქექე, ჩავუჯექი, რაღაც თეორიული საფუძველი ხომ უნდა ჰქონოდა ჩემს ლაპარაკს?!

წიგნი არ მქონდა გაშლილი, მთელი სამხატვრო საბჭოს წევრ ახალგაზრდების ჯგუფი თავში დამადგა.

— რა ვქნათ, რაღა გვეშველება, რა ვთქვათო?!

ცენტრალური კომიტეტის მდივანს რესპუბლიკის სხვა პასუხისმგებელი ამხანაგებიც ახლდნენ თან.

რეპეტიცია დამთავრდა. ახლა სიჩუმე აღარ ვარგოდა. პირველი სიტყვა მე მომცეს.

არ მახსოვს რა და როგორ ვილაპარაკე, მაგრამ, როცა დავჯექი, მუხლები მაშინ ამიკანკალდა. კოტეს თვალებს რომ წავაწყდი, მივხვდი, მისი თვალები აღარ მიყურებდნენ სიყვარულით. ადგნენ სხვებიც და მხარი დამიჭირეს, შემდეგ კაპიტონმა წარმოთქვა სიტყვა. დამაჯერებლად ილაპარაკა. რასაკვირველია, სამხატვრო საბჭოს წინაღამის აზრი დაიცვა და დაასაბუთა.

ყველანი ცენტრალური კომიტეტის მდივანს შევცქეროდით, რას იტყვის ახლა იგი. ვაითუ მართლა ვცდებით, ხომ არ გადავაჭარბეთ და ვავნეთ საქმეს?!

ჩვენ ვიცოდით რომ კოტეს დიდ პატივს სცემდა პირადად ის და, შეიძლება, მორიდებოდა კიდეც. ჩვენდა გასაოცრად მან დაიცვა ჩვენი აზრი. რასაკვირველია, უფრო საბუთიანად, ცოდნითა და მტკიცე არგუმენტით.

კოტე გაბრაზდა, მაგრამ შეეყოყმანდა. ერთი კი წაილაპარაკა.

— კომკავშირელიდან დაწყებული, ცეკას მდივნამდე ერთი ცომიდან ხართ ნაკეთებიო, — და მერე მოითხოვა, ხვალამდე მაცალეთ და ხვალ საღამოს რეპეტიციას დაესწარით, თუ არ მოგეწონებათ, მაშინ მისაყვედურეთო.

ჩვენ გაკვირვებულნი დავრჩით.

ხვალამდე რა უნდა გაკეთდეს, რა უნდა შეიცვალოსო, ვფიქრობდით ყველანი.

არ აწყენინეს. დათანხმდნენ და დავიშალენით. სანამ ხალხი აიშლებოდა, კოტე დასს მიუბრუნდა.

— ამაღამ შინ ვერავინ წავა. მთელი ღამე უნდა ვიმუშაოთ და ჩვენი საქმე ვაკეთოთ.

მივდიოდით სახლში და ყველანი დარწმუნებული ვიყავით, ერთი ღამის მანძილზე, არაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა. მართალია, ჩვენ გვწამდა, რომ კოტე დიდი რეჟისორი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში და, ისიც — ასე მოკლე ხანში, სასწაულმოქმედებისა აღარ გვჯეროდა.

მეორე დღეს, საღამოს რვა საათზე, შევიკრიბენით. ყველანი მოვიდნენ. წარმოდგენის დაწყებამდე გავიგეთ, რომ მთელი ღამე ემუშავნათ, კოტეს კაცი არ გაუშვა სახლში. რამდენიმე მოქმედი პირი ჩაემატებინა კიდეც. თუ არ ვცდები, კოტე ანდრონიკაშვილი მაშინ ადმინისტრატორად მუშაობდა თეატრში და ისიც კი ათამაშა ამ წარმოდგენაში.

რეპეტიცია დაიწყო.

პატარაობისას წამიკითხავს ამბები სასწაულმოქმედთა შესახებ. ცხოვრებაში კი ასეთი არაფერი მინახავს. არც ერთი დეტალი, არც ერთი მიზანსცენა არ გავდა წინაღამის წარმოდგენას. ყველაფერი ძირფესვიანად შეცვლილი დ გადასხვაფერებული იყო. ეს უსიტყვო პიესა (როგორც ზემოთ ვთქვით, იგი პანტომიმა იყო) მეტყველ და მხატვრულად ძლიერ წარმოდგენად გადაიქცა. მთავარი როლის შემსრულებელი მედეა ქორელი აღარ ჰგავდა წინა ღამის მსახიობს. იგი სრულიად სხვანაირად მოჩანდა და მისი ტანის რხევაც სხვანაირად ჟღერდა. ერთი სიტყვით, ახლა ვნახეთ ის, რასაც არ ველოდით. ვნახეთ ნამდვილი მხატვრულად გამართული, ნათელი და ძლიერი სპექტაკლი. მადლობის მეტი რაღა გვეთქმოდა! კოტეც ღიმილით და კმაყოფილებით გვიყურებდა, როცა ჩვენი აზრი ვუთხარით, იგი წამოდგა და ასე თქვა:

— ჩემს ცხოვრებაში პირველად კომკავშირელები მომეხმარენ ასე ნაყოფიერადო.

ყველას ხელი ჩამოგვართვა და მოგვეფერა.

შემდეგ გავიგეთ, რომ ამ წარმოდგენისათვის მას იმ ღამემდე ხელიც არ წაუკარებია. დადგმაზე სხვებს ემუშავნათ. როცა ხელი მოჰკიდა, მაშინ თავისი მადლიანი დაღიც დაასვა ამ მართლაც დიდმა ადამიანმა.



**მამია ასათიანი**



JAROSLAV HASEK

დიდესი ჩეხი სატირიკოსი იაროსლავ ჰაშეკი დაიბადა 1883 წლის 30 აპრილს პრაღაში და თავისი ხანმოკლე, მაგრამ მოუსვენარი და ნაყოფიერი სიცოცხლე, რომელზეც მთელი რომანი დაიწერება, 1923 წლის 3 იანვარს დაასრულა. ი. ჰაშეკი წვრილბურჟუაზიული, ინტელიგენტური ოჯახის შვილია; სწავლობდა იგი გიმნაზიაში, სადაც მისი ერთ-ერთი მასწავლებელი დიდი ჩეხი ისტორიკოსი და დემოკრატი მწერალი ალოის ირასეკი იყო; გიმნაზიიდან იაროსლავი გარიცხეს, როგორც არაკეთილსაიმედო ახალგაზრდა და იგი კომერციულ სასწავლებელში მოეწყო, მაგრამ, ნაცვლად ბანკის მოხელისა, მისგან შესანიშნავი ჟურნალისტი დადგა და, ბოლოს, მსოფლიოში სახელიც გაითქვა, როგორც სატირიკოსმა მწერალმა.

პირველი მსოფლიო ომის დროს ი. ჰაშეკს ჯარისკაცის ფარაჯა ჩააცვეს და ფრონტზე უკრეს თავი, მაგრამ იგი სრულებით არ იყო განწყობილი, სისხლი დაეღვარა ავსტრო-უნგრეთის მონარქიის ინტერესებისთვის, ამიტომ 1915 წელს ნებაყოფლობით ტყვედ ნებდება რუსებს. რუსეთში იგი 1918 წელს რკპ (ბ) წევრი ხდება და მთელი თავისი მოღვაწეობით იმსახურებს პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისთვის მებრძოლი მწერლის სახელს.

1920 წელს ჰაშეკი ჩეხოსლოვაკიაში დაბრუნდა და თავის „შვეიკზე“ განაგრძო მუშაობა, მაგრამ მისი დამთავრება არ დასცალდა უდროოდ გარდაცვალების გამო.

ჰაშეკი მრავალი საყოფაცხოვრებო და ჰუმორისტული მოთხრობის ავტორია, რომლებშიც იგი გვევლინება ჩეხური ლიტერატურის დემოკრატიული ტრადიციების — და პირველ ყოვლისა დიდი ჩეხი სატირიკოსის კარელ ჰავლიჩეკ-ბოროვსკის, იან ნერუდასი და სვატოპლუკ ჩეხის ტრადიციების გამგრძელებლად. ჰაშეკი განაგრძობდა ბრძოლას ჰაბსბურგების აბსოლუტიზმის, ფეოდალური გადმონაშთების, ბიუროკრატიზმის, ბურჟუაზიული საზოგადოების სიცრუისა და თვალთმაქცობის, ბურჟუაზიული მორალის წინააღმდეგ. ასეთებია: „ბჯანყება ავსტრიის ფლოტში“, „ცხოვრების ქვა“, „გადარჩენილია“, „ცხოვრების მაგალითი“, „შეჭამანდი ღატაკ ბავშვთათვის“, „ამბავი ერთი გოჭისა“, „საღვთო სჯულის გაკვეთილი“ და მრავალი სხვ. უკვე ამ მოთხრობებში იგრძნობა მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის საგანძურის ერთ-ერთი შედევრის „შვეიკის“ მომავალი ავტორი.

დღეს „შვეიკის თავგადასავლის“ მილიონობით წიგნი ამშვენებს მსოფლიო ბიბლიოთეკების თაროებს, და ეს არის საუკეთესო ძეგლი იაროსლავ ჰაშეკისთვის, რომლის დაბადებიდან წელს 75 წლისთავი შესრულდა.

იაროსლავ ჰაშეკი

# რელიგიური პაექრობა *

ილუსტრაციები ჩეხეთის სახალხო მხატვრის **იოზეფ ლადასი**

ზოგჯერ მთელი დღეები ისე გავიდოდა, რომ შვეიკი ვერ ხედავდა ჯარისკაცთა სულიერ მამას. თავისი სულიერი მოვალეობანი ფელდკურატ[1] ოტო კატცს გადანასკვული ჰქონდა ქეიფსა და დროსტარებაზე და იშვიათად მიდიოდა შინ, და თუ მივიდოდა, ისე ამოსვრილი და ამოგანგლული იყო, თითქოს ხვადი კატა სახურავებზე გასეირნებიდან დაბრუნდაო.

როცა შინ მივიდოდა, თუ საერთოდ ენა კიდევ ერჩოდა, ფელდკურატი დაძინების წინ შვეიკს ესაუბრებოდა მაღალ მატერიებზე, სულიერ ექსტაზზე და აბსტრაქტული სჯა-ბაასით მოგვრილ სიხარულზე, ზოგჯერ ჰაინეს ციტირებასაც ლამობდა კიდეც.

შვეიკმა და ფელდკურატმა კიდევ ერთი საველე წირვა გადაიხადეს მესანგრეებთან, სადაც შეცდომით მიწვეული იყო მეორე ფელდკურატიც, რომელიღაც სკოლის ყოფილი საღვთო სჯულის მასწავლებელი, მეტისმეტად ღვთისმოსავი და მორწმუნე ხუცესი. მან ძალიან გაკვირვებულმა შეხედა თავის კოლეგა კატცს, როცა ამ უკანასკნელმა შვეიკის მათარიდან ერთი ყლუპი კონიაკი შესთავაზა, — ამ მათარას შვეიკი განუშორებლად თან ატარებდა რელიგიური ცერემონიების აღსრულების დროს.

— ვერ დამიწუნებთ, ისეთი კონიაკია, — უთხრა ოტო კატცმა. — გადაჰკარით და შინ წაბრძანდით. მე ყველაფერს მოვაგვარებ. დღეს ჩემთვის აუცილებელია სუფთა ჰაერზე ყოფნა, ცოტათი თავის ტკივილი მაწუხებს.

ღვთისმოსავმა ფელდკურატმა თავი გადააქნია და წავიდა, კატცმა კი, როგორც ყოველთვის, ბრწყინვალედ შეასრულა თავისი როლი. ამჯერად მან სოდიანი წყლით შეზავებული ღვინო აქცია უფლის სისხლად, ქადაგებაც ჩვეულებრივზე უფრო მეტად გაუჭიანურდა, ამასთანავე მისი ყოველი მესამე სიტყვა იყო: „და ასე შემდეგ“ და „უეჭველია“.

— სალდათებო! დღეს თქვენ ფრონტზე მიემგზავრებით, და ასე შემდეგ. მიაპყრეთ გულნი თქვენნი უფალსა ჩვენსა, და ასე შემდეგ. უეჭველია, და ასე შემდეგ.

საკურთხეველთან რიგრიგობით გრგვინავდა: „და ასე შემდეგ“, „უეჭველია“, „უფლისა ჩვენისა და შეწევნითა ყველა წმიდანისა“.

საკუთარი მჭევრმეტყველებით აღტყინებულმა ფელდკურატმა პრინც ევგენი სავოიელი[2] წმიდანად შერაცხა, რომელიც ნავტიკის ხიდების დაგების დროს მესანგრეებს მფარველობას გაგიწევთო.

და მაინც საველე წირვა-ლოცვა მშვიდად ჩატარდა — სიამტკბილობითა და მხიარულად. მესანგრეებმა გული იჯერეს ხალისიანი გართობით.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, შვეიკსა და ფელდკურატს ტრამვაიში არ უშვებდნენ დასაკეცი საკურთხევლით. მაგრამ შვეიკმა კონდუქტორს შეუტია:

— შენთვის მითქვამს, მიფრთხილდი, თორემ ავიღებ და, ამ წმიდა საკურთხეველს მაგ გოგრაში გთხლიშავ.

ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწიეს თავის ბინას, მაგრამ ახლა აღმოჩნდა, გზაში თურმე სანაწილე დაკარგვოდათ.

— მერედა, რა ბედენაა, — თქვა შვეიკმა. — პირველმა ქრისტიანებმა არც კი იცოდნენ სანაწილე რა იყო, მაგრამ წირვა მაინც გამოჰყავდათ. გაზეთში რომ გამოვაცხადოთ სანაწილეს დაკარგვის შესახებ, მპოვნელი ჯილდოს მოგვთხოვს. ფული რომ იყოს, მაინცადამაინც თავს არავინ შეიწუხებდა მის დაბრუნებაზე... თუმცა, ასეთებიც არიან. ჩვენთან პოლკში, ბუდეიოვიცეში ერთი ჯარისკაცი გვყავდა, თავისებური და კარგი ყმაწვილი იყო, მაგრამ ძალზე ბრიყვი. ერთხელ ქუჩაში ექვსასი კორუნა იპოვნა და პოლიციას ჩააბარა. ამ ამბით გაზეთები აჭრელეს: აი, ხედავთ, რა პატიოსანი კაციაო. მაგრამ სირცხვილით იმ პატიოსან კაცს თავი აღარსად გამოეყოფოდა! მასთან ლაპარაკიც აღარავის სურდა. ყველა ერთხმად იმეორებდა: „კაი ბრიყვი ვინმე ყოფილხარ, ეს რა სისულელე ჩაიდინეო? მთელი შენი სიცოცხლე სირცხვილით უნდა იწვოდე, თუ სინდისის ნატამალი კიდევ გაგაჩნიაო“. წინათ მას შეყვარებული გოგოც ყავდა, და აი, ამ გოგომაც ზურგი შეაქცია, შენისთანასთან საერთო არაფერი მაქვსო.

შინ, შვებულებაში როცა წავიდა, მისმა ამხანაგებმა, სწორედ ამ ამბის გამო, იგი სამიკიტნოდან გამოაგდეს გახურებული ცეკვა-თამაშის დროს. საწყალი ბიჭი ჩამოხმა, დანაღვლიანდა და, ბოლოს, მატარებელს ბორბლებში შეუვარდა... აი კიდევ ერთი შემთხვევა. ჩვენი ქუჩის მკერავმა ოქროს ბეჭედი იპოვნა. იგი გააფრთხილეს — პოლიციას არ ჩააბაროო, მაგრამ მან თავისი არ დაიშალა. პოლიციაში მეტად თავაზიანად მიიღეს, ბრილიანტის თვლიან ოქროს ბეჭდის დაკარგვაზე განცხადება უკვე შემოსულიაო. მაგრამ მერე ქვას დახედეს და ეუბნებიან: „ეს ხომ უბრალო შუშაა, კეთილო ადამიანო, დიახ, შუშა და არა ბრილიანტი. რამდენი აიღეთ ბრილიანტში? კარგად ვიცნობთ თქვენისთანა „პატიოსან მპოვნელებსო“! ბოლოს გამოირკვა, რომ თურმე კიდევ ერთ კაცს დაკარგვოდა ბეჭედი ყალბი ბრილიანტის თვალით (რომელიღაც საოჯახო წმინდა ნივთი). მაგრამ მკერავი სამი დღით მაინც ჩასვეს, ვინაიდან ძარღვები ისე მოეშალა, რომ პოლიციას შეურაცხყოფა მიაყენა. ხოლო კანონიერი ჯილდო კი მისცეს, ათი პროცენტი, ესე იგი ერთი კორუნა და ოცი ჰალერი, — ამ ხარახურის ფასი სულ თორმეტ კორუნას შეადგენდა. მაგრამ მკერავმა აიღო და, ეს კანონიერი ჯილდო სახეში მიახალა ბეჭდის პატრონს, იმან უჩივლა — შეურაცხყოფა მომაყენაო, და მკერავი ათი კორუნით დააჯარიმეს პიროვნების შეურაცხყოფისთვის. ამის შემდეგ მკერავი სულ იმას გაიძახოდა, ყოველ პატიოსან მპოვნელს, ნაპოვნ ნივთზე ხმას რომ ამოიღებს, ოცდახუთი კორუნა ჯარიმა უნდა დაედოხო, ასეთებს ცემისგან ძვალი და რბილი უნდა გაუერთო და საქვეყნოდ გამოაჭენო, რომ ყველამ იცოდეს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაშიო... ჩემის აზრით, სანაწილეს არავინ დაგვიბრუნებს, თუმცა უკან მას პოლკის ბეჭედი აქვს დასმული. სახაზინო ქონებასთან საქმის დაჭერას ყველა ერიდება. საქმე რომ არ გაგიჯანჯლდეს, უმჯობესია, წყალში გადაუძახო ასეთი ნივთი. გუშინ სამიკიტნო „უ ზლატეჰო ვენცეში“ ერთ პროვინციელს გამოველაპარაკე, იგი უკვე ორმოცდათექვსმეტი წლის კაცია. იგი ნოვე პაკიში ჩამოსულიყო, სამხარეო სამმართველოში სურდა გაეგო, ბრიჩკარად ჩამომართვესო. უკან რომ ბრუნდებოდა, — სამხარეო სამმართველო-



* ნოველა რომანიდან „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი და მისი თავგადასავალი მსოფლიო ომში“.

[1] პოლკის ხუცესი ავსტრიის არმიაში.

[2] ავსტრიის სარდალი.

დან, რა თქმა უნდა, კინწისკვრით გამოაგდეს, — იგი, თურმე, მოედანზე გაჩერდა და ცქერა დაუწყო სამხედრო აღალს, რომელიც ეს-ესაა მოსულიყო და ისვენებდა. ვიღაც ჯეელმა, — მას ჯარისთვის კონსერვები მიჰქონდა, — სთხოვა, ერთი წუთით ცხენებს მიმიხედეო, წავიდა და უკან მოსვლა აღარც უფიქრია. როცა აღალი დაიძრა, ჩემი ნაცნობი იძულებული შეიქნა ყველასთან ერთად უნგრეთამდე ეჩანჩალნა, უნგრეთში კი ახლა თვითონ სთხოვა ვიღაცას, ცოტა ხნით ცხენებს მიმიხედეო და მხოლოდ ამით დაუძვრა ხელიდან, თორემ სერბიაში ამოყოფდა თავს.

გიჟივით დაბრუნდა შინ და ახლა, თურმე, სათოფეზე აღარ ეკარება სახაზინო ქონებას...

საღამოთი ისინი ღვთისმოსავმა ფელდკურატმა მოინახულა, აი იმან, დილით მესანგრეებთან საველე წირვის ჩატარებას რომ აპირებდა. იგი ფანატიკოსი იყო, და ცდილობდა ყოველი ადამიანი ღმერთთან დაეახლოებინა. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა რომელიღაც სკოლაში საღვთო სჯულის მასწავლებლად იყო, ბავშვებს რელიგიურ გრძნობებს მუჯლუგუნებითა და თავში წატიალებით უნვითარებდა, და გაზეთები ზოგჯერ ბეჭდავდნენ მის შესახებ ცნობებს შემდეგი სათაურებით: „უსულგულო საღვთო სჯულის მასწავლებელი“, ან „საღვთო სჯულის მასწავლებელი, რომელიც მუჯლუგუნებით ასწავლის“. მაგრამ საღვთო სჯულის მასწავლებელი დარწმუნებული იყო, რომ ბავშვი ყველაზე უკეთესად ავსტრიული სისტემით შეითვისებდა კატეხიზმოს. ღვთისმოსავი ფელდკურატი ცალი ფეხით კოჭლობდა, — ეს ბნელ შესახვევში ერთი მისი მოწაფის მამასთან პირისპირ შეხვედრის შედეგი გახლდათ. საღვთო სჯულის მასწავლებელმა მის ვაჟს მაგრად უთაქა თურმე იმიტომ, რომ ყმაწვილს ეჭვი შეეპარა წმიდა სამების არსებობაში; ბიჭს სამი მჯიღი წაჰკრა: ერთი — მამა ღმერთისა, მეორე — ძე ღვთისა და მესამე — სული წმიდისათვის. დღეს ყოფილი საღვთო სჯულის მასწავლებელი მოვიდა თავისი კოლეგის კატცის ჭეშმარიტების გზაზე დასაყენებლად და მის გულში ღვთიური ნაპერწკლის ჩასასახავად. მან ასე დაიწყო სულის განსანათლებელი საუბარი:

— ძალიან მიკვირს, რომ ჯვარცმა არსად გიკიდიათ. სად ლოცულობთ და ან სად არის თქვენი ლოცვანი? არც ერთი წმიდანის ხატი არ ამშვენებს თქვენი ოთახის კედლებს. ეს რა ჩამოგიკიდიათ საწოლთან?

კატცს გაეღიმა.

— ეს „მობანავე სუსანაა“, შიშველი ქალი კი მის ქვემოთ — ერთი ჩემი ძველი შეყვარებულია. მარჯვნივ — იაპონური აკვარელია, რომელიც ხანში შესულ იაპონელ სამურაისა და გეიშას სექსუალურ აქტს გამოხატავს. თქვენ რას იტყვით, ძალიან ორიგინალურია, არა? ლოცვანი კი სამზარეულოში მაქვს. შვეიკ! მომიტანეთ ლოცვანი და გახსენით მესამე გვერდზე.

შვეიკი სამზარეულოში გავიდა და იქიდან ერთიმეორეზე გახსნილი ბოთლების საცობთა ტკაცანი მოისმა.

— ეს მსუბუქი ზედაშეა, კოლეგა, — უთხრა კატცმა. — ძალიან კარგი რისლინგია. გემოთი მოზელის ღვინოს მოგაგონებთ.

— არასგზით არ დავლევ, — ჯიუტად განაცხადა ღვთისმოსავმა ფელდკურატმა. — მე მოვედი თქვენი სულის გასანათლებლად.

— მაგრამ თქვენ, კოლეგა, ყელი გაგიშრებათ, — უთხრა კატცმა. — დალიეთ, მე კი მოგისმენთ. მე დიდად მომთმენი ადამიანი გახლავართ, შემიძლია სხვისი აზრიც მოვისმინო.

ღვთისმოსავმა ფელდკურატმა ცოტა მოსვა და თვალები გადმოკარკლა.

— ამაზე რაღას იტყვით, ხომ ძალიან კარგი ღვინოა, კოლეგა? — ჰკითხა კატცმა.

ფანატიკოსმა მტკიცედ უთხრა:

— მე ვამჩნევ, რომ თქვენ უკადრის სიტყვებს მიმართავთ საუბარში.

— მიჩვევაა, — უპასუხა კატცმა. — ხანდახან ღვთის გმობაც წამომცდება ხოლმე. შვეიკ, დაუსხით პან ფელდკურატს. გარწმუნებთ, რომ ხშირად აუგად მიხსენებია ღმერთი, და ხელი არ დამიკლია რჯულისა და ზიარებისთვისაც. აბა ერთი ჩემდენი იმსახურეთ სამხედროში და მაშინ ნახავთ, სადამდე მიხვალთ. და განა ძნელია, თან სასულიერო პირებისთვის ესოდენ ახლობელიცაა, ყველა ეს — ღმერთი, რჯული, ზიარება. ძალიან ლამაზად კი ჟღერს, ხომ მართალია? და ყველაფერი ჩვენს პროფესიასთან არის დაკავშირებული. დალიეთ, კოლეგა!

საღვთო სჯულის ყოფილმა მასწავლებელმა ანგარიშმიუცემლად გადაჰკრა. ეტყობოდა, რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა. აზრებს იკრებდა.

— პატივცემულო კოლეგა, — განაგრძო კატცმა, — მხნედ იყავით, ცხვირპირი ნუ ჩამოგტირით, თითქოს ხუთი წუთის შემდეგ უნდა ჩამოგახრჩონ. თქვენზე მსმენია, ერთხელ პარასკევს, ხუთშაბათი რომ გეგონათ თურმე, შეცდომით ერთ სამიკიტნოში ღორის კატლეტი გიჭამიათ, მერე საპირფარეშოში გაქცეულხართ და ორი თითი პირში გიტაცნიათ, რომ ყველაფერი უკან გადმოგერწყიათ იმის შიშით, ვაითუ ღვთის რისხვა თავს დამატყდესო. პირადად მე სრულებით არ ვერიდები მარხვაში ხორცის ჭამას და არავითარი ჯოჯოხეთი მე არ მაშინებს. პარდონ! ცუდად ხომ არა ხართ? აბა ერთი დალიეთ ღვინო, გულს გიპოვით! ახლა ხომ უკეთ გრძნობთ თავს?.. ან იქნებ თქვენ უფრო პროგრესული თვალსაზრისი გაქვთ ჯოჯოხეთურ ქვესკნელზე, შეიძლება ფეხდაფეხ მისდევთ დროების სულისკვეთებასა და რეფორმისტებს? სხვანაირად რომ ვსთქვათ, თქვენ იქნებ გგონიათ, რომ ჯოჯოხეთში ცოდვილთა საწამებლად კუპრით სავსე უბრალო ქვაბების ნაცვლად ავტოკლავებს იყენებენ, ესე იგი მაღალი წნევის ქვაბებს, აგრეთვე, იქნებ დარწმუნებული ხართ, რომ ცოდვილთ მარგარინში ხრაკავენ, შამფურებს კი ელექტრონის მამოძრავებლებით ატრიალებენ? მილიონი წლების მანძილზე ბეკნიან ბედკრულ ცოდვილებს გზატკეცილების ორთქლის საბეკნელებით, ღრჭიალი გაუდით მათ კბილებს საგანგებო მანქანებით შეჭურვილ დანტისტების ხელში, ცოდვილთა ღაღადისი იწერება გრამოფონის ფირფიტებზე, შემდეგ ეს ფირფიტები ზემოთ, სამოთხეში იგზავნება, უცოდველთა გასამხიარულებლად? სამოთხეში კი ოდეკოლონის სასხურებელი მოქმედობს და სიმფონიური ორკესტრები ბრამსს ისე დაუსრულებლად, გულგამაწვრილებლად უკრავენ, რომ ასეთ სამოთხეში ყოფნას ჯოჯოხეთსა და სალხინებელს ამჯობინებ? იქნებ ფიქრობთ, რომ ანგელოზებს უკანალში სათითაოდ პროპელერი აქვთ გამოჩრილი, მათ ფრთებს ჯაფა რომ არ დაადგეთ?.. ცოტა მოსვით, კოლეგა! შვეიკ, დაუსხით პან ფელდკურატს კონიაკი. მგონი, გული შეუღონდა.

როცა გონს მოვიდა, ღვთისმოსავმა ფელდკურატმა ჩურჩულით წარმოთქვა:

— რელიგია გონებრივი რწმენაა... ვისაც წმიდა სამების არსებობა არა წამს...

— შვეიკ, — გააწყვეტინა კატცმა, ფანატიკოს მღვდელს, — დაუსხით პან ფელდკურატს კიდევ ერთი ჭიქა კონიაკი, იქნებ მოსულიერდეს. ერთი უამბეთ მას რამე, შვეიკ.

— ვლაშიმეში, მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ფელდკურატ, — დაიწყო შვეიკმა, — იყო ერთი წინამძღვარი. როცა წინანდელი მოახლე ქალი ბავშვითა და გატაცებული ფულით გაექცა, წინამძღვარმა ახალი მოსამსახურე დაიქირავა. ეს სულიერი მამა მოხუცებულობის ჟამს წმიდა ავგუსტინის შესწავლას შეუდგა, რომელიც ეკლესიის წმიდა მამების დასს არის მიკუთვნებული. ამოიკითხა მის წიგნებში, რომ ყველა, ვისაც ანტიპოდების წამს, შეჩვენების ღირსია. იხმო თავისი მოახლე ქალი და უთხრა: „თქვენ როგორღაც ერთხელ მითხარით, რომ ვაჟი გყავთ, ზეინკალი — მექანიკოსი, რომელიც ავსტრალიაში წავიდა. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ იგი ანტიპოდი გახდა, წმიდა ავგუსტინე კი გვიბრძანებს — შევაჩვენოთ ყველა, ვისაც ანტიპოდების არსებობა წამს“. — „მამაო, — უპასუხა დედაკაცმა, — კი, მაგრამ ჩემი ვაჟი სინამდვილეში ხომ წერილებსაც მიგზავნის და ფულსაც“. — „ეს ბოროტი სულის ცთუნებაა, — სიტყვა მოუჭრა წინამძღვარმა. — წმიდა ავგუსტინის მოძღვრების თანახმად, არავითარი ავსტრალია არ არსებობს. თქვენ ანტიქრისტეს მახეში ხართ გაბმული“. კვირა დღეს ეკლესიაში ამ მოძღვარმა საქვეყნოდ დასწყევლა ქალი, და გაჰყვიროდა, არავითარი ავსტრალია არ არსებობსო. რაღა ეშველებოდა, აიღეს და ეკლესიიდან პირდაპირ საგიჟეთში წაიყვანეს. ურიგო არ იქნებოდა, რა თქმა უნდა, ზოგიერთი სხვებიც რომ გამოამწყვდიონ იმ საგიჟეთში. ურსულელ ქალთა მონასტერში არის თურმე ერთი ბოთლი ქალწულ მარიამის რძით სავსე, ბენეშოვის მახლობლად მდებარე ობოლთა თავშესაფარში კი, როცა იქ ლურდის[1] ნაკურთხი წყალი მიიტანეს, ობლები ფაღარათმა ისე მოაქცია, რომ ყველანი გაჩენის დღეს იწყევლიდნენ.

ღვთისმოსავ ფელდკურატს თვალთ აუჭრელდა. მან მოიხედა მხოლოდ მაშინ, როცა კიდევ ერთი ჭიქა კონიაკი გადაყლურჭა, რომელიც ერთბაშად თავში აუვარდა. თვალები მოჭუტა და კატცს ჰკითხა:

— თქვენ არა გწამთ ქალწულ მარიამის უხრწნელად მუცლადღება? არა გწამთ, რომ წმიდა იოანე ნათლისმცემლის თითი, რომელიც პიარისტებთან ინახება, ნამდვილია? ანდა საერთოდ ღმერთი გწამთ კი? და თუ არა გწამთ, ფელდკურატი რადა ხართ?

— ძვირფასო კოლეგა, — უპასუხა კატცმა და მოწყალებით მოუთათუნა ხელი ზურგზე, — სანამ სახელმწიფო დარწმუნებულია, რომ ჯარისკაცები, რომლებიც სასიკვდილოდ მიდიან ბრძოლის ველზე, ლოცვა-კურთხევას საჭიროებენ, ფელდკურატის თანამდებობა საკმაოდ სარფიანია და არც ისე დამქანცველია. მე ეს უფრო მეტად დამიჯდა ჭკუაში, ვინემ სასწავლო მოედანზე რბენა და მანევრებზე სიარული. წინათ უფროსების ბრძანებებისგან გული მქონდა გაწყალებული, ახლა კი იმას ვაკეთებ, რაცა მსურს. მე იმის წარმომადგენელი ვარ, ვინც არ არსებობს, და თვითონ ვასრულებ ღმერთის როლს. თუ არ მოვისურვებ ვინმეს ცოდვები მივუტევო, არ მივუტევებ, ჩოქვითაც რომ შემომიაროს გარშემო და ათასი მემუდაროს. თუმცა ასეთები, სამწუხაროდ არც ისე ბევრნი მოიძებნებიან.

— მიყვარს უფალი ჩვენი, — წარმოთქვა ღვთისმოსავმა ფელდკურატმა, რომელსაც სლოკინი აუტყდა, — ძალიან მიყვარს!.. მომეცით ცოტა ღვინო. პატივსა ვცემ უფალსა ჩვენსა, — განაგრძო მან. — დიდად, დიდად პატივსა ვცემ და შევტრფი. არავინ ისე არ მიმაჩნია, როგორც იგი!

მან მუშტი დაჰკრა მაგიდას, და ისე ძალუმად, რომ ბოთლები აყირავდნენ.

— მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა-მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყნისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა, და ამაში ვერავინ გადამარწმუნებს! წმიდა იოსებსაც პატივსა ვცემ, და ყველა წმიდანსაც პატივსა ვცემ, და წარმოიდგინეთ წმიდა სერაპიონსაც... ეს რა საძაგელი სახელი აქვს იმ დალოცვილს!

— დიახ, კარგი იქნებოდა როგორმე გამოეცვალა ასეთი უმსგავსი სახელი, — შენიშნა შვეიკმა.

— მიყვარს წმიდა ლუდმილა და წმიდა ბერნარდი, — განაგრძო ყოფილმა საღვთო სჯულის მასწავლებელმა. — ბევრი მგზავრი გადაურჩენია სენგოტჰარდზე. კისერზე მას შებმული აქვს ბოთლი კონიაკით და ეძებს თოვლით დაფარულ...

საუბარი სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. ღვთისმოსავმა ფელდკურატმა დაიწყო მიეთ-მოეთობა და რას არ ჩმახავდა:

— ჩვილ ყრმებს პატივსა ვცემ, მათი დღე ოცდარვა დეკემბერია. იროდი მძაგს... როცა ქათამს სძინავს, ახალი კვერცხის შოვნა ძნელია. ქათამმა უთხრა კვერცხსაო, მაგრე ვიყავი მეცაო. იმდენს გავედრებ ღმერთსაო, ჩემსავით გაგხდი შენცაო.

მერე გაიცინა და გალობა წამოიწყო:

— წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო...

მაგრამ უეცრად გალობა შეწყვიტა, მიუბრუნდა კატცს და მკვახედ შეეკითხა:

— თქვენ არა გწამთ, რომ თხუთმეტი აგვისტო ღვთისმშობლის მიძინების დღეა?

მხიარულება ღრეობად იქცა. გაჩნდა კიდევ ერთი ბოთლი, თავში ღვინო შეუჯდათ. დროდადრო გაისმოდა კატცის სიტყვები:

— თქვი „არ მწამს ღმერთი“, თორემ აღარ დაგისხამ.

გეგონებოდათ, პირველ ქრისტიანთა დევნის ჟამი დაბრუნდაო. ყოფილი საღვთო სჯულის მასწავლებელი გაჰკიოდა რომის ცირკის არენის წამებულთა რომელიღაც სიმღერას:

— მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა-მპყრობელი, და მასზე უარს არ ვიტყვი! არ მინდა თქვენი ღვინო! მე თვითონაც შემიძლია მოვატანინო!

ბოლოს, დიდის ვაი-ვაგლახით ჩააწვინეს იგი ლოგინში. მაგრამ ვიდრე დაიძინებდა, საღვთო სჯულის ყოფილმა მასწავლებელმა ასწია ხელი, თითქოს ფიცის წარმოსათქმელადო და განაცხადა:

— მრწამს ერთი ღმერთი, და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, და სული-წმიდა ჩვენი, მომეცით ლოცვანი!

შვეიკმა აიღო ოტო კატცის ღამის მაგიდიდან რომელიღაც წიგნი და შეპერანგებულ ხუცესს მიაჩეჩა. ღვთისმოსავ ფელდკურატს ჩაეძინა ბოკაჩიოს „დეკამერონით“ ხელში.

1 ლურდი — ქალაქი საფრანგეთში, კათოლიკეთა სამლოცველო ადგილი, სადაც „ნაკურთხი“ წყლის წყაროა.

ჩეხურიდან თარგმნა
შალვა გვინჩიძე





ელექტრონული ბიბლიოთეკა

თბილისი. ბარათაშვილის ქუჩის ხიდი

ფოტო მ. კვირიკაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს. ა. ჩახოიანცი — ლენინი გორკაში

ვ. ს. შერპილოვი — ციმბირელი პარტიზანები ვ. ი. ლენინთან



# თბილისის

# ხვალინდელი დღე



ლაპარაკობს თბილისის მთავარი არქიტექტორის მოადგილე ოთარ ლითანიშვილი.

როგორ გამოიყურება თბილისი პროექტებში?— ასეთი კითხვით მივმართეთ თბილისის მთავარი არქიტექტორის მოადგილეს ოთარ ლითანიშვილს. აი, რა გვიამბო მან:

— ჩვენს მრავლისმნახველ თბილისს ისეთი გრანდიოზული დღესასწაული, როგორიც მისი დაარსების 1500 წლისთავია, არც მოსწრებია. რესპუბლიკის მშრომელები ენთუზიაზმით ემზადებიან ამ თარიღისათვის.

მაინც რას უმზადებენ იუბილარს?

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ამ თარიღისათვის დამთავრდება, არის ახალი მაგისტრალი; იგი ერთმანეთთან დააკავშირებს თბილისის ორ მჭიდროდ დასახლებულ რაიონს — ვაკესა და საბურთალოს. როგორც ვიცით, უკანასკნელ წლებში ეს რაიონები გაიზარდა და გაფართოვდა. მათ შორის მიმოსვლის საშუალება კი მეტად უხერხული და გრძელია. მდინარე ვერა, რომელიც თავისი ღრმა ხეობით თიშავს ამ ორ უბანს, რკინა ბეტონის მძლავრ არტახებში მოემწყვდევა. ახალი ქუჩის სიგრძე 1800 მეტრი იქნება. იგი დაიწყება საბურთალოზე პავლოვის ქუჩიდან (აგურის ქარხნის მახლობლად) და გავა ვაკეში ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობასთან. ეს იქნება თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი მაგისტრალი, რომლის სიგანე 50 მეტრს მიაღწევს. მის შუა ნაწილში მოეწყობა ხეივანი, ქუჩის გაყოლებით კი დაირგვება მარადმწვანე და ფოთლოვანი მცენარეები.

საიუბილეოდ თბილისის მშრომელები კიდევ ერთ ძვირფას საჩუქარს მიიღებენ.

„ჰიათურმარგანეცის“ გამოცდილი მემონტაჟეები უკვე ამზადებენ საჰაერო-საბაგირო გზას, რომელიც დააკავშირებს ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს ქალაქის ცენტრთან — რუსთაველის მოედანთან. საჰაერო-საბაგირო გზის სიგრძე ათასი მეტრი იქნება. პატარა რონოდები, რომლებიც იმოძრავებენ ამ მარშრუტით, დაიტევენ 25 კაცს და პლატოზე ასვლას 4-5 წუთს მოანდომებენ. ერთი საათის განმავლობაში მათ შეეძლებათ უზრუნველყონ დაახლოებით 300-350 მგზავრის მიმოსვლა.

თავისთავად ცხადია, რომ ეს ხელს შეუწყობს მშრომელთა კულტურულ დასვენებას და გართობას, განტვირთავს და გაადვილებს თბილისელთა ამ საყვარელ ადგილზე მიმოსვლას.

არანაკლები მნიშვნელობის იქნება ახალი ქუჩაც, რომელიც დაიწყება ფუნიკულორის ქვედა სადგურიდან და გურამიშვილის და ბარნოვის ქუჩებით გავა ვაკეში, კერესელიძის ქუჩაზე.

თბილისელ სპორტისმოყვარულთათვის შენდება გრანდიოზული სადემონსტრაციო სპორტული დარბაზი, რომელიც ათი ათას მაყურებელს დაიტევს. აქ გაიმართება შეჯიბრებები კალათბურთში, ტანვარჯიშში, ჩოგბურთში, ფრენბურთში, კრივში, სიმძიმეების აწევაში.

ივლისის მცხუნვარე დღეებში თბილისელებს საშუალება ექნებათ დაესწრონ შეჯიბრებას... ციგურებით სრბოლაში. ეს მოხდება სპეციალური მაცივარ-დანადგარების საშუალებით.

თბილისის წარსულის მოწმე ისტორიული ძეგლები განახლებულნი და აღდგენილნი შეხვდებიან დღესასწაულს. თბილისელი არქიტექტორ-რესტავრატორები აღადგენენ მტკვრის პირას აგებულ მეჩვიდმეტე საუკუნის „როსტომის სასახლეს“, შეაკეთებენ ეგრეთ წოდებულ „ლურჯ მონასტერს“, რომელიც XII საუკუნეს ეკუთვნის, მეტეხის ეკლესიას, აღადგენენ მდინარე ვერის ხიდს, რომელიც არქიტექტურული თვალსაზრისით ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია, შეაკეთებენ, აგრეთვე, ცნობილ სიონის ტაძარს, ფორაქიშვილების ქართულ დარბაზს, ნარიყალას, ერეკლეს მოედანს, ანჩისხატს და თბილისში არსებულ XIX საუკუნის აივნიან სახლებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იუბილესათვის გათვალისწინებულია დაიდგას თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასალის ძეგლი. იგი დაიდგმება მეტეხის კლდის პლატოზე (ამისათვის მთლიანად იღებენ აქ არსებულ ციხის ნაგებობას). ვახტანგ გორგასალის ძეგლის პროექტზე გამოცხადებულია კონკურსი.

ქალაქში შემომავალ ყველა გზაზე, თბილისის მახლობლად, დაიდგმება ტრიუმფალური თაღები და ობელისკები.

თბილისის იუბილესათვის დამთავრდება სამუშაობები მტკვრის ორივე სანაპიროზე ბარათაშვილისა და მეტეხის ხიდებს შორის. აფხაზეთის და აჭარის მშრომელები, მახარაძელი კოლმეურნეები გაამწვანებენ თბილისის ახლად გაშენებულ სანაპიროებს და ახალ ასორტიმენტს შემატებენ რუსთაველის ქუჩის გამწვანებას. საერთოდ, წელს თბილისის ქუჩებში, მთის კალთებზე, ბაღებსა და სკვერებში 500.000 ძირი ხე და ბუჩქი დაირგვება. მთაწმინდის კალთებზე 30 ჰექტარ ფართობზე გაშენდება ტყე-პარკი, სადაც დაირგვება 30.000-ზე მეტი სხვადასხვა სახის მცენარე. მოასფალტდება 2.000 კვადრატულ მეტრზე მეტი ქუჩა და მოედანი.

მდინარე მტკვრის სანაპიროებზე აშენდება ნავმისადგომები, რათა მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს ადვილად ისარგებლოს წყლის ტრამვაით. ბათუმის გემთმშენებლები უკვე ამზადებენ საჩუქრად თბილისელებისათვის ასეთი სახის ტრანსპორტს.

ქალაქის მშრომელთა კეთილმოწყობისათვის ერთ-ერთ ძირითად საკითხს საბინაო მშენებლობა წარმოადგენს.

თბილისის იუბილესათვის ექსპლოატაციაში შევა 800 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით, რომ სპეციალური დადგენილების მიხედვით სახელმწიფოს სახსრებიდან საქართველოში 1956 წლიდან 1960 წლამდე აშენდება 2 მილიონ ასი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო მილიონ ცხრაასი ათასი კვადრატული მეტრი მოსახლეობის ხარჯზე (ინდივიდუალური და კოოპერაციული მშენებლობა, ე. წ. „ამხანაგობა“).

მშენებლობა ძირითადად იწარმოებს ნავთლუღის, ღრმა-ღელისა და საბურთალოს რაიონებში.

საბურთალოზე გრანდიოზული საბინაო მშენებლობა გაჩაღდება მოკლე ხანში. ამ რაიონში გამოყოფილია 300 ჰექტარი მიწა, რომელიც 45 ათას მაცხოვრებელს დაიტევს.

ნავთლუღში დაგეგმილია ახალი მასივი 60 ჰექტარზე, რომელიც 17 ათას მაცხოვრებელს დაიტევს. ღრმა-ღელეში ათი ათას მაცხოვრებლისათვისაა გათვალისწინებული საბინაო მშენებლობა და სხვ.

ამ სამი რაიონის გარდა მუშავდება პროექტი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მასივისა დიღმის რაიონში (დიდუბის ახალ ხიდთან). ეს სახლები აშენდება ტიპიური პროექტების მიხედვით.

ქალაქის ზრდისა და კეთილმოწყობის საქმეში დიდი როლი ეკისრება საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალურ მშენებლობას. თბილისის ტერიტორიაზე უკვე აღარ არის ადგილი, სადაც შეიძლება წარმოებულ იქნას ინდივიდუალური მშენებლობა. ამიტომ ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა მომავალი ინდივიდუალური მშენებლობა გადაიტანოს ქალაქგარეთ ავჭალის, მცხეთის, სოღანლუღის და ლილოს რაიონებში. ეს არცთუ ისე ძნელად დასაკავშირებელი რაიონები იქნება თბილისთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლო მომავალში თბილისსა და ამ რაიონებს შორის იმოძრავებს ელექტრო ტრანსპორტი, ისევე, როგორც მოსკოვისა და სხვა ქალაქების გარეუბნებს შორის.

კაპიტალური მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მომზადება ყარადაღიდან წამოსული გაზის მიღებისათვის. მიმდინარე წელს უდიდესი სამუშაოები უნდა ჩატარდეს, რათა 1959 წლისათვის უზრუნველვყოთ გაზიფიკაციით ქ. თბილისის სამრეწველო რაიონები. ამასთან ერთად, მიმდინარე წელს 4000 ბინა უზრუნველყოფილი იქნება ბათუმის თხევადი გაზით, რისთვისაც წელს ამუშავდება გაზის დამრიგებელი სადგური.

წელსვე იქნება გაყვანილი ათ კილომეტრამდე სანიაღვარო კოლექტორები და ოც კილომეტრამდე საკანალიზაციო ქსელი.

ქალაქის წყლით უზრუნველყოფისათვის 1958 წელს დიდი კაპიტალური დაბანდებებია დაშვებული. დაიწყება სამგორის წყალსადენის მეორე რიგის მშენებლობა. გაყვანილ იქნება 24 კილომეტრამდე ახალი საწყალსადენო ქსელი.

კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდება ჩვენი დედაქალაქის დასამშვენებლად.

თავის იუბილეს ღირსეულად შეხვდება ჩვენი დედაქალაქი.

ელბაქიძის დაღმართის რეკონსტრუქციის პროექტი.



# [illegible]

**1918 წლის პირველ ივნისს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „საარქივო საქმის რეორგანიზაციის და ცენტრალიზაციის შესახებ“, რომელიც საფუძვლად დაედო საარქივო საქმის ორგანიზაციას საბჭოთა კავშირში. ამ თარიღთან დაკავშირებით ვათავსებთ ნარკვევს საქართველოს უძველესი არქივის — ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის შესახებ.**

## „არქივს ჩაბარდა—დავიწყებას მიეცა“

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „არქივის“ ახსნა-განმარტებისას მისი ხმარების ერთ-ერთი ნიმუშიცაა მოტანილი და ახსნილი: „არქივს ჩაბარდა — დავიწყებას მიეცა“...

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივის დირექტორის აბესალომ იოვიძის სამუშაო ოთახში თანამშრომელმა ქაღალდების დასტა შემოიტანა:

— გეოლოგიური სამმართველოს მთავარი გეოლოგი გვატყობინებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენს მიერ გამოვლენილ 1579 საბადოდან 1317, გეოლოგიური სამმართველოსათვის არ იყო ცნობილი, 147 საბადოს შესახებ აღმოჩნდა ცნობები ძველ ლიტერატურულ წყაროებში, ხოლო 1170-ის შესახებ მხოლოდ საარქივო მასალები მოიპოვება.

— გზათა საპროექტო საკავშირო ტრესტის საქართველოს კანტორის მთავარი ინჟინერი მადლობას გვიცხადებს იმ მასალებისათვის, რომელიც მივაწოდეთ მდ. კელასურზე ხიდის აგების შესახებ. იმ ძველმა პროექტებმა საშუალება მისცეს დაპროექტების ვადები შეემცირებინათ და გაეიაფებინათ კვლევა-ძიება...

— სტალინგრადჰიდრომშენის მთავარი ინჟინრის ქაღალდია მოსული — მადლობას გვიცხადებს ჩვენ მიერ გაგზავნილ გეოლოგიური მასალებისათვის...

— შუა აზიის ჰიდრომშენი მადლობას გვითვლის თურქმენეთის არხის მასალებისათვის და გვწერს, რომ ამ მასალებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, თანაც მათი გამოყენება — საშუალებას აძლევს მშენებლებს მნიშვნელოვნად შეამცირონ წინასწარი კვლევა-ძიების ხარჯები...

თბილისის გამწვანების მასალები, სამკურნალო მცენარეების გამოყენება კავკასიაში... გზების და ხიდების მშენებლობა... კი, მაგრამ რა კავშირი აქვს ყოველივე ამას საისტორიო არქივის მუშაობასთან?

ალბათ, ეს კითხვა უნებურად სახის გამომეტყველებითაც გამოვსახე, რადგან აბესალომ იოვიძეს გაეღიმა და სქელტანიანი ალბომი გამომიწოდა, რომელშიც თავმოყრილია საისტორიო არქივის მიერ თავის ფონდებში გამოვლენილი სამეცნიერო, სამეურნეო და საამშენებლო დაწესებულებებისათვის საინტერესო მასალების გამოყენების შედეგები.

არქივის ვრცელ და მრავალმხრივ მუშაობაში მასალების გამოვლინებას და სათანადო დაწესებულებებისათვის ეგრეთ წოდებულ „საორიენტაციო ბარათების“ დაგზავნას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მართლაცდა, ძნელი იქნებოდა აქ თავმოყრილ დიდძალ საბუთებში გარკვევა — რომ არ იყოს ვრცელი სამეცნიერო-საცნობარო აპარატი: ფონდების მიმოხილვები, ნუსხები, საგნობრივ-თემატიური ბარათები...

„არქივს ჩაბარდა“, „არქივის მტვერი დაედო“ — თვით ეს გამოთქმებიც უკვე მოძველებულია და სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. აქ, არქივში არა მარტო ინახავენ, იცავენ, არამედ შეისწავლიან, გამოავლენენ და ცდილობენ ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენონ, გამოამზეურონ, გამოააშკარავონ ყოველივე ის, რაც საუკუნეების განმავლობაში დაგროვდა ამ უდიდესი ხელნაწერთსაცავის ფონდებში...

ჯოცე ჯაკრიშვილი

მთელი ეს დიდი დაწესებულება, დღევანდელი ცხოვრებით სუნთქავს და ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებს ემსახურება...

## ერთი მილიონი საბუთი—მილიონი ცოცხალი მოწმე

საისტორიო არქივის „გზამკვლევში“ ფონდებისა და კოლექციების მხოლოდ ჩამოთვლას 300 გვერდი უჭირავს. არქივის სეიფებსა და საცავებში მილიონამდე დოკუმენტია დაცული.

ეს, ალბათ, ერთადერთი დაწესებულებაა, სადაც დროისა და სივრცის ასეთ დიაპაზონს და საკითხების ასეთ მრავალფეროვნებას შევხვდებით:

დრო: — მეცხრე საუკუნიდან — 1917 წლამდე;

სივრცე: — ამიერ და იმიერ კავკასია და მისი მოსაზღვრე ქვეყნები;

საკითხები: — ყველა დარგი ადამიანის მოღვაწეობისა და საქმიანობისა — აი ის ფარგლები, რომლებითაც შეიძლება მიახლოვებით დახასიათდეს არქივში დაცული მასალები.

...ცხადია, რომ ყოველივე ეს მხოლოდ მცირედი ნამუსრევია იმისა, რაც საქართველოს წიგნთსაცავებში — მონასტრებსა და ეკლესიებში, სახელმწიფო არქივებსა და კერძო პირების კოლექციებში გროვდებოდა მრავალი საუკუნეების განმავლობაში და გასაკვირველი ის კი არ არის, რომ დაკარგულია ათასობით ძვირფასი ხელნაწერი და უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საბუთი, არამედ სწორედ ის, რომ ამდენი კიდევ გადაურჩა ქვეყნის მრავალგზის აოხრებას და ჟამთა სიავეს.

მრავალი წლების შემკრებლობითი მუშაობა, დიდი მონდომება და ენთუზიაზმი იყო საჭირო, რომ მოეყარათ თავი ამ საბუთებისათვის, მერე წესრიგში მოეყვანათ და ყველასათვის ხელმისაწვდომად გაეხადნათ...

ძველი აქტების, ადმინისტრაციულ და წოდებრივ დაწესებულებათა, სახალხო მეურნეობის, კულტურისა და ყოფის, სამხედრო დაწესებულებათა განყოფილებებში მილიონამდე სხვადასხვა საბუთი, ანუ როგორც თვით არქივის მუშაკები უწოდებენ, „შესანახი ერთეულია“ დაცული.

ძველი აქტების განყოფილებაში 18 კოლექციაა დაცული, 24.000 საბუთით. ამ კოლექციის ნუსხაში პირველი ნომრით აღნიშნული „ხელნაწერი“ ასომთავრულით ქვაზეა წარწერილი. ეს არის დავით აღმაშენებლის ბოძების სიგელი არეშიძის სახელზე. იგი 923-42 წლებს ეკუთვნის. მეთორმეტე საუკუნეს ეკუთვნის ეტრატზე დაწერილი სიგელი, გაცემული მგელა აბულახტარისძისადმი. ამ სიგელს ხელს აწერენ დედოფალი რუსუდან, მეფე დავითი, არსენ ჭყონდიდელი.

ხელნაწერი წიგნების, სიგელ-გუჯრების და სხვა მანუსკრიპტთა კოლექცია ასახავს ფეოდალურ-ბატონყმური საქართველოს ვრცელ ისტორიას დაწყებულს X საუკუნიდან.

ძველ ხელნაწერ წიგნთა კოლექციაში (705 ერთეული) თავმოყრილია მრავალრიცხოვანი ისტორიული, ფილოლოგიური, საღვთისმეტყველო, საბუნებისმეტყველო, სამხედრო, სამედიცინო წიგნები, მოგზაურობანი, საეკლესიო და საერო მწერლობის ნიმუშები... X, XII, XIII, XVI საუკუნის პერგამენტზე ასომთავრულითა და ნუსხურით შესრულებული ოთხთავები, უძველეს ქართულ საგალობელთა (X საუკუნის) ნოტების კოლექციები, ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიული შრომები და ატლასი, XVIII საუკუნის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ და „მოგზაურობა ევროპაში“.

განსაკუთრებით მდიდარია ძველ ქართულ ხელნაწერ საბუთთა კოლექცია, რომლის შეგროვება 1922 წელს დაიწყო და რომელიც უკვე 10.000-მდე ერთეულს შეიცავს. ძველ ქართულ სიგელ-გუჯართა რიცხვი 1400-მდე აღწევს. აქვეა დაცული სომხურ, სპარსულ და ოსმალურ დოკუმენტთა კოლექციები.

ცალკეა გამოყოფილი დოკუმენტები, რომლებიც 1832 წლის შეთქმული ბ ა ს ეხება.

საისტორიო არქივის ყველაზე ვრცელი განყოფილება — ადმინისტრაციულ და წოდებრივ დაწესებულებათა ფონდებია — აქ თავმოყრილია ნახევარ მილიონზე მეტი საბუთი, დაწყებული საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდიდან (1801) 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

ვინაიდან თბილისი ამ პერიოდის მნიშვნელოვანი მონაკვეთის განმავლობაში წარმოადგენდა მთელი კავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრს, ამიტომ ამ ფონდებში დაგროვებული მასალები ასახავენ მთელი კავკასიის ხალხთა ისტორიას საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში.

ამ ფონდებში დაცული მასალები სავსებით და სრულიად ახასიათებენ ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას, კავკასიის ადმინისტრაციული მართვის სისტემას და მეთოდებს, ქვეყნის კოლონიზაციას, ქართველი და კავკასიის სხვა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, აგრარულ დამოკიდებულებებს.

დიდძალი მასალები ეხება გლეხთა რეფორმას (1864), ხალხოსნურ მოძრაობას და 1905 წლის რევოლუციას.

კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის, მეფისნაცვლის, ჟანდარმთა სამმართველოს, გუბერნატორების, პოლიციის და „ოხრანკის“ განყოფილებების ფონდებში დაცულია მასალები მ. კალინინის, ს. ორჯონიკიძის, მ. გორკის, ლ. კეცხოველის, ი. სტალინის, ა. წულუკიძის და სხვათა რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

სახალხო მეურნეობის ფონდების კოლექციებში 114.000 ერთეულია დაცული, აქ ასახულია 1801-1917 წლის განმავლობაში კავკასიის სოფლის მეურნეობის, სამთო მრეწველობის, ფაბრიკა-ქარხნების მდგომარეობა; გზატკეცილების, რკინის გზებისა და საქალაქო მშენებლობის პროექტები, გეოლოგიური ძიებისა და ტოპოგრაფიული აგეგმვის შედეგები. მრავალი განუხორციელებელი პროექტი, რომელიც თავის დროს „არქივს ჩაბარდა“ დღეს მზიურდება და შეისწავლება.

კულტურისა და ყოფის განყოფილების ფონდებში (1811-1917 წლები) 172.000 ერთეულია დაცული — ეს არის საზოგადოებრივ მოღვაწეთა და მწერალთა პირადი ფონდები — რომლებიც შეეხებიან — ს. დოდაშვილის, ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლის, დ. ყიფიანის, ვაჟა ფშაველას, ი. ევდოშვილის, ა. გრიბოედოვის, მ. ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის, ვ. მაიაკოვსკის, ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ამ ფონდებში მეტად საინტერესო მასალები ეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა ბრძოლას, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ არის ასახული საცენზურო კომიტეტის საქმეებში. ეს მასალები შესწავლილი და ვრცლად არის განხილული ა. იოვიძის შრომებსა და პუბლიკაციებში — ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილისა და ივანე მაჩაბლის შესახებ.

სამხედრო დაწესებულებათა ფონდების განყოფილებაში დაცულია მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან — 1917 წლამდე. კავკასიის ხალხთა ისტორიისათვის განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს სამხედრო სარდლობის ფონდები: — „კავკასიის ხაზისა“ და შავი ზღვის პირეთის ჯარების შტაბისა (1770-1865). ვრცლად და მრავალმხრივად დახასიათებულია კოლონიალური პოლიტიკა, კავკასიის ომები, რუსეთ-ოსმალეთის ომები (1828-29 წ., 1853-56, 1876-1878) და პირველი მსოფლიო ომი.

დიდძალი მასალაა რუსეთის სამხედრო და ადმინისტრაციულ ხელისუფალთა მოღვაწეობის დასახასიათებლად (ციციანოვის, ერმოლოვის, პასკევიჩის, ვორონცოვის, ბარიატინსკის არქივები). ღირსშესანიშნავი მასალები ახასიათებენ ნიჭიერ ქართველ სარდალთა ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ანდრონიკაშვილის სამხედრო ხელოვნებას.

ყველა ეს მასალები წარმოადგენენ არა უტყვ „საარქივო მასალას“ არამედ უძვირფასეს პირველ წყაროებს საქართველოს ისტორიის შესასწავლად X საუკუნიდან 1917 წლამდე, ხოლო კავკასიის ხალხთა ისტორიისა XVIII საუკუნიდან. — ეს ის მილიონი „ცოცხალი მოწმეა“, რომლებიც უტყუარად მოწმობენ გარდასულ დროთა შესახებ.

## არქივი იკვლევს და ეძებს

სახელმწიფო საისტორიო არქივში სულ სამიოდე ათეული ადამიანი მუშაობს, მაგრამ სამუშაო დარბაზში რომ შეიხედოთ — მომუშავეთა რიცხვი უკვე ასეულობით დაითვლება — აქ შეხვდებით ისტორიკოსს, რომელიც თამარ მეფის დროინდელ

**თამარ მეფის მიერ გელათის მონასტრისათვის მიწების ბოძების სიგელი. დაწერილია მდივან-მწიგნობრული ხელით.**





**არქივში შემოსული ყველა დოკუმენტი ჯერ უნდა სადეზინფექციო კამერაში გატარდეს და მხოლოდ მაშინ მოათავსებენ მას არქივის თაროებზე.**

სიგელ-გუჯრებს იკვლევს და მკვლევარს, რომელიც არსენ ჯორჯიაშვილის ბიოგრაფიულ თარიღებს აზუსტებს, არქიტექტორს, რომელსაც სურს დაადგინოს თბილისის რომელიღაც მრავალჯერ გადაკეთებული შენობის პირვანდელი სახე და ექიმს, რომელიც დაინტერესა ცნობებმა სახელმოხვეჭილი რუსი ექიმის პიროგოვის კავკასიაში მოღვაწეობის შესახებ... აზერბაიჯანელი, სომეხი და ჩრდილო-კავკასიელი ახალგაზრდა მკვლევარები მასალას აგროვებენ თავიანთი ქვეყნების ისტორიული წარსულის ცალკეულ საკითხებზე — საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქიდან მოდის შეკითხვები გამოჩენილ მეცნიერთა, ხელოვანთა და მოღვაწეთა კავკასიაში მუშაობის შესახებ, ხოლო დაღესტანიდან სთხოვენ გამოუგზავნონ ოდესღაც წარმოებული გეოლოგიური კვლევის მასალები... უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში არ დაიწერა არც ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა საქართველოს ან კავკასიის ეკონომიური, სამხედრო ან კულტურის ისტორიის დარგიდან, რომ მკვლევარებს საქართველოს საისტორიო არქივის მასალებით არ ესარგებლათ.

თვით არქივის მეცნიერი მუშაკებიც დიდ საკვლევო მუშაობას ეწევიან და მრავალ მასალას აქვეყნებენ — რეგულარულად გამოდის არქივის კრებული „საისტორიო მოამბე", გამოცემულია კაპიტალური შრომები — „1905-1907 წელი საქართველოში", მზადაა გამოსაცემად კრებული „რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის შესახებ".

არქივი არა მარტო „ინახავს" და „იცავს" არამედ აქტიურად ეძებს და იძენს ჯერ უცნობ ისტორიულ მასალებს, რომლებიც უქმად არის კერძო პირების, დაწესებულებათა და... თვით საისტორიო არქივის ფონდებში...

ამ რამდენიმე წლის წინათ, მაგალითად, „სახელმწიფო მამულების ექსპედიციის" ისტორიულად სრულიად უმნიშვნელო საქმეებში, რომლებიც XIX საუკუნეს ეხება — აღმოჩნდა უცნობი ქართული ხელნაწერი, რომელიც შესწავლის შემდეგ 1241 წლით დაათარიღეს მეცნიერებმა. ეს არის მეცამეტე საუკუნის I ნახევრის საეკლესიო მოღვაწის მიქელ კათალიკოსის ეტრატზე დაწერილი წყალობის წიგნი გვარამაისძე ვაჩესადმი...

ბევრს საინტერესოს იძენს არქივი, საგანგებოდ მოწყობილი ექსპედიციების დროს. ასეთი ექსპედიცია ჩატარებულ იქნა შარშან ზემო იმერეთში. ცნობილია, რომ დასავლეთი საქართველო შედარებით ღარიბია იქ გამოვლინებული ხელნაწერი საბუთებით, ამიტომ ყოველ ახალ მონაპოვარს მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ექსპედიციამ მეტად საინტერესო საბუთები გამოავლინა და შეიძინა.

ბევრი რამ საინტერესო და ღირსშესანიშნავი მოაქვთ მოქალაქეებსაც — ამას წინათ ერთმა მოქალაქემ ჩააბარა არქივს შესანიშნავად შენახული ავტოგრაფი მამია გურიელისა — ლექსების კრებული.

ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია. ცხადია, რომ ქვეყანაში, რომელსაც მრავალ ათასწლოვანი ისტორია აქვს, კიდევ ბევრი რამაა საპოვნი და გამოსაძებნი.

ახალი ხელნაწერი საბუთების გამოვლინება და საისტორიო არქივისათვის ჩაბარება — ყველა მოქალაქის პატრიოტული ვალია, რათა ეს საბუთი არა უქმად ლპებოდეს სადმე, არამედ ჩვენი ხალხის ისტორიის კიდევ ერთ უტყუარ მოწმედ ამოუდგეს გვერდში იმ ერთ მილიონ საბუთს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივშია დაცული.

# არალეგალური... საბავშვო ბაღი

## მაყვალა მრევლიშვილი

ბელინსკის ქუჩაზე ჩავლისას ბავშვების ჟივილ-ხივილი შემომესმა. 47-ე ბაღის აღსაზრდელები უდარდელად დარბოდნენ ეზოში. შევხვდე მათთან გამხიარულებულ ბაღის გამგეს თამარ ერისთავს და, გადაღმით, ვიწრო გასახვევში — ბაქრაძის ქუჩაზე გამექცა თვალი უნებურად. ამ ქუჩის ერთ-ერთ სახლშიც ასეთივე ჟრიამული იდგა თურმე ამ ორმოცდაათი წლის წინათ, ოღონდ აღმზრდელებს სულ-კბილით ეჭირათ, რომ კედლებს არ გასცდენოდა თავმოყრილი პატარების ხმაური!

მაგრამ ჯობს თვით იმდროინდელმა ადამიანებმა მოგვითხრონ:

„1908 წელს გავხსენით ქართული საბავშვო ბაღი. მაშინ საქართველოში არ არსებობდა არც ერთი სახელმწიფო საბავშვო ბაღი. რამდენიმე კერძო ბაღი იყო და — ისიც რუსული. ჯერ ვცადეთ ოფიციალურად დაგვეარსებინა ქართული საბავშვო ბაღი, 5-6 წლის ბავშვებისათვის, მაგრამ თხოვნაზე უარი მივიღეთ: „კანონი არ გვაძლევს უფლებასაო". მაშინ დავაარსეთ არალეგალური ქართული საბავშვო ბაღი", — წერს თავის მოგონებაში ანასტასია გედევანიშვილი, — ამ კეთილშობილური წამოწყების ინიციატორი.

ცნობილი საზოგადო მოღვაწის — ექიმ მიხეილ გედევანიშვილის მეუღლე ანასტასია (ტასო) გედევანიშვილი, უმაღლესი პედაგოგიური განათლებით აღჭურვილი (ქმართან ერთად საზღვარგარეთ ყოფნისას პარიზში, იგი სორბონის უნივერსიტეტში სწავლობდა), ახალგაზრდობიდანვე მასწავლებლობდა თბილისში.

იგი დაიბადა ყვარელში კონსტანტინე გედევანიშვილის ოჯახში 1864 წ. და შემდეგ იზრდებოდა მცხეთაში. დაამთავრა თბილისის წმიდა ნინოს სასწავლებელი და პირველი ქალთა სკოლის პედაგოგიური კლასი. 1896 წელს ანასტასია იყო ქალთა საერთაშორისო კონგრესის დელეგატი პარიზში.

ილია ჭავჭავაძის დავალებით ანასტასია თარგმნიდა მოთხრობებს და პიესებს, მრავალი მათგანი დაიბეჭდა „ივერიაში".

1905-6 წლებში ანასტასია იყო თავმჯდომარე „ქართველ ქალთა თანასწორუფლებიანობის კავშირისა", რომელიც არალეგალურად იკრიბებოდა მის ბინაზე. ამ წრის მოხსენება კოპენჰაგენის საერთაშორისო კონგრესზე, დაბეჭდილია კონგრესის მასალებში.

ანასტასიამ გასწია დიდი მუშაობა, როგორც ჟურნალ „ნაკადულის" სარედაქციო კოლეგიის წევრმა. ჟურნალის დაარსების დღიდან ბეჭდავდა თარგმანებს ხელმოწერით — „ტასო" და „გედევ".

მან უსასყიდლოდ გადასცა საქ. მწერალთა მუზეუმს მისი მეუღლის მიერ შეგროვილი მდიდარი არქივი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემისა და, აგრეთვე, XIX-XX ს. ს. პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოთეკა, რომელიც მის ქმარს ეკუთვნოდა.

აი, ასეთი მოწინავე ადამიანი მოეკიდა საბავშვო ბაღის დაარსების დიდ და ხაპატიო საქმეს, რომლის იდეა ჯერ კიდევ სამოციანი წლების მოღვაწეთაგან მომდინარეობდა.

სხვა პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად ამ საქმეს გულმხურვალედ უჭერდა მხარს დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. მან ბაღის დაარსების დღიდან ყოველთვიურად 10 მანეთი დაუნიშნა სტიპენდიად ღარიბ მოსწავლეებს.

1907-8 წლებში ახალჩასახული საბავშვო ბაღი ბაქრაძის ქუჩიდან დღევანდელ ვაჟა-ფშაველას ქუჩის № 20-ში იქნა გადატანილი ტასო გედევანიშვილის სახლის გაფართოებულ ეზოში.

სწავლება მიმდინარეობდა იმდროინდელი რუსეთისა და უცხოეთის მოწინავე პედაგოგიკის დონეზე. მის ხელმძღვანელს სათანადო მომზადება ჰქონდა მიღებული და სპეციალური განათლებით აღჭურვილი უძღოდა საბავშვო ბაღის საქმეს.

ხოლო მეფის მთავრობა კვლავ თავის სიტყვას ადგა და ქართული ბაღის გახსნის ნებართვას არ იძლეოდა.

საინტერესოა, რომ იმდროინდელი რუსული პრესა გამოეხმაურა მეფის რუსეთის მიერ ბაღის აკრძალვის ფაქტს. უკრაინამდეც მიაღწია ამ ამბავმა და იქაური გაზეთი აღნიშნავდა:

„გაზეთები აქვეყნებენ... ასეთ კურიოზს. თბილისში გედევანიშვილის ქალმა მიმართა მზრუნველს თხოვნით, რათა დაერთო ნება 5-8 წლის ბავშვებისათვის გაეხსნათ საბავშვო ბაღი, ოღონდ ბავშვებს რომ ქართულად ესაუბრათ და არა რუსულ ენაზე, რადგან მათ ჯერ არ იციან რუსული ენა. მაგრამ... შვარცის სამინისტროს ხუთწლიან ცეროდენებშიც აღმოუჩენია სეპარატიზმი და ბაღის გახსნის ნებართვას გედევანიშვილის ქალმა ვერ მიაღწია" („Рада", 1909 წ., 29/XII, № 209).

ბაღი კი განაგრძობდა არსებობას და მისი აღმზრდელები უქმნიდნენ ბავშვებს უშფოთველ გარემოს ნორმალური სწავლებისათვის. თავდაპირველად აღმზრდელებად იყვნენ ან. გედევანიშვილი და მარიამ მეძმარიაშვილი, შემდეგ წლებში კი მარიამ (მაგიტო) ნაკაშიძე, ელენე ლორთქიფანიძე (ცნობილი რევოლუციონერის საშა (ალექსანდრე) წულუკიძის მეუღლე და მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის და), ქეთევან ბაქრაძე-ინგოროყვა, თამარ ერისთავი (დღეს 47-ე საბ. ბაღის გამგე) და სხვა მოწინავე ქალები.

არსებობდა საბავშვო ბაღის პროგრამა. საქმე ორგანიზებულად იყო დაყენებული. მშობელთა საერთო კრებაზე სისტემატურად განიხილავდნენ ბაღის წლიურ, თუ ნახევარწლიურ ანგარიშს და ისმენდნენ გამგის მოხსენებებს.

„სწავლა დღის 1 საათამდე გვქონდა. ჯგუფი ერთი იყო, რადგან შესაძლებლობა არ გვქონდა 4, 5, 6 წლის ბავშვების ცალცალკე მეცადინეობისა. ვასწავლიდით ანბანს, ანგარიშს 20-ის ფარგლებში. ძერწვა-ხატვას; ბარვა, თესვა, ქვიშაში თამაში და ცეკვა-სიმღერაც ჰქონდათ", — მოგვითხრობს თ. ერისთავი.

ამგვარად, ეს ძალისძალით გახსნილი ბაღი მკვიდრ ნიადაგს უქმნიდა გიმნაზიის დაწყებით კლასებში შემსვლელთ.

1910 წლიდან ბაღი ქართული გიმნაზიის შენობაში, ორ საკლასო ოთახში გადავიდა. მესამე სართულზე დიდი აუდიტორია დაუთმეს და გიმნაზიაში მიმდინარე გაკვეთილებს თუ მეტად შეაწუხებდა ლურჯწინსაფრიან მცირეწლოვანთა ჟივილ-ხივილი, კედელზე მოუკაკუნებდნენ ხოლმე მეზობელი კლასიდან! (თ. ერისთავის მოგონება).

პირველი ქართული საბავშვო ბაღი აკაკი წერეთლის სახელს ატარებდა და მისი არსებობის პირველ ხანებშივე დაიარებოდა იქ დიდი მგოსანი.

„ერთ დღეს, — წერს ანასტასია გედევანიშვილი, — გავმართეთ ლიტერატურული დილა, რომელშიც ბავშვები იღებდნენ მონაწილეობას, და მივიპატიჟეთ აკაკი. პოეტი იმ დროს ავადმყოფობდა და არსად დადიოდა. მაგრამ ჩვენ მაინც გვეწვია. უნდა გენახათ ბავშვების სიხარული და აღტაცება. ისინი კარგად იცნობდნენ ძია აკაკის საბავშვო ლექსებს და იგავ-არაკებს და ჟრიამულით შემოეხვივნენ მგოსანს.

და აი, დაიწყო დილა, სცენაზე გამოჩნდა ხუთი წლის ბავშვი მამლის სამოსელში და წაიკითხა აკაკის ლექსი „მამალი", გამოვიდა მეორე ბავშვი, კურდღლის სამოსელში, და წაიკითხა ლექსი „კურდღელი". ამას მოჰყვა სიმღერები და ცეკვა.

აკაკი ძალიან გახარებული იყო და ტაშს უკრავდა. შემდეგ წამოდგა ახლა მეც ვიტყვი ლექსსაო. გამოვიდა და სახუმარო ლექსებით მიმართა ბავშვებს, რომლებიც ბევრი აცინა.

— თქვენ ხართ ჩემი ექიმებიო, — უთხრა გამომშვიდობებისას ბავშვებს, — დღეს კარგად ვარ, თქვენ მომარჩინეთო!"

ანასტასია გედევანიშვილი ხელმძღვანელობდა საბავშვო ბაღს ბოლომდის, 1917 წლამდე. ამ დროიდან კი საბავშვო ბაღებში შემოღებულ იქნა ქართულად სწავლება.



**საბავშვო ბაღის მასწავლებლები ბავშვების ერთ ჯგუფთან. ან. გედევანიშვილი (შუაში), მ. მეძმარიაშვილი (მარცხნივ) და თ. ერისთავი.**

# ქართული ცირკი



ახალგაზრდა აკრობატებმა, რომელსაც მჭედლიშვილი ხელმძღვანელობს, საინტერესო სანახაობა წარმოადგინეს.

პირველ ქართულ საცირკო ანსამბლს საფუძველი ჩაუყარა ცირკის ვეტერანმა—ეკვილიბრისტმა ვანო გოლიაძემ. 1939 წელს მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართული საცირკო დასი, რომელიც გამოდიოდა პროგრამით — „დღესასწაული კოლმეურნეობაში“. ამ პროგრამამ მაშინ საყოველთაო აღიარება და მოწონება დაიმსახურა. მაგრამ ჩქარა სამამულო ომი დაიწყო და ქართული საცირკო კოლექტივის შექმნის საქმე დიდი ხნით გადაიდო. და, აი, 17 წლის ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, არენაზე არიან ერთ ანსამბლად შემჭიდროებული ცირკის ქართველი მსახიობები. ამ დღეს თბილისელები მოუთმენლად ელოდნენ.

წარმოდგენის დაწყებამდე ქართული ცირკის კოლექტივის წევრებს ვესტუმრეთ. ყველა ღელავდა. ქართული კოლექტივის ყველაზე ახალგაზრდა მსახიობი 14 წლის გოგონა ნანა ბერიძე და მისი პარტნიორი სპორტის ოსტატი გურამ გარსევანიშვილი კიდევ ერთხელ იმეორებდნენ ვარჯიშს. ხუმრობა ხომ არაა, დღეს ისინი პირველად გამოდიან ცირკის სცენაზე!

კულისებიდან ცირკის წითელ კუთხეში შევუხვიეთ და თვალი მოვკარით ხანდრო დადეშქელიანს. იგი მაგიდას მისჯდომოდა და ამხანაგთან ერთად დომინოს თამაშობდა. იკითხავთ: — როგორ თუ დომინოს თამაშობდა, მას ხომ არც ერთი ხელი არ გააჩნია? — მართალია, არ გააჩნია, მაგრამ ხელების მაგივრობას ფეხები უწევს. იგი ფეხებით თავისუფლად იღებს ჭიქას, ბოთლიდან აძრობს საცობს და სვამს ლიმონადს, თლის ფანქარს, წერს, ხატავს, ხმარობს ცხვირსახოცს, ანთებს ასანთს, უკიდებს და სწევს პაპიროსს, ისვრის თოფს, ფურცლავს გაზეთს, ჟურნალს, წიგნს..



ა. ცხომელიძის გამოწვრთნილი ძაღლი ძველი თბილისელი კინტოს როლში.

ასეთი მანიპულაციების შესრულება უხელო ადამიანისათვის არცთუ ისე იოლი საქმეა... იგი ცირკში 20 წელია რაც მუშაობს. საბჭოთა კავშირის რომელ ქალაქში გინდათ, რომ მას თავისი ვირტუოზობით მაყურებელი არ მოეხიბლოს.

წითელი კუთხის ერთ მხარეს გოლიაძეების მთელი ოჯახი შეკრებილა. იქვეა გოლიაძეთა უფროსი თაობის წარმომადგენელი ვანო გოლიაძე. იგი უკვე კარგა ხანია ცირკს გამოეთხოვა და სოხუმში დასახლდა. იქ ატარებს თავის მოხუცებულობას. ახლა კი ცირკის ვეტერანს ვერ მოუთმენია და თავისი შვილისა და შვილიშვილების საყურებლად ჩამოსულა. გოლიაძეები — ურთულესი ეკვილიბრის ოსტატები არიან. თავისუფლად მდგომ კიბეებზე მათ მიერ შესრულებული ილეთები მაყურებლებში განცვიფრებასა და აღტაცებას იწვევს.

ცირკის მაყურებელი მრავალი ათეული წელია იცნობს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ალექსი ცხომელიძეს. ამ მხცოვანი მწვრთნელის სამსახიობო ნათლობა მოხდა 1902 წელს. აი, ახლაც, მეშვიდე ათეულში გადამდგარი მსახიობი, ჭაბუკური გატაცებით გამოდის ცირკის არენაზე. მისი ოთხფეხა „მსახიობები“ ხან ვეფხვებისა და ლომების როლებს ასრულებენ, ხან ყირასა და მალაყებს აკეთებენ... წვრთვნის უმაღლეს ტექნიკას აღ-





ზემოთ ალდგომელაშვილების ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელი ლერძიდან ლერძზე ასრულებს „გაფრენას“.

წრეში — მიხეილ და ლუდმილა ლალაშვილები ორმაგ მავთულზე ასრულებენ რთულ ნომრებს.





გაწვრთნილი ძაღლები თავიანთ როლებს შესანიშნავად ასრულებენ.



რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალექსი ცხომელიძე ცირკის მანეჟზე თავის ოთხფეხა მსახიობებს ეპატიჟება.

წევს ცხომელიძე ნომრით — „ძაღლი — სახედარი“. ძაღლი აქ დასაქოქ საბავშვო სათამაშოს „როლს“ ასრულებს. ვუყურებთ ცხომელიძის შრომის შედეგს და ვრწმუნდებით, რაოდენი მოთმინება და ჯაფა დასჭირდებოდა მას თავისი პატარა ოთხფეხა მსახიობების გაწვრთნისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საცირკო წარმოდგენებს წარმატება ხვდა, მას ნაკლიც აქვს. „ხორუმში“ ჩართული აკრობატული ელემენტები დამუშავებასა და გამდიდრებას მოითხოვს. „კინტოსა“ და „სტილიაგას“ რეპრიზები უკვე მოძველებულ და გაცვეთილ საესტრადო მასალას წარმოადგენს. საერთოდ ამ მხრივ წარმოდგენის დამდგმელ კოლექტივს (სამხატვრო ხელმძღვანელი — ი. ყანჩელი, რეჟისორები — ვ. მირონოვი და გ. ლორთქიფანიძე, კონსულტანტ-რეჟისორი ნ. სანიშვილი) ძალზე ცოტა რამ გაუკეთებიათ. გამოუყენებელია ისეთი შესაძლებლობანი, როგორიცაა ქართული ყეენობა, ბერიკაობა, ჯირითი, ილუზია, საჰაერო ატრაქციონი და სხვა, რომელთა შემდგომში გათვალისწინება, ქართულ საცირკო კოლექტივს უფრო მიმზიდველსა და სრულყოფილს გახდის.

მიუხედავად ამისა, ქართულ კოლექტივს დამსახურებული წარმატება ხვდა. მთავარი ისაა, რომ ჩამოყალიბდა ქართული ცირკი!

**ჯ. ენუქიძე**



# ზუსტი სროლის ოსტატები

ვარშავაში ევროპის უძლიერეს მსროლელთა ტურნირი ტარდებოდა. ცამეტი სახელმწიფოს 90-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა მასში. მათ შორის საბჭოთა კავშირის მსროლელებიც იყვნენ.

დაძაბული ბრძოლების შემდეგ გუნდური პირველობა და ევროპის თასი ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა მოიპოვა.

პირად პირველობაში ერთნაირი შედეგებით დაამთავრეს შეჯიბრება საბჭოთა მსროლელებმა ზურაბ მაჩხანელმა და სერგეი კალინინმა. გამარჯვებულის გამოსავლინებლად მათ შორის დაინიშნა დამატებითი სერია — 25 სამიზნე. პირველი რიგით ესროდა კალინინი. აღსანიშნავია, რომ ორივე მსროლელი დატენილ ვაზნებს ერთი კოლოფიდან იღებდა, რაც ურთიერთ ნდობაზე მეტყველებდა და რამაც დიდად გააკვირვა პოლონელი მაყურებელი.

დაიწყო გადამწყვეტი სერია. ვინ გაიმარჯვებს — კალინინი თუ მაჩხანელი? კალინინი ესვრის აუცდენლად, ზურაბი მეშვიდე სამიზნეს აცილებს, კალინინი მეთცდაერთეს. დარჩა ოთხი სამიზნე. ნუთუ კვლავ ერთნაირი შედეგებით დამთავრდება ორთა ბრძოლა? მაყურებელი ღელავს, ჩანს, კალინინზეც იმოქმედა გარემომ. მეთცდაოთხე სამიზნეს იგი აცილებს. ზურაბი კი ზუსტად ურტყამს მიზანში. უკანასკნელი, მეთცდახუთე სამიზნე გაბრაზებულმა კალინინმა მტვრად აქცია. ჯერი კვლავ მაჩხანელზე მიდგა. ახლა უკვე შეუძლებელი შეიქნა მაყურებლის დაწყნარება. პოლონელებს სურთ მაჩხანელმა დააცილოს და ეს საინტერესო, დაძაბული ჭიდილი კვლავ გაგრძელდეს. ღრიანცელი და სტვენა აყრუებს მოედანს. სროლა შეუძლებელია. ზურაბმა ხერხს მიმართა: თოფი დაუშვა — აღარ ვაპირებ სროლასო. ხალხი გაყუჩდა. ზურაბმა მაშინვე მოიგდო მხარზე იარაღი, სამიზნე მოითხოვა და თვალის დახამხამებაში მტვრად აქცია.

ყველაფერი ეს სწრაფად მოხდა, აღტაცებულმა მაყურებლებმა ზურაბ მაჩხანელი ხელში აყვანილი გამოიყვანა მოედნიდან. მაჩხანელს „ვარშავის ჩემპიონის“ საპატიო წოდება მიენიჭა და დიდი ოქროს მედალი და ბროლის თასი ჯილდოდ გადაეცა. პოლონურ გაზეთებში მაჩხანელს მაშინ „ოსტატთა შორის ოსტატი“ უწოდეს.

ეს იყო ერთ-ერთი ეპიზოდი ზ. მაჩხანელის სპორტულ ბიოგრაფიიდან. ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ საერთაშორისო შეხვედრაში მიუღია მონაწილეობა ზ. მაჩხანელს. სად არ დაუცავს საბჭოთა სპორტის ღირსება!

ზ. მაჩხანელის გარდა საქართველოში არიან საუკეთესო სასტენდო მსროლელები. სანამ მათ შევეხებოდეთ, გვინდა მკითხველებს მოკლედ გავაცნოთ სპორტის ამ სახეობის განვითარება ჩვენში.

სასტენდო სროლა ახლოს დგას ნადირობასთან — ნადირობა კი მამაცთა სპორტია. ყველა კარგ სასტენდო მსროლელს შეუძლია ინადიროს, ყველა მონადირეს კი არ შეუძლია სტენდზე სროლა, რადგანაც მას აქვს თავისი საიდუმლოებანი.

სროლა ხდება მფრინავ სამიზნეებზე; სამიზნე წარმოადგენს პატარა საუზმის თეფშის მაგვარს, რომელიც დამზადებულია ცემენტის, ცარცის და ნახშირის მასისაგან და იწონის ას ათ გრამს. პოზიციაზე მდგარი, თოფმომარჯვებული მსროლელი თხოულობს სამიზნეს, რომელიც მოთხოვნისთანავე ეძლევა (საერთოდ სტენდზე ესვრიან 12 ყალიბიანი სანადირო ორლულიანი თოფებით, რომლის ვაზნებიც დატენილია საფანტით).

სასტენდო სროლის სხვადასხვა სახეობა არსებობს — ადგილიდან, მრგვალ სტენდზე, მისვლით და წყვილ სამიზნეებზე.

სასტენდო სროლა განსაკუთრებულია იმითაც, რომ მან თითქმის არ იცის ასაკი, მასში მონაწილეობას ღებულობენ, როგორც ახალგაზრდები, ისევე „მოხუცებიც“ (გასული წლის საკავშირო ჩემპიონებიდან ერთ-ერთი 58 წლის იყო).

თბილისში პირველად სასროლეთისტენდი დიდუბეში, მაშინდელ ჰიპოდრომზე იყო მოწყობილი. 1934 წელს სასროლეთი გადმოტანილი იქნა კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. ამ დროისათვის მსროლელთა რაოდენობამაც იმატა. უმთავრესად სტენდზე მოდიოდნენ მონადირე მოყვარულები. 1938 წელს ჩვენი რესპუბლიკის მსროლელები პირველად გამოდიან საკავშირო ასპარეზზე. ამ ხნიდან მოყოლებული ქართველი მსროლელები ყოველწლიურად მონაწილეობენ საკავშირო პირველობაში.

ვინც იცნობს სასტენდო სროლას, მას აუცილებლად ეცოდინება ის ადამიანი, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარებას. ეს არის საკავშირო კატეგორიის მსაჯი — ვლადიმერ ლუკას-ძე ბურჯანაძე.

მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით აიგო თბილისში ვაკის კეთილმოწყობილი სასროლეთი. მისივე ინიციატივით აშენდა სტენდები ქუთაისში, ბათუმში, მახარაძეში. ვ. ბურჯანაძის სისტემატური რჩევა-დარიგებით და წახალისებით გაიზარდა ახალგაზრდა კადრები, რომელთა რიგებში დღესაც არიან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები და რეკორდსმენები, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები, საერთაშორისო სპორტის ოსტატები.

პირველად 1952 წლის შემოდგომაზე მოვიდა სტენდზე ჯერ კიდევ ახალგაზრდა მონადირე — სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ზურაბ მაჩხანელი. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მოიყვანეს. საქმე შემდეგში იყო: ზურაბი ნადირობიდან ძვირფასი ნადავლით ბრუნდებოდა. გზაზე მას სასტენდო სროლის სპეციალისტი ლ. ციციშვილი შემოხვდა და შეაქო ახალგაზრდა. „ამდენი მწყერის დახოცვა არც ისე იოლი საქმეა. შენგან საუკეთესო სტენდისტი გამოვა, გამოიარე ვაკის სასროლეთზე, გაგსინჯავთ, რა ბიჭიც ხარო“. ზურაბიც მივიდა. ასე დაიწყო ზ. მაჩხანელის სპორტული კარიერა.



ზ. მაჩხანელი შეჯიბრებაზე გასვლის წინ.

ზ. მაჩხანელზე რამდენიმე წლით ადრე ჰქონდა დაწყებული ვარჯიში, დღეს კავშირის უძლიერეს მსროლელს ბორის ანტონოვს.

სისტემატურმა წვრთნამ, მონდომებამ და საქმის სიყვარულმა ეს ორი მსროლელი საერთაშორისო სპორტის ოსტატობამდე მიიყვანა. თუმცა ეს გზა არცთუ ისე იოლი იყო.

თავიანთი შედეგების წყალობით უკვე 1953 წლის ოქტომბერში ზ. მაჩხანელი და ბ. ანტონოვი საბჭოთა კავშირის ნაკრებში იქნენ შეყვანილი.

1954 წელს სამხრეთ ამერიკაში, ვენესუელას დედაქალაქში უნდა ჩატარებულიყო მსოფლიო პირველობა სროლაში. კარაკასი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისათვის. გულმოდგინედ ემზადებოდნენ საბჭოთა სპორტსმენებიც, რომელთა შორის კვლავ იყვნენ მაჩხანელი და ანტონოვი.

კარაკასის პირველობაზე ნათლად გამომჟღავნდა საბჭოთა სპორტის სიძლიერე. ჩვენმა სპორტსმენებმა მრავალი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მხოლოდ არაობიექტურმა მსაჯობამ არ მისცა საშუალება ზ. მაჩხანელს და ბ. ანტონოვს მოეპოვებინათ პირველი ადგილი. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიდან ყველაზე უკეთესი შედეგი ზ. მაჩხანელს ჰქონდა. მან ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაზე მეხუთე ადგილი მოიპოვა და საერთაშო-



ბ. ანტონოვმა ზუსტი სროლით **ნამსხვრევებად** აქცია სამიზნე.

რისო სპორტის ოსტატის წოდება მიიღო, მასვე გადაეცა დიდი ოქროს მედალი. მეორე ოქროს მედალი კი ზურაბს გადაეცა, როგორც საბჭოთა კავშირის მსროლელებიდან საუკეთესო შედეგების მქონეს. ბ. ანტონოვი ამ შეჯიბრებაზე ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა, მასაც მიენიჭა საერთაშორისო სპორტის ოსტატობა.

ოთხი წელი არცთუ ისე დიდი დროა იმ საპატიო მიღწევებისათვის, რომელიც მაჩხანელმა მოიპოვა. თერთმეტი ოქროს, სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელია დღეს ზურაბ მაჩხანელი.

მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებებში საპრიზო ადგილებზე გამოსულა ბ. ანტონოვი. მის მკერდს დღეს ათი ოქროს, სამი ვერცხლის, ოთხი ბრინჯაოს მედალი და მრავალი ჟეტონი ამშვენებს. 1955 წლიდან დღემდე, ბორისმა ორჯერ მოიპოვა კავშირის ჩემპიონობა მრგვალ სტენდზე და ერთხელ წყვილ სამიზნეებზე სროლაში, იგი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია. „მრგვალი სტენდის პროფესორი", — ასე იხსენებენ დღეს ბორის ანტონოვს, უდავოდ ნიჭიერსა და ძლიერ მსროლელს.

გარდა ამ ორი მსროლელისა, ჩვენი რესპუბლიკა ამაყობს „უხუცესი" მსროლელით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონით—დავით ცაგარეიშვილით, რომელმაც ორმოცდაცამეტი წლის ასაკში მოიპოვა ეს საპატიო წოდება.

დიდი წვლილი აქვს შეტანილი სასტენდო სროლის განვითარების საქმეში რესპუბლიკისა და თბილისის მრავალგზის ჩემპიონს, სპორტის ოსტატს შ. ჩახნაშვილს.

„სასტენდო სპორტის ვეტერანს" უწოდებენ საბჭოთა კავშირის რეკორდსმენს, სპორტის ოსტატ ვ. ჯაბახიძეს, რომელიც ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში სისტემატურად მონაწილეობს საქართველოსა და საკავშირო პირველობებზე.

კარგი პერსპექტივები და მომავალი აქვთ ახალგაზრდა მსროლელებს, სპორტის ოსტატებს—ი. საგანელიძეს, ა. ხახანაშვილს, ე. ძიძიგურს, გ. დევდარიანს, ლ. სიმონინს. პერიფერიებიდან გ. მეგრელაძეს, რ. ჩიგოგიძეს (მახარაძე), ი. ცომაიას, გ. ნოდიას, ა. ოვსეპიანს (აფხაზეთი), ქ. ბერძენიშვილს, ანდღულაძეს (აჭარა) და სხვებს.

ნაკლებადაა განვითარებული სპორტის ეს სახეობა ქალებს შორის. ქართველი ქალები ძველად კარგ მსროლელებად ითვლებოდნენ. სახელოვან წინაპრებს მხოლოდ ემილია მელიქიშვილმა მიბაძა. ამ ახალგაზრდა გოგონამ ნაყოფიერი წვრთნისა და შრომის შედეგად მიაღწია თბილისისა და საქართველოს ჩემპიონობას. ხოლო გასულ წელს მან საკავშირო პირველობაზე ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, უკან ჩამოიტოვა რა ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგეები, როგორებიც არიან სმირნოვა და ბაგდასაროვა. ეს დიდი მიღწევაა ახალგაზრდა სპორტსმენისთვის.

მიმდინარე წლის აგვისტოში—ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ჩატარდება მსოფლიო პირველობა სასტენდო სროლაში. ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის დიდი მონდომებით ემზადებიან საბჭოთა სპორტსმენები.

ამა წლის იანვარში სოხუმში ჩატარდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მსროლელთა შესარჩევითი შეჯიბრება მომავალი მსოფლიო პირველობისათვის, მისი მიზნით იყო საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის დაკომპლექტება. კვლავ გვასახელეს ბორის ანტონოვმა, და ზურაბ მაჩხანელმა, ბორისმა დაიკავა პირველი ადგილი მრგვალ სტენდზე სროლაში, ხოლო მაჩხანელმა ადგილიდან სროლაში მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. ეს ორივე მსროლელი შეყვანილი იქნა ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდში.

სასტენდო სროლის გულშემატკივარნი გაახარა ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა, 28 წლის იური საგანელიძემ (თბილისი „მონკავშირი"), რომელიც შეყვანილ იქნა საბჭოთა კავშირის ნაკრებში, როგორც პერსპექტიული და მზარდი მსროლელი. აი ის სამი წარმომადგენელი, რომელთაც სხვებთან ერთად მოუწევთ ჩვენი ქვეყნის სპორტული დიდების დაცვა მსოფლიო პირველობაზე.

**ჯ. მოწონელიძე**

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## ინგლისური იუმორი

ერთხელ მასწავლებელმა მოწაფეებს განუცხადა — თქვენი ხნის რომ ვიყავი არითმეტიკაში ყველა კითხვაზე შემეძლო პასუხის გაცემაო.

— შეიძლება—უთხრა ყველაზე პატარამ — მაგრამ თქვენ სხვა მასწავლებელი გყავდათ.

* * *

მოლიერს კითხეს, რატომ არის, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მეფეს უკვე თოთხმეტი წლის ასაკში უფლება აქვს გვირგვინი დაიდგას, ხოლო თვრამეტი წლისას დაქორწინდესო.

— იმიტომ, რომ ცოლის მოთვინიერება უფრო ძნელია, ვიდრე ხალხისა — უპასუხა მან.

* * *

ერთმა ინგლისურმა გაზეთმა დასწერა: „გაცოფებულმა ძაღლმა უკბინა ბატონ ჯინკს და სხვა ძაღლებს".

* * *

ერთმა ჯენტლემენმა უთხრა მეორეს: — მიკვირს, ამ ტრაგედიას რომ არ უსტვენენ მაყურებლებიო.

— მათ არ შეუძლიათ ერთ და იმავე დროს დაუსტვინონ და დაამთქნარონ კიდეც.

* * *

ორი ამერიკელი შეხვდა ერთმანეთს.

— როგორა ხარ, რასა იქ, ჩემო მეგობარო, როგორ შეეწყვე ახლად ჯვარდაწერილ ცოლს?

— ოჰ! — უპასუხა სახეგაბადრულმა მეგობარმა. — ჩემი ცოლი ნამდვილი ანგელოზია, იგი, ასე გასინჯეთ, ხანდახან ჭურჭლების დარეცხვასა და სახლის დალაგებაშიც კი მშველის.

* * *

— ჩემი რკინისებური ჯანმრთელობის საიდუმლოება სულ უბრალო რაიმეში მდგომარეობს, — ამბობს ბატონი შულცი. — მე ყოველდღე თითო თავ ნიორს ვჭამ.

— მჯერა, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ეს საიდუმლოდ დარჩეს იმათთვის, ვინც შენს ახლოს იმყოფებიან?

# ალექსანდრე დიუმას ერთი იშვიათი ფოტოსურათი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი „ცისკარი" № 12 1858 წ. მკითხველს შემდეგ პატარა ცნობას აწვდიდა: „დეკემბრის პირველიდან ამა წლისა, ქალაქს ტფილისში იმყოფება ფრანციის უწარჩინებულესი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომელიც იყო ამ ახლოს ხანში ჩვენის ცისკრის ტიპოგრაფიაში, სადაც გასინჯა ყოველი კუთვნილება რედაქციისა. მრთელს ხმელეთზედ გამოჩენილი მწერალი ესე მოგზაურობს".

კავკასიაში ხანგრძლივი მოგზაურობის დროს ალექსანდრე დიუმა თბილისშიც ჩამოსულა. ალ. დიუმა საფრანგეთის კონსულის ფინოს დახმარებით დაბინავებულა მაშინდელ ერევნის მოედანზე, ივანე იაკორის ძე ზუბალაშვილის სახლში.

ალ. დიუმა დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოსადმი, ისე სწავლობდა ქართველთა ზნე-ჩვეულებებს, ეცნობოდა თბილისის საზოგადოებრიობის და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს; დიდის გულისხმიერებით ათვალიერებდა თბილისის ისტორიულ ძეგლებს.

თბილისის საზოგადოებრიობას სახელოვანი სტუმრის პატივსაცემად წვეულება გაუმართავს. ალ. დიუმას საკმაოდ ბევრი ღვინო შეუსვამს, რის დამადასტურებლადაც მისთვის წერილობითი მოწმობა მიუციათ. „ცისკრის" რედაქტორს ივანე კერესელიძეს „მოწმობაში" შემდეგი წარწერა გაუკეთებია: „ბატონმა ალექსანდრე დიუმამ მოინახულა ჩვენი ღარიბი რედაქცია, სადაც მისთვის გამართულ სადილზე უფრო მეტი ღვინო დალია, ვიდრე ქართველებმაო".

საქართველოში მოგზაურობის დროს ალ. დიუმა იყო წინანდალში, ჭავჭავაძეთა მამულში, რომლის სიმდიდრესა და სიმშვენიერეს აღტაცებაში მოუყვანია იგი. თბილისიდან დიუმა ქუთაისის გავლით (ორპირის მახლობლად) სოფელ მარანში ჩავიდა, საიდანაც ის სამდინარო გზით ფოთისკენ გაემართა. აქ დიუმამ რამდენიმე დღე დაჰყო და 1 თებერვალს გემ „ველიკი კნიაზ კონსტანტინით" საფრანგეთს გაემგზავრა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ალ. დიუმამ კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გამოსცა ცალკე წიგნად, რომლის რუსული თარგმანი თბილისში 1861 წელს გამოიცა. წიგნში დიუმას ფართოდ აქვს გადმოცემული მის მიერ ნანახი და მოსმენილი კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ. წიგნში აღნუსხული ფაქტები იმდენად საინტერესოა, რომ დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა.

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დიუმას ძალიან მოსწონებია ქართული ჩოხა, შარვალი და ქამარ-ხანჯალი. მას გადაუწყვეტია სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შეეკერა ქართული ტანსაცმელი, მაგრამ როგორც კი ეს გადაწყვეტილება ერთ-ერთ ქართველ თავადს გაუგია, დიუმასათვის საჩუქრად თავისი საკუთარი ჩოხა, შარვალი და ქამარ-ხანჯალი მიუცია.

საქართველოში მოგზაურობის დროს დიუმა ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი დადიოდა, რითაც ის გამოხატავდა დიდ პატივისცემას საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი.

XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ამსახველი გამოფენისათვის საჭირო მასალების შეგროვების დროს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყოფილი ფოტოგრაფის ვ. თულაშვილის არქივში ვიპოვე ალ. დიუმას ფოტოსურათი, ქართულ ტანსაცმელში გადაღებული. როგორც ფოტოზე არსებული წარწერა გვამცნობს, ის ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებშიც კი იშვიათი ეგზემპლარი ყოფილა.

არსებული ფოტოსურათი გრაფ ს. ი. ვიტეს კუთვნილებას წარმოადგენდა. მამამისი იული ვიტე, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ პიროვნება, რომელსაც ასე დიდი ადმინისტრაციული თანამდებობა ეჭირა კავკასიაში, აუცილებლად შეხვდებოდა თბილისში სტუმრად მყოფ ალ. დიუმას, რომელმაც სამახსოვროდ მას ქართულ ტანსაცმელში გადაღებული თავისი დაგეროტიპი ან ფოტოსურათი აჩუქა. იული ვიტეს გარდაცვალების შემდეგ კი ფოტოსურათი მის შვილს გრაფ ს. ი. ვიტეს დარჩებოდა.

როგორც არ უნდა იყოს, ერთი კი ცხადია, ალ. დიუმას არსებული ფოტოსურათი დღეისათვის იშვიათი ეგზემპლარია.

**დურმიშხან ცინცაძე**

საქართველოს სახ. მუზეუმის უმცროსი მეცნიერ მუშაკი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია რაზლივში.
მხატვარი გ. გელოვანი.
მეოთხე გვერდზე: გაზაფხული თბილისში.
ფერადი ფოტო გ. ზელმანისა.

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა | ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 8 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/V-58 წ. გამომც. № 48. ქაღ. ზომა 70 × 108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი—20.000. შეკვეთის № 217. უე 00925.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი მარჯანიშვილის ქ. № 5



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემო სვანეთი — მესტია

ფოტო ი. ზენკოსი



ეროვნული
ბიბლიოთეკა